

ପ୍ରକାଶକ ଟର୍ମିନାଲିଯତ

ଅନୁଷ୍ଠାନିକ

# გიორგი სოსიაშვილი

დ ი გ ბ ა ხ ი

ბეჭედი  
ქადაგი  
სტატუსი  
ჯ ჯ  
თ თ თ

თბილისი  
2007

წიგნი იბეჭდება ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით

წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა ღროს  
სამეცნიერო ჟურნალებსა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნე-  
ბული შრომები და ისტორიული ნარკვევები, რომლებიც შიდა  
ქართლის – ჩვენი ქვეყნის უძველესი კუთხის ისტორიის  
არაერთ საინტერესო საკითხს ეხება.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
დავით ახლოური

რეცენზენტები: პროფ. ზაზა ცოტნიაშვილი  
პროფ. ალექსანდრე მღებრიშვილი

## ოსთა რელიგიური ცხოვრების ისტორიიდან (ვაჩილას კულტი)

ცნობილია, რომ ოსები, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით  
დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-კავკასიურ რასას მიეკუთვ-  
ნებიან, ხოლო ეთნოლინგვისტურად ინდოევროპულ ენათა  
ოჯახის ირანულ ჯგუფში შემავალი ხალხია. ოსთა დიდი  
ნაწილი მართმადიდებელი ქრისტიანია, მათი ერთი ჯგუფი კი  
მაშმადიანური სარწმუნოების სუნიტური მიმღინარეობის აღმსარე-  
ბელი. ოსი ხალხის გაქრისტიანების საქმეში დიდი როლი  
ითამაშა როგორც ბიზანტიამ, ისე საქართველოს სამეფო კარმა.  
ალან-ოსთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა X საუკუნის  
II ნახევარში მოხდა. ოსებში ქრისტიანობის პროპაგანდის ინიცია-  
ტორად საქართველო გამოდიოდა, ამიტომ სარწმუნოებრივი  
კუთხით საქართველოს გავლენა ოსეთზე ძალზე დიდი იყო. ამ  
პროცესმა ასახვა პპოვა ოსთა ლექსიკაშიც. ამ მხრივ საინტერესო  
დაკვირვება ჰქონდა აწ განსვენებულ მკვლევარს ვ. იოონიშვილს,  
როგორც მეცნიერი აღნიშნავდა: „მოვიანებით ბიზანტიის  
იდეოლოგიურ გავლენას ოსებზე უკვე საქართველოს ქრისტიანუ-  
ლი კულტურის ზეგავლენა ენაცვლებოდა. ამაზე ნათლად მეტყ-  
ველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავში-  
რებული ტერმინოლოგია ოსურ ენაში თითქმის მთლიანად  
ქართულიდან არის ნახებები: ოს. დзуар – „ჯვარი“, ოს. კეუყი  
– „კვირა“, ოს. მორხვა – „მარხვა“, ოს. ბარასკა – „პარასკევი“,  
ოს. თარანჯელოს – „მთავარანგელოზი“, ოს. მყიალგაბერთა  
– „მიქელ-გაბრიელი“, ოს. ცყრისტი – „ქრისტე“<sup>1</sup>“

1. ვ. იოონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2004, გვ. 165

საქართველოში ჩამოსახლებულმა ოსებმა თან ჩამოიყოლეს თავიანთი წარმართული ჩვევები, რომლებც ოსურ მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებამ ვერ გამოდევნა.

ოსთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას საინტერესოდ აღწერს XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ვაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი (ოსური თემები ჩრდილოეთ კავკასიაში - გ.ს.) რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათი არიან მაპმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე; რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა ესენი არიან მაპმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავრი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვიან ელიას თხასა და წორცსა შეჭამენ თჟთჟე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანსცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არ მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფი ქუყანისანი“<sup>1</sup>

ვახუშტის აღნიშნულ ცნობაში, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაჩილას კერპი, რომელიც, როგორც ცნობიდან ჩანს, ჩრდილოეთში მცხოვრები ოსების სალოცავი იყო. ოსებს, როგორც ცნობილია, სხვა კერპებიც ჰქონდათ, მათ შორის აღსანიშნავია ქურდებისა და მძარცველების ღვთაება „საუბარაგი“, რომელიც აღაგირის მოებში, ს. ბიზში მდებარეობდა და როგორც ვ. ითონიშვილი აღნიშნავდა: „ამ კერპმა ერთ-ერთი უპოპულარესი სასოფლო

1. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 639

სალოცავის რანგში XX ს-ის დასაწყისამდე შემოინახა თავი<sup>2</sup>: ოსთა ერთ-ერთი სალოცავი კურპი იყო ასევე ჩრდ. ოსეთის ს. პანათგანში XIX ს-ის მიწურულს არსებული ფარნიჯი ქური, მკვლელთა მფარველი ღვთაება.<sup>3</sup> საქართველოს სამეფო ხელისუფლება ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ვაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი (ოსური თემები ჩრდილოეთ კავკასიაში - გ.ს.) რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათი არიან მაპმადიანნი და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე; რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტიანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა ესენი არიან მაპმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავრი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვიან ელიას თხასა და წორცსა შეჭამენ თჟთჟე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანსცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არ მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფი ქუყანისანი“<sup>4</sup>

ვახუშტის აღნიშნულ ცნობაში, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ვაჩილას კერპი, რომელიც, როგორც ცნობიდან ჩანს, ჩრდილოეთში მცხოვრები ოსების სალოცავი იყო. ოსებს, როგორც ცნობილია, სხვა კერპებიც ჰქონდათ, მათ შორის აღსანიშნავია ქურდებისა და მძარცველების ღვთაება „საუბარაგი“, რომელიც აღაგირის მოებში, ს. ბიზში მდებარეობდა და როგორც ვ. ითონიშვილი აღნიშნავდა: „ამ კერპმა ერთ-ერთი უპოპულარესი სასოფლო

1. ვ. ითონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218

2. იქვე, გვ. 219

3. მ. გაჩინიძემ, სამაჩაბლოს ოსთა ფოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა, თბ., 1991, გვ. 49

4. იქვე, გვ. 53

5. კ. ტოლიაშვილი, შიდა ქართლში რელიგიური ცხოვრების ერთი ეპიზოდის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო აღმანახი „კლია“, №23, 2004, გვ. 71

გამო, რომ ოსები ე.წ. „ძუართა“ წარმართულ სალოცავებზე ლოცულობდნენ. პ. სანაკონევის გადმოცემით, ოსებს ასეთი გაწარმართებული ქრისტიანული წმინდანი ჰქონდათ, მაგალითად: „უასტირჯი“ (წმინდა გიორგის სახელზე), „მაირამი“ (ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის სახელზე), „ვაცილა“ (წმინდა ილია წინასწარმეტყველის სახელზე), „მკალგაბირი“ (წმინდა მთავარანგელოზის მიქაელის სახელზე).<sup>1</sup> ვაჩილას კულტი ოსურ წარმართულ პანთეონში უკავშირდებოდა თხის კულტს. თხის კულტი იმდენად ძლიერ იყო ოსებში, რომ ქართულ საზოგადოებრიობაში ვაჩილა ოსი ადამიანის სინონიმად იყო გადაქცეული, ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილის წერილი ეპისკოპოს კირიონისადმი (მომავალში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II). ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი, რომელიც 1865 წლიდან XIX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებამდე ჯავაში კეთილმოწესის თანამდებობას ასრულებდა. კარგად სცნობდა ოსთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას. მოგვიანებით 1905 წელს კირიონისადმი რუსეთის ქ. კისლავოდსკიდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ: „კავკავიდან მოვიდნენ თრი მღვდელი ოსთაგანნი და პეტიცია მისცეს მიტროპოლიტსა, შემდეგი შინაარსისა: სამხრეთ ოსეთიც შემოუერთეთ ჩრდილოეთისას და საკუთარი ეპისკოპოსი ოსთაგანი დაგვინიშნეთ ჩვენს ეპარქიისათვისო მღვდელს დაენიშნოს ჯამაგირი თვითეულს წელში 1200 მანეთი და დიაკონს 400 მანეთი, პილონის სემინარია გადაკეთდეს გიმნაზიად, გადმოიტანოს კავკავში, რომელშიაც მასწავლებელი ისთაგანნიც იქნებიან.

1. ქ. ტოლიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72

ეს ვაჩილებიც (ხაზგასმა ჩვენია – გ.ს.) ოვისას ცდილობენ, ხოლო ძველ ივერიულთა სძინავთ!“

ამ გამოთქმაში ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისაგან ხაზი აქვს გასმული ოსთა წარმართობას.

ვაჩილას კერპის დღესასწაულზე ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთ „დროების“ ოსი კორესპონდენტი – გიორგი ლიახველი (ჩოჩიშვილი). მისი გადმოცემით: „20 ივლისს ოსები დღესასწაულობენ ვაჩილის დღეობას. დღეობა არის ხოლმე მუხის ქვეშ. ვაჩილას ყოველთვის დაუკლავენ ხოლმე თხას. რომლის ტყვასაც იქვე ხეზე ჩამოჰყიდებენ და თაყვანს სცემენ. ვაჩილას საზოგადო სალოცავი იმყოფება ჩრდილოეთ ოსეთში, სოფ. კაკადურში, ამ სოფლის ახლოს არის ერთი გამოქვაბული ალაგი. მღვიმეში სდგას ტრაპეზი, რომელზედაც თხის თავი სხევს. დღესასწაულის წინ ოსები ამოირჩევენ ხოლმე „დეკანოზს“. სამი დღის განმავლობაში დეკანოზი უნდა გაიწმინდოს, ე.ი. ღამ-ღამით იბანოს ტანი რძით, იმარხულოს და სხვ. მესამე დღეს დეკანოზმა უნდა ჩაიცვას თეთრი ტანისამოსი და ლუდით უნდა გაამგზავროს გამოქვაბულ ალაგში, მას უკან მიჰყვება ხალხი, მაგრამ მღვიმესთან რომ მიუახლოვდებიან, ხალხი დადგება და აქდან „დეკანოზი“ მარტოკა შიშით შედის „წმინდა-წმინდაში“, სადაც ლუდი უნდა დასდგას ტრაპეზზე და თითონ იმ ღამეს იქ უნდა იწვეს. ხალხი მეორე დღემდის შშიერი რჩება და ელის დეკანოზს. დილას როდესაც ადგება დეკანოზი, ლუდი გადაღვრილი დახვდება. თუ ოსეთისაკენ დაიღვარა ლუდი, მომავალს წელში ოსეთში

1. ქ. კიკნაძე, ცხოვრება და ღვაწლი ეპისკოპოს პეტრე კონჭოშვილისა, თბ., 2003, გვ. 180

კარგი მოსავალი იქნება, დეკანოზი გამოდის და ეუბნება ხალხს, რომ მომავალ წელს კარგი მოსავალი იქნებათ. ხალხი აჯილ-დოებს მას, ზოგიერთი ყანწით არაყით და ზოგი ხაბიზგინით...<sup>1</sup>

გ. ლიახველი (ჩოჩიშვილი) იქვე მოუთოებს, რომ ოსები პატივს სცემენ ოთხ წმინდანს: ილიას (ვაჩილას), თევდორე თორელს (ფალვარა), ნიკოლოზს (თუთირე) და გიორგის (ვასჯირჯის). ვაჩილას დაუკლავენ თხას, თუთირეს ხარს, ფალვარას ღორს და ვასჯირჯის ცხვარს.<sup>2</sup>

ოსების მიერ განსაკუთრებულ თაყვანისცემას ელია წინასწარმეტყველისადმი ხაზს უსვამდა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი, რომელიც აღნიშნავდა:

„მდინარე გიზელის მარჯვენა ნაპირზე ძღებარეობენ კარიში, შემდეგ დასავლეთით კაკადური, უფრო ჩრდილოეთით ლამარ-ლონი, კალაქესის მოდგმის გვარები. ყობანის მოდგმა და მისი გვარი საუროვა, რომელიც მშვენიერი ცხვრებითაა ცნობილი, მდებარეობს მთლად სამხრეთით, უმაღლეს ქედთან ახლოს. აქვე არის აგრეთვე ოსებისათვის ცნობილი საკვირველი გამოქვაბული, რომელსაც ჰქონის ტაუერჩილიე, ანუ მეგობრობის გამოქვაბული წინასწარმეტყველ ელიასი.<sup>3</sup>

ზემოთ მოყვანილი გადმოცემიდან აშკარაა, რომ ვაჩილას კულტს და ვაჩილობის დღესასწაულს წარმართული დატვირთვა ჰქონდა. მას ქრისტიანულ სარწმუნოებასთან თითქმის არაფერი

აკავშირებს.

ვაჩილას კულტის შესახებ საინტერესო დაკვირვება ჰქონდა აკად. ივ. ჯავახიშვილს, იგი აღნიშნავს: „კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის ვაჩინაძეს სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წინათ ვაჩინა ქართულში მამაკაცის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ტოტემურობის ნიადაგზე იყო გაზრდილი, დათვას, კურდღლელას და ქურციკას მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო“!<sup>4</sup>

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, მართალია ვაჩინა არც ერთ ქართულ ლექსიკონში არ გვხვდება, მაგრამ გამოკითხვის გზით ცხადი ხდება, რომ ვაჩინა ქართლში ნიშნავდა მამალ თხას. ივ. ჯავახიშვილს ჩაუწერია ქართლის ს. კარბის მცხოვრები ეკა ბიძინაშვილის ცნობა, რომლის მიხედვით ვაჩინას (ანდა ვაჩილას) ქართლში მამალ თხას უწოდებენ, რომელზედაც ოსები ლოცულობენო.<sup>5</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, სქოლიოში წერს, რომ „საქართველოში გადმოსახლებულ ოსებს სიტყვა ვაჩინა ქართველებისაგან აქვთ შეთვისტული ისევე, როგორც შოტაც, პირიქითელ ოსებს სიტყვა ვაჩინა, როგორც ვს. მილლერისა და ფრეიმანისა, ისევე ეპისკოპოსი იოსებ კლადიკავკაველის რუსულ-ოსური ლექსიკონებითგან ჩანს არ მოეცოვებათ“.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ ვაჩილას კულტი დღესაც არის გავრცელებული საქართველოში მცხოვრებ ოსებში. ვაჩილას კულტის პატივისცემათ ოსურ სოფლებში ივლისის თვეში დაწესებულია

1. გაზ. „დროება“ №258, 1883, გვ. 3

2. იქვე.

3. იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 217

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. X, თბ., 1992, გვ. 179

2. იქვე.

3. იქვე, გვ. 179-180

დღესასწაული – ვაჩილობა (მაგ. გორის რაიონი სოფ. გოიანთკარი) ვაჩილას კულტის პოპულარობის მთხვედავად, ადგილობრივმა მოსახლეობამ არ იცის ამ დღესასწაულის ნამდვილი არსი, ვაჩილობაზე აქაური ოსები იყრიბებიან, ვაჩილას პატივსაცემად დღევანდელ პერიოდში აგებულ ტაძარში. აღსანიშნავია, ისიც, რომ ქართული ტრადიციისაგან განსხვავებით, ოსები საკულტო სურვებს შლიან ტაძრის შიგნით.

ვაჩილას კულტი ოსებს ჩრდილოეთ ოსეთიდან აქვთ შემოტანილი და მას ქართულ არც წარმართულ და არც ქრისტიანულ ტრადიციებთან არავითარი კავშირი არ აქვს. ამას ადასტურებს ისიც, რომ ვაჩილობას მხოლოდ ოსები აღნიშნავს. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ, ოსური სოფლის გოიანთკარის (ამ სოფლის სახელი მომდინარეობს აქ მცხოვრები გოიავების გვარიდან – გ.ს.) გვერდით არაერთი ქართული სოფელია, მაგ. ქვეში, არცვი, აძვი, მაგრამ ამ სოფლებისათვის „ვაჩილობა“ სრულიად უცხოა.

ვაჩილას ჩრდილოეთ ოსეთიდან წარმომავლობაზე, როგორც ვნახეთ, მიუთითებდნენ ვახუშტი ბაგრატიონი და „დროების“ კორესპონდენტი გიორგი ლიახველი.

როგორც ჩანს, ოსებმა თხის კულტი შემოიტანეს ჩრდილოეთიდან. მას ქართულ ენაში მოუძებნეს შესატყვისი სახელი – ვაჩილა, რომელიც სწორედ მათ ტოტემს უკავშირდებოდა.

## იაკობ რაინეგსი ოსთა რელიგიური ცხოვრების შესახებ

გერმანელმა მკვლევარმა იაკობ რაინეგსმა, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი იყო ქრისტიან რუდოლფ ელიხი, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კავკასიაში იმოგზაურა და ამ მოგზაურობის შედეგად შექმნა ნაშრომი „კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ამ ნაშრომის მეორე ნაწილი საქართველოს ეხება. იაკობ რაინეგსის წიგნში საყურადღებო ცნობებია ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აქ არის წარმოდგენილი ასევე საქართველოში მცხოვრები არაქართული ეთნოსების ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალაც. იაკობ რაინეგსის თხზულებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ოსთა რელიგიურ ცხოვრებას.

გერმანელი მოგზაურის აღწერით, მისი მოგზაურობის (XVIII საუკუნის 80-იანი წლები) დროს ოსთა უმეტესობა ურწმუნო წარმართი იყო. მათ ერთ ნაწილს მიღებული ჰქონდა მუსლიმანური სარწმუნოება, ხოლო მცირე ნაწილი ქრისტიანულ აღმსარებლობას მისდევდა. ოსების გაქრისტიანების საქმეში იაკობ რაინეგსის ცნობით, დიდ როლს ასრულებდა საქართველო, ხალხში დაცული გადმოცემებით, ოსები თამარ მეფის მიერ ყოფილან გაქრისტიანებულნი.

„ქართული (გეორგიანული) გადმოცემების მოწმობით ყველა ოსი თამარ მეფის მიერ იქნა დამორჩილებული და გაქრისტიანებული. ეს სარწმუნოება საკმაოდ მორს უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რადგან ოსების მთებში აქა-იქ კიდევ გახვდება

ქვის ძველი ეკლესიები და პატარა სამლოცველოები“!

ოსთა ერთი ნაწილის გაქრისტიანების მიუხედავად, წარმართული წეს-ჩვეულებანი მათში საკმაოდ დიდხანს დარჩა.

საქართველოს სამეფო კარი ცდილობდა ქრისტიანული სარწმუნოების პროპაგანდით მთიელი ხალხი, მათ შორის ოსებიც შემოემტკიცებინა, თუმცა ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან ოსებისათვის ქრისტიანობა, უცხო რელიგიას წარმოადგენდა.

როგორც იაკობ რაინეგსი გადმოგვცემს: „ქრისტიანობამ მათ აღბათ არც ბედნიერება მოუტანა და არც განწმენდა, რადგან მალე კვლავ თავის ძველ ჩვევებსა და უვიცობას დაუბრუნდნენ და ქრისტიანობა დაივიწყეს. ამავე დროს მათ ერთხმად წარმატებით, რომ მარხვა არის ძალზე საპატიო საქმე და ამიტომ სომეს და ქართველ ქრისტიანებთან ერთად მთელი დიდმარხვის დროს არ ჭამენ არც ხორცს, არც თევზს, არც ქონს, ზეთს და რძეს. მათ საკვებს ამ დროს შეადგენს გამხმარი პური, მარილწყალში მოხარშული ლობით, მუხუდო და ხახვი“.<sup>2</sup>

ოსებში იმ დროს გავრცელებული ყოფილა ბოროტი და კეთილი სულების თაყვანისცემა. ოსურ მოსახლეობაში მაგიური რიტუალის დადასტურება საკმაოდ გვიანდელ პერიოდში ცხადყოფს, რომ აღნიშნული ხალხის ეთნოფსიქიკა ჯერ კიდევ არ იყო ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ნაზავი. იაკობ რაინეგსის ცნობით:

„ისინი (ოსები - გ.ს.) ძალზე ცრუმორწმუნენი არიან და ერთმანეთში ავრცელებენ მას. მათ წარმატებით კეთილი და ბოროტი

1. ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 211

2. იქვე, გვ. 211

სულების გავლენით მოქმედი ძალების არსებობა, რომლებსაც საკუთარ სახელებსაც კი არქმევენ. სწამთ, რომ სულების სიჯიუტის დაშოშმინება მარხვით, შეწირულობით და მსხვერპლ-შეწირვით შეუძლიათ, ხოლო ჯადოქრული (მაგიური) სიტყვებითა და წყევლით (თუ შელოცვით) კი ჰგონიათ, რომ სულაც აიძულებენ მათთვის სარგებლის მოტანას“!

ვერ ვიტყვით, რომელი მეზობელი ეთნოსიდან ვრცელდებოდა ოსებში მაგიური რიტუალები, თუმცა მაგიური რიტუალები, როგორც ადამიანთა რელიგიური წარმოდგენების ერთ-ერთი ნაირსახეობა, ქართულ სინამდვილეშიც გვხვდება.<sup>2</sup> წარმართული წესები ოსებში საკმაოდ გვიან პერიოდამდე იყო შემორჩენილი, ოსთა წარმართულ პანეთონში XX საუკუნემდე არსებობდა ქურდების და მძარცველების ღვთაება „საუბარაგი“ და მკვლელთა მფარველი „ფარნიჯი ძუარი“.<sup>3</sup>

დავუბრუნდეთ ი. რაინეგსის თხზულებას.

გერმანელი მოგზაური, თავის მოგზაურობის წიგნში საგანგებოდ ჩერდება ოსებში ელია წინასწარმეტყველის თაყვანისცემაზე, რომელიც მათში მოსახლიანობის ღვთაებამდე იყო ამაღლებული და უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა. ელია წინასწარმეტყველის სახელზე ოსებს განსაკუთრებული დღე ჰქონდათ დაწესებული და მისთვის ელიას სახელობის გამოქვაბულთან საგანგებო რიტუალს ატარებდნენ.

„მდინარე გიზელის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდნენ კარიშაუ, შემდეგ დასავლეთით კაკადური, კიდევ უფრო ჩრდილოე-

1. ი. რაინეგსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 211

2. ე. ნადირაძე, მსოფლიოს რელიგიები, თბ., 1996, გვ. 24-25

3. გ. იოონიშვილი, ნარკვევები ქავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 219

თით ლამარ-დონი - კალაჩეს მოდგმის გვარები. ყობანის მოდგმა კი და მისი გვარი საუროვა, რომელიც მშვენიერი ცხვრებითაა ცნობილი, მდებარეობს მთლად სამხრეთით, უმაღლეს ქედთან ახლოს. აქვე არის აგრეთვე ოსებისათვის ცნობილი საკვირველი გამოქვაბული, რომელსაც ჰქვია ტაუკეჩილიი, ანუ მეგობრობის გამოქვაბული წინასწარმეტყველ ელიასი. ეს წინასწარმეტყველი თურმე აქ ჩერდებოდა და ახლაც ხანდახან გამოჩნდება ხოლმე. წელიწადში ერთხელ ოსები დიდი რაოდენობით გროვდებიან ამ გამოქვაბულთან და ისმენენ საკვირველებებს, რომლებიც მათი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ მოხდა. ამას ისმენენ ტყეში მცხოვრები რამდენიმე ძმათაგანი, რომლებიც არიან ლამარდონის გვარიდან და თავის თავს ელიას მსახურებს და ამ სახლის ზედამხედველებს უწოდებენ, რისთვისაც მათ მოსახლეობა მოწყალებას აძლევს. სამი დღე რჩებიან აქ ოსები. ჭამენ, სვამენ, ეცნობიან ერთმანეთს და თავის შვილებს ნიშნავენ. აქ ასევე სხვადასხვა ცრუმორწმუნე გამოვლინებებიც ხდებოდა თურმე, რაც მე საფუძვლიანად ვერ შევიტყვე“.<sup>1</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სამეფო კარი ოსეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას ხელს ჯერ კიდევ აღრეულ შუასაუკუნეებში უწყობდა. გარდა წმინდა რელიგიური მომენტისა, ამ „სარწმუნოებრივ პოლიტიკაში“ იყო სახელმწიფოებრივი გავლენის გავრცელების ელემენტიც. კავკასიაში დაწინაურებულ ქრისტიანულ სახელმწიფოს, იგულისხმება საქართველო, ესაჭიროებოდა ერთიანი სამეფო სკიპტ-რის ქვეშ გაერთიანებული კავკასია, სადაც დომინანტი ქრის-

1. ი. რაინგისი, დასახ. ნამრობი, გვ. 218

ტიანული სარწმუნოება იქნებოდა, ეს მომენტი გვიანფეოდალურ ხანაშიც იჩენდა თავს, როდესაც ქართლ-კახეთის მმართველმა წრეებმა ოსეთში ქრისტიანული კულტურის გასავრცელებლად მისიონერების გაგზავნა იწყეს. სწორედ ამ მოტივით შეიქმნა „ოსეთის სასულიერო კომისიაც“ - 1742 წელს. მოგვიანებით, საიმპერატორო კარი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ოსეთში ქრისტეს სჯული გაევრცელებინა. შედარებით, გვიანდელი ხანის გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი, რომელმაც საქართველოში XIX სუკუნის 20-იან წლებში იმოგზაურა, აღნიშნავდა, რომ რუსეთი ხელისუფლება ოსებს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის მიზნით, გასამრჯელოს სახით აძლევდა ფულს და ტილოს პერანგს. ხაზინიდან ყოველ წელს, ოსების გასაქრისტიანებლად 15000 მანეთზე მეტი იხარჯებოდა.<sup>2</sup>

ოსები ქრისტიანობის მიმართ იმდენად გულგრილნი იყვნენ, რომ გასამრჯელოს აღების მიზნით ისინი რამდენჯერმე ინათლებოდნენ.<sup>2</sup> ოსეთის ტერიტორიაზე იაკობ რაინეგსს უნახავს წმინდა გიორგის სახელზე აგებული ქრისტიანული ტაძარი. ეს ტაძარი, როგორც გერმანელი მოგზაური აღნიშნავს, ყოფილა „შეფეშიდან სამხრეთით მაღალ მთაზე“. ეკლესია იმ დროისათვის კარგად ყოფილა შენახული. იაკობ რაინეგსის დაკვირვებით ჩანს, რომ ეს ეკლესია უწინ მოქმედი იყო და იქ ბერებიც ცხოვრობდნენ: „იქ ჯერაც ორი ზარია და ამტკიცებენ ასევე, რომ წიგნები, ბერების სამოსელი, თასი და ჯვარი ახლაც განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას არის დაცული, იმავე

1. ედუარდ აიხვალდი, საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საბიებლები დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 116

2. იქვე, გვ. 34

მთაზე, რომელზეც ეკლესია დგას; მის ირგვლივ ამ გრანიტოვან კლდეში ბევრი ქვაბულია დიდი ჯაფითა და მონდომებით გამოკვეთილი; ესენიც უწინ ან ბერების ან განდეგილების საცხოვრებლები იყო. სადაც არც ერთი სამარხიც (აკლდამაც) კი არ ყოფილა<sup>1</sup>, აღნიშნული ეკლესია განთქმული ყოფილა თავისი სასწაულებრივი ძალით. ოსები ქერის მოსავლის აღების შემდეგ იკრიბებოდნენ ამ ეკლესიაში, სადაც წირვას ქართველი, „ქრისტიანელი გეორგიანელი მღვდელი“ აღავლენდა. იაკობ რაინეგსის თქმით, ეს წირვა მღვდლისათვის შემოსავლის წყარო იყო.

ოსები იმ იმედით, რომ მოძღვრის ლოცვა მათზე სასიკეთოდ იმოქმედებდა, ქართველ მღვდელს გასამრჯელოს უხვად უხდიდნენ. ოსები „კლავენ ცხვრებს, ურიგებენ ხორცს გაჭირვებულებს, ან შეექცევიან მათ ნათესავებთან ერთად. თავს, ფეხებსა და ტყავს ჰკიდებენ ხეებზე და მათ სწრაფად ან მოგვიანო ხრწნაში მოელიან თავიანთ სურვილების ასრულებას“<sup>2</sup>.

ოსთა წარმოდგენით ამ ეკლესის გვერდით მეხით დაღუპული ადამიანი წმინდანად ითვლებოდა. ასეთი ადამიანის გარდაცვალებას ოსები ზემოთ აღნიშნავდნენ, კლავდნენ შავ ვაცს, რომლის ტყავს გატენიდნენ და საფლავის ახლოს მაღალ ძელზე ჰკიდებდნენ. ეს რიტუალი სრულდებოდა გარდაცვლილის უკვდავსაყოფად.<sup>3</sup>

1. ი. რაინეგსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 219

2. იქვე.

3. ი. რაინეგსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 220

### ქორდის ღვთისმშობლის ტაძრის ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი

სოფელი ქორდი მდ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლებიდან თავისი მდიდარი ისტორიული წარსულითა და ხუროთმოძღვრული ძეგლების სიუხვით გამორჩევა.

ქორდის სიძველებს გამოკვლევები მოუძღვნეს ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: პროფ. ი. მეგრელიძე და პროფ. ს. მაკალათია. სოფელ ქორდის შესახებ საინტერესო ეთნოლოგიური მასალები ჰქონდა მოძიებული აწ განსვენებულ მეცნიერს, პროფ. გ. ჯალაბაძეს, რომელსაც აღნიშნული მასალის გამოქვეყნება ვერ დასცალდა. საისტორიო წყაროებში ქორდი ადრეფეოდალური ხანიდან გვხვდება, კერძოდ, VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომელშიც IV საუკუნის ქართლის ტერიტორიაა აღწერილი, აღნიშნულ წყაროში ჩამოთვლილია შიდა ქართლის რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, მათ შორის - ქორდითირიკოს ხევი<sup>4</sup>, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელს მოიცავდა და ის სწორედ სოფელ ქორდის სახელწოდებიდან მომდინარეობდა.<sup>1</sup>

ქართულ საისტორიო წყაროებში, კერძოდ კი, ღოკუმენტურ მასალებში ქორდი იხსენიება ადრეული შუასაუკუნეებიდან, XIV საუკუნის ქართ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარიდან ჩანს, რომ ქორდი კათალიკოსის კუთვ-

1. გ. სოსიაშვილი, ქორდის ისტორიიდან, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, №1, 2001, გვ. 9

2. ქართული სამართლის ძეგლები, ი. ღოლიძის რედ. ტ. III, 1970, გვ. 179

ნილი სოფელი იყო.<sup>2</sup> XVI საუკუნის I ნახევარში ქორდში ყმა-მამულს ფლობდა ქართლის სამეფო კარი.<sup>1</sup> XVI საუკუნის II ნახევარში ქორდი კვლავ საპატრიარქოს მფლობელობაშია, ამავე პერიოდში საპატრიარქოს და სამეფო კარს შორის ქორდის და მასთან ერთად რამდენიმე სოფლის გამო დავა ჩამოვარდა, რომელიც საპატრიარქოს სასარგებლოდ გადაწყდა.<sup>2</sup>

XVII საუკუნის ათან წლებში ქორდი კვლავ მცხეთის საეკლესიო მამულთა ნუსხაშია, ხოლო 1626 წელს ქართლის კათალიკოს-პატრიარქმა ზაქარიამ (ჯორჯაძე) (1623-1630 წ.წ.) აზნაურ გედევანიშვილებს ქორდში მცხოვრები ყმები უბობა. XVII საუკუნიდან ქორდი ხდება აღნიშნული საგვარეულოს კუთვნილი სოფელი, რაზეც მიგვანიშნებს სოფლის ტერიტორიაზე მთავარანგელოზის ტაძარში შემორჩენილი ეპიგრაფიკული წარწერები, აღნიშნულ ტაძარში დაკრძალულნი არიან სწორედ გედევანიშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლები. გედევანიშვილები, რომლებიც მოიხსენიებიან 1850 წელს შედგენილ ქართკახეთის თავად-აზნაურთა სიაში<sup>3</sup>, XX საუკუნის ბოლომდე სახლობდნენ ქორდში. დღემდე შემორჩენილია XIX საუკუნის შუა წლებში აგებული გედევანიშვილთა სახლი.

ქორდის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან თავისი სიძველით გამოირჩევა ღვთისმშობლის ერთნავიანი, ბაზილიკური ტიპის ტაძარი, ამ ტაძრის გარდა სოფლის ტერიტორიაზე, მის შემოგარენში შემორჩენილია

1. თ. ქორდანია, ქრონიკები, ტ. II, გვ. 376

2. გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9

3. იხ. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ფოტოტიპური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005, გვ. 314-315

არაერთი ნაგებობა, მათ შორის გვიანშუასაუკუნეებში აგებული თავდასაცავი ციხე, რომელიც ლეკიანობისაგან თავდაცვის მიზნით აიგო.<sup>1</sup>

ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, XX საუკუნის ბოლოს უაღრესად სავალალო მდგომარეობაში იყო, სახურავი მთლად ჩაქცეული, კედლები ნახევრად დანგრეული, ისე, რომ მლოცველებიც კი ვეღარ შედიოდნენ, XX საუკუნის მიწურულს ღვთისმშობლის ბაზილიკური ტაძრის აღდგენა იტვირთა ქორდის მკვიდრმა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ლერი ჯალა-ბაძემ. ტაძრის აღდგენისას ჩრდილოეთ კედელზე დატანებულ თახჩაში აღმოჩნდა წარწერიანი დაზიანებული ქვა, რომლის შესახებ ქვემოთ შევჩერდებით.

ქორდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი თავის დროზე მოუნახულებია პროფ. ი. მეგრელიძეს, რომელსაც დასავლეთ კედელზე მრგვლოვანი ასოებით შესრულებული წარწერისათვის მიუკვლევია წმინდა გიორგის გამოსახულებასთან ერთად. დაზიანებული წარწერა მეცნიერის დაკვირვებით ასე ირჩოდა:

„ ქ შ-ე ს-იპი.

... დპი იგ“<sup>2</sup>

აღმოსავლეთ კედელზე, სარკმლის ზემოთ მკვლევარს უნახავს ქვაზე მსატვრულად ამოკვეთილი ჯვარი. „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მე-5 ტომში სადაც გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონებში სადაც გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონებში სიძველეებია აღნუსხული, გარკვეული ადგილი ქორანებული სიძველეებია აღნუსხული, გარკვეული ადგილი ქორ-

1. ზაქარაია, საქართველოს ქველი ციხე-სიმაგრეები, თბ., 1988, გვ. 173

2. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 16



ნულ ასომთავრულ წარწერასთან, წარწერა იშიფრებოდა შემდეგ-  
ნაირად: „დრომად გიორგის პატივსა“. აქაც სწორედ გიორგია  
ნახსენები და, ჩვენი აზრით, ესეც ტაძრის ამშენებელ გიორგიზე  
მიგვანიშნებს.

ტაძრის ამგების ვინაობა, ვფიქრობთ, ამ წარწერებიდან  
სავსებით ირკვევა, ქტიტორი გიორგია, ოღონდ მნელი სათქმელია,  
საერო პირი იყო ის, თუ სასულიერო. ამ წარწერების გარდა,  
როგორც აღვნიშნეთ, ტაძრის რესტავრაციის დროს არის ნაპოვნი  
ასომთავრულით შესრულებული წარწერიანი ქვის ფრაგმენტი,  
რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ. ქვა თეთრი ფერისაა,  
დაზიანებული გახლავთ, არის დაჯუთხული ფორმის (II სმ X  
9 სმ). მომტვრეული აქვს ქვედა ნაწილი, მაგრამ ასომთავრული  
ასონიშნების მოხაზულობა მაინც ირკვევა. მასზე გამოსახული  
ასოები, საქმაოდ დახვეწილი ფორმისაა. სულ სამი ასონიშანია,  
დაკვირვების შედეგად, ცხადი ხდება, რომ წარწერას ქვედა  
ნაწილი აკლია, სადაც უსათუოდ იქნებოდა ნახსენები ღვთისმშო-  
ბელი, რომლის სახელსაც ატარებს თავად ეს ტაძარი. პირველი  
ასონიშნის ტრანსკრიფცია მიგვანიშნებს, რომ მის ერთ მხარეს  
ბოლო ნაწილი აკლია, აღნიშნული ასო-ბერა ეჭვს გარეშე,  
რომ მხედრულ წილს აღნიშნავს.<sup>1</sup> მეორე ასონიშანი ემთხვევა  
ასომთავრულ მ-ს და შესაბამისად აღნიშნავს მხედრულ მანს.  
მისი ბოლო ასევე დაზიანებულია, მაგრამ ასონიშნის აღდგენის  
საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო წრიული  
მოყვანილობის პქონდა. მესამე ასონიშანი, არის ძლიერ

დაზიანებული, ვიზუალურად ჩანს მხოლოდ ამ ასობგერის ზემოთა

1. იხ. მწიგნობრობაზე ქართული, შემდგენელი ელუნე მაჭავარიანი, ობ., 1989

ნაწილის ფრაგმენტი და ის მსგავსებას პოულობს ასომთავრულ  
თან.

ამ წარწერაში ორწერტილი განკვეთის ნიშნად არის  
გამოყენებული და თავად ეს სიტყვა ასე შეიძლება წავიკითხოთ:  
„წმინდაო“.

ასომთავრული წარწერების სიუხვე გვავარაუდებინებს, რომ  
ქორდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გაცილებით ადრეა  
აგებული, ვიდრე ეს „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა  
აღწერილობაშია“ დათარიღებული. ჩვენი აზრით, სავსებით  
მართალია პროფ. ი. მეგრელიძე, როდესაც აღნიშნულ ნაგებობას  
კუსირეთის ეკლესიაზე (IX ს.) ადრინდელად მიიჩნევს. რაც  
შეხვა ნუსხურ და მხედრულ წარწერებს, არ არის გამორიცხული,  
რომ მოგვიანებით მოხდა ტაძრის შეკეთება და შესაბამისად  
ნუსხა-ზუცურით და მხედრულით შესრულებული წარწერებიანი  
ქვები ჩაემატა.

## „ოსიანობა“ და სამაჩაბლო

„ხოლო რაოდენი ოსნი დავხსწურეთ ამ ადგილებთა  
შინა, პირველად სახლებულან ქართველი ვლეხნი,  
შემდვომად მეტატრონეთა მათთავან  
გარდიონსახლებულან ოსნი და ქართველი  
ბართა შინა ჩამოსულან ვინამთვან მტერთავან  
ბარს შინა კაცნი შემცირებულან  
გახუშტი)

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, ერთ-ერთ პრობ-  
ლემატურ საკითხად ითვლება საქართველოში ოსთა მიგრაციის  
ისტორიული ასპექტების კვლევა.

ოსთა მიგრაციის ისტორიის შესწავლა არაერთი მეცნიერის  
დაინტერესების საგნად იქცა. დაიწერა მრავალი გამოკვლევა.  
ჩვენ აյ არ შევუდგებით საკითხის ირგვლივ არსებული  
ლიტერატურის მიმოხილვას, იგი ვრცლად გახლავთ მოცემული  
პროფ. რ. თოფჩიშვილის მონოგრაფიაში „საქართველოში ოსთა  
ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“ (თბ., 1997).

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, ისტორიულ ფაქტებზე  
დაყრდნობით აჩვენოს, თუ რა ხასიათი ჰქონდა ოსთა მიგრაციას  
საქართველოში, რა ფორმით იყო გამოსატული ალან-ოსთა  
ჩამოსახლებისათვის დამახასიათებელი ავრესია, რომელიც  
ქართველი ხალხის მეხსიერებას „ოსიანობის“ სახელით შერჩა.

საქართველოში ოსთა მიგრაციის შესახებ მეცნიერებაში  
აზრთა სხვადასხვაობაა.

უკანასკნელი ხანის კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ საქართვე-  
ლოს ტერიტორიაზე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ოსების  
შემოსვლა XV საუკუნიდან იწყება. როგორც პროფ. რ.  
თოფჩიშვილი მიუთითებს: „დვალეთში ოსების შემოსახლება  
იწყება XV საუკუნიდან. ეს პროცესი აქ ძირითადად  
განხორციელდა XVI ს-ში. XVII ს-ში კი დვალეთში დასრულდა  
ადგილობრივი ქართველური ტომის - დვალების ასიმილაცია  
ოსების მიერ... დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა  
მირეცვლი დასახლებები ჩნდება თრუსოსა და მაღრან-დვალეთში.  
ოსების აქ დასახლება ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან  
XVII ს-ის I ნახევარში განხორციელდა... შიდა ქართლის  
მთიანეთში, მდინარე დიდი ლიაზვის ზემო წელზე ოსთა მიგრაცია  
ხდება XVII ს-ის მეორე ნახევრიდან“<sup>1</sup>.

ოსთა მიგრაციის საქმეში, ცხადია, დიდი როლი ითამაშა  
ტერიტორიულმა ფაქტორმა. ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირე-  
ბელმა იმ გზა-ბილიკებმა, რომლის გამოყენებითაც ოსები ქართლის  
მთიანეთს უკავშირდებოდნენ.<sup>2</sup>

ოსთა ჩამოსახლებას მრავალი მიზეზი ჰქონდა. ამ მიზეზთაგან  
ერთ-ერთი უმთავრესი კი მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა  
იყო. მონღოლთა მიერ ჩრდილოეთ კავკასიის იავარქმნამ, ოსები  
სიღატაკის პირას მიიყვანა, ამიტომ ისინი სარჩოს მოსაპოვებლად  
ბარისაკენ დაიძრნენ. ამის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე წერს:  
„ამ დამშეულმა ოსებმა იწყეს აქეთ-იქით გარდაცვენა და დღიური  
ლუკმის ძებნა მათხოვრობით, ასეთის დამშეულის ოსების ერთი

1. რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218-219.

2. გ. თოფჩიშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს. თბ.,  
1969, გვ. 49-50

ნაწილი გადასახლდა შირვანში, ერთი ნაწილი ჩერქეზთში და ერთი ნაწილიც გადასახლდა ქართლში<sup>1</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა მიგრაციის პროცესი პროფ. დ. გვრიტიშვილმა სამ ნაწილად დაჰყო:

„1) შეიარაღებული ოსთა დიდი ჯგუფები თავს ესხმიან ქართველებით დასახლებულ ხეობებს და ძალით იკავებდნენ ამ ადგილებს და თვითონაც სახლდებიან. ჩამოსახლების ეს სახე XIII-XIV ს.ს. უნდა ყოფილიყო.

2) ესა თუ ის ქართველი თავადი, ან მეფე წინასწარ შეთანხმებით ოსთა დიდ ჯგუფებს თავის მიწა-წყალზე ასახლებს. ეს სახე შედარებით მოგვიანო ხანისაა.

3) ეკონომიკური პირობებით შევიწროებული ოსი გლეხი იძულებულია ნებით ეყმოს ქართველ თავადს. ამ სახემ შემდეგში ხიზნობის სახე მიიღო<sup>2</sup>.

ოსთა მიგრაციის პროცესს აგრესიული ხასიათი ჰქონდა. ისინი ძალით უპირისპირდებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ამაზე ჯერ კიდევ უამთააღმწერელი მოუთითებდა:

„ამისათვის იშლებოდა ქვეყანა ქართლისა და მთავარი ბაყათარ (იგულისხმება ოსთა ბელადი - გ.ს.) განდიდებულ იყო და აოხრებდა ქართლსა, თრიალეთსა და განსხმიდა მამულისაგან აზნაურთა და იყო ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“<sup>3</sup>.

ოსთა მომალება მართლაც რეალურ საფრთხეს უქმნიდა

1. ჭ. ჭიჭინაძე, ოქბის ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ლვაწლი მათზე. ტფ, 1916, გვ. 9
2. დ. გვრიტიშვილი, დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი ტ. I, თბ., 1949, გვ. 119
3. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 317

ადგილობრივ მოსახლეობას, რადგან ხშირ შემთხვევაში, ოსთა წინააღმდეგ ბრძოლას ეწირებოდნენ და მათი საცხოვრებლები მოლად უკაცურდებოდა. ასეთი საფრთხის წინაშე იდგა დიდი ლიახვის ხეობა. ეს საფრთხე განსაკუთრებით გაძლიერდა XVII საუკუნის I ნახევარში, როცა ოსებმა ადგილობრივი მოსახლეობის გაულეტვის ხარჯზე სამაჩაბლოს არაერთი თემი ლაიკავს. ამას ცხადყოფს ნასყიდობის ერთ-ერთი საბუთი, რომელიც XVII საუკუნის I ნახევარშია შედგენილი. ეს საბუთი შედგენილია ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაზა მაჩაბლებისადმი:

„ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოვსთაგან, ღმერთი იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომ კაცის ნაშენები, აღარა იყო რა. ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა სასაფლაოთა, საწნავითა, სათიბითა, წყლითა, საწისქუილოთა, მთითა და ბარითა, მისისა ნასყიდის ვენაჭითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა ძიგანაძე, მისი მემკვიდრე, დაკარგული იყო და უასი იმისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩვენი მკუიდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის მებატონისაგან, ვერც ბატონი ჩვენი შემოვეუილოს და ვერც სხვა. ასეთს დროს მოგყიდეთ, რომე თრიგან სამგან დედამ შვილი შეჭამა. კაცმა ცოლი გაყიდის და თავად დარჩის. ჩვენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათას სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა. ჩუენის მკუიდრის მამულის ნავაჭრი ფასი გავასწორეთ და ღუთით დავრჩით...“<sup>4</sup> როგორც ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, „ოსია-

1. ლოკუმენტები, საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რეც. I, თბ., 1940, გვ. 364

ნობა“ ანუ ოსთა ძალების მოწოლა, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებით მთავრდებოდა. საშინაო და საგარეო პრობლემით თავბრუდაზვეული ქვეყანა, მოძალადებს ადვილად ვერ იგერიებდა და ამიტომ ადგილობრივი ფეოდალები იძულებული ხდებოდნენ ოსების ჩამოსახლებას შეგუებოდნენ. როგორც ჸ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „ოსების გაბოროტებამ და ძარცვა-გლეჯამ ქართველი ერი დიდად დააღმა, მაგრამ ქართველები ოსებს უთმებდნენ ყველაფერს, ვინაიდგან ქართველთ ოსები დიდად ეცოდებოდათ და ებრალებოდათ, როგორც ფეხშიშველა მოსიარულე ხალხი... ამიტომ ქართველები სომობდნენ ოსებისას ყველაფერს, მაგრამ ოსები მაიც რაც დრო გადიოდა, მით უფრო თამამდებოდნენ და მთელს ქართლის სოფლებს იკლებდნენ. იგინი არც ხნავდნენ, არცა სოფესავდნენ და ყოველ თვეს ველურის ძალით ქართველებს სძარცვავდნენ და ნაძარცვით ცხოვრობდნენ“<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, ფეოდალურ ურთიერთობებს მიუჩვეველი ტომებისათვის უაღრესად რთული იყო ამგვარ უდელთან შეგუება, ამიტომ მძარცველობა ხშირი მოვლენა იყო სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსებისათვის. აღნიშნულ ფაქტს XVIII საუკუნეში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაურის აკად. იოპან ანტონ გიულდენშტედტის ცნობა, „სხლებში (სამაჩაბლოს ერთ-ერთი სოფელი - გ.ს.) ჯერ კიდევ არის პატარა, ძველი ქვიტკირის ეკლესია, რომელშიც ჯერაც დგას ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, ის არის 2 ფუტი სიმაღლისა და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელმა და მისმა მეუღლემ

1. ჸ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4

შემოსწირეს. თავადს, ჰქონდა საზაფხულო სახლი. [ეს ეკლესია]. ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავმესაფარად“<sup>2</sup>!

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოში ჩამოსახლებული ოსი მოახალშენები ვერ ეგუებოდნენ ფეოდალურ უდელში ყოფნას. ადგილობრივი ფეოდალებისა, თუ სამეფო კარის სასარგებლოდ, სხვადასხვა სახის გადასახადის გადახდაზე, ისინი უარს ამბობდნენ. სამეფო კარი იძულებული იყო მკაცრად ლაესაჯა ისინი. როდესაც ოსებმა ბეგარა შეუწყვიტეს თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავს – გიორგი სააკაძეს, ამის გამო, სამეფო ხელისუფლებამ მათზე შური იმია. როგორც გახუშტი აღნიშნავს: „კვალად უამთა ამათ არა მოსცეს დვალთა ბეგარა მოურავსა (აქ. მოხსენებულ დვალებში, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს დვალეთში ჩამოსახლებული ოსები, რადგან ლავალების ასიმილაცია ოსებთან, როგორც პროფ. რ. თოფჩიშვილიც მიუთითებს, ამ პერიოდისათვის უკვე დასრულებული იყო - გ.ს.). გარდავლი სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩინი და ჰყვა კვალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს“<sup>3</sup>.

ოსებმა ამ შეტაკებისას გიორგი სააკაძეს მოუკლეს ფახლოები თანამებრძოლი, სამაჩაბლოს ფეოდალური სახლის წარმომადგენელი თამაზ მაჩაბელი.<sup>3</sup> გარდა ამისა, ოსების დაუმორჩილებლობის არაერთი, სხვა ფაქტებიც გვხვდება. ერეკლესი და თეიმურაზის ქართლ-კახეთში მეფობის დროს ქსნისა და არაგვის ხეობაში ამბოხებული ოსების დამსჯელ ექსპედიციას

1. გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 101

2. გახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 66

3. იხ. ოსებ ტფილელი, დამოურავიანი, გ. ლეონიძის რედ. თბ., 1939, სტრ. 256

უშეალოდ სამეფო კარმა უხელმძღვანელა და ოსები მორჩილებაში მოიყვანა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის სენია ჩხეიძე: „წაპრძანდა კახი ბატონი (ერეკლე II - გ.ს.) მიბრძანდა ანანურს: ორსავ საერისთაოსნი (ოსებზეა საუბარი - გ.ს.) დას ავკაცობდნენ, არც ბეგარას აძლევდნენ და არც მოხელე შეუშვეს, ამათი წახდენა ინებეს. მოსწერა მამას წიგნი მეფემ ერეკლემ და დაიპარა, წაპრძანდა მეფე თემურაზ ჯარითა ქართლისათა, მიბრძანდა ვანათს (სოფელი პატარა ლიახვის ხეობაში - გ.ს.) ორსავე გზას მხრები შეუქრეს, მიშველებელი აღარავინ ჰყვანდათ“!<sup>1</sup>

სამაჩაბლოში დასახლებული ოსები შეტევაზე გადადიოდნენ და მაჩაბლების მფლობელობაში არსებულ ციხესიმაგრებსაც უფლებოდნენ. მაჩაბლები დიდი ძალის ხმევით ახერხებდნენ, ოსთაგან დაკავებული ციხების გათავისუფლებას. ამას ცხადყოფს გიორგი XII მემკვიდრის დავით ბატონიშვილის წყალობის წიგნი ბარძიმ მაჩაბლისადმი, სადაც აღნიშნულია: „თქვენ როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ლიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვისი ყმანი და კევის ციხეც აიღევით. (ხაზგასმა ჩენია - გ.ს.) რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძება.<sup>2</sup>

როგორც ჩანს, ამბოხებული ოსების დაშომმინებით და მათ მიერ დაკავებული ციხეების გამოხსნით, სამეფო კარი დიდად იყო დაინტერესებული და ამისათვის აღგილობრივ ფეოდალებს მამულებით ასაჩუქრებდა.

1. ქართლის ცხოვრება, II, ჩუბანიშვილის რედ. გვ. 380  
2. სცხსა ფ. 1450 დავთ. 26. საბ. 162.

„ოსიანობა“ კიდევ უფრო გააქტიურდა XIX საუკუნის ფისაწყისში. ოსთა მასიური თავდასხმებისაგან ოხრდებოდა შიდა ქართლის მრავალი სოფელი. ოსები ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით ძარცვადნენ აღგილობრივ მცხოვრებლებს. ამას ცხადყოფს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გორის რაიონის სოფ. ტყვიავში აღმოჩენილი საბუთი, „სახარება ესე [ციპოვე ტყვეობასა] შიდა და დავისხენ [ოსთაგან] და შევწირე ამას სკოლესიასა ტყვიავის ძელის ჭეშმარიტისა [საოხად ძეთა და ასულთა ჩემთა თვე [...] გამოსახსნელად. [მცყრობელებიდან მუქუღლისა] ჩემისა ნიკოლოზ [ჩოლოყოვისა] ჩემ 1817 წელსა ქრისა თინა ჩოლოყოვისა და სხვ“!

როგორც ჩანს, ოსი მძარცველები მარტო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ნადავლს არ ჯერდებოდნენ, ისინი აღგილობრივ მცხოვრებლებსაც იტაცებდნენ.

ოსთა მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად აღნიშნავს პროფ. მ. დუმბაძე: „მეზობელ ოსთა ჩამოსახლების პროცესი ყოველთვის შვიდობიანი როდი იყო. უფროდალიზმის გზაზე მდგარ ოსთა ზედაფენის ინიციატივით ქართლის სოფლებზე თავდასხმები ეწყობოდა და ამ გზითაც იქავებდნენ ისინი დასახლებულ აღგილებს“.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ოსთა თავდასხმები, ქართლის ბარის მოსახლეობას რეალურ საფრთხეს უქმნიდა, იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა აღგილობრივი ფეოდალები, თვითონ უწყობდნენ

1. ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 155

2. მ. დუმბაძე, ოსური ახალშენები ქართლის მთინეთში, საქართველოს ისტორიის ნარკევები, ტ. IV, 1973, გვ. 431

ხელს კავკასიის მთიანი ადგილებიდან შემოსული ოსებით აუთვი-  
სებელი ადგილების დასახლებას. ამ საქმეში ფეოდალებს სამეფო  
კარიც უწყობდა ხელს.<sup>1</sup>

როგორც პროფ. ჭ. გვასალია აღნიშნავს: „საქართველოში  
(შიდა ქართლში) ოსთა გადმოსახლებით გვიან შუასაუკუნეებში  
თვით ქართველი მეფე - ფეოდალები იყვნენ დაინტერესებულნი.  
უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება  
იმ დროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართველი ეთნოსისათვის,  
რადგან ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდა. ამასთანავე, ქართული  
სახელმწიფოებრიობის პირობებში და თანაც ჩამოსახლებისთვის  
ქართული ქრისტიანობის (მართლმადიდებლობის) მიღების  
შემდეგ, ოსები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისე-  
ბოდნენ.“<sup>2</sup>

1704 წლით არის დათარიღებული წყალობის წიგნი,  
რომელიც გაცემულია ქართლის მეფის შაჰესულიხანის მიერ  
ფირან და ბორტი ბაადურის ძე მაჩაბლებისადმი, აქ წერია:  
„....მას წინათ ჩვენი სახასო მთის ადგილები მამა თქვენს  
ბაადურს აეშენა. პატრონს მეფეს მამაჩვენს და პატრონს მეფეს  
ჩვენს მმასაც თქვენთვის ასე წყალობა ექნა, რომ იმაში თქვენის  
სახლისკაცებისათვის წილი არ დაედვა... რადგან სახასო ადგილი  
აგეშენა“.<sup>3</sup>

სახასო ადგილების „შენებაში“, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ  
ოსთა ჩამოსახლება მაჩაბლებისაგან.

ვერ დავეთანხმებით პროფ. გ. თოგოშვილის მსჯელობას,  
თითქოს: „ქართლის მთიანი რაიონების ოსური მოსახლეობა  
ქართველ ფეოდალთა აშკარა ძალადობას და ძარცვა-გლევასაც  
განიცდიდა. ქართველ ფეოდალთა მამულებზე მდებარეობდა ამ  
ოსთა ქართლის ბართან დამაკავშირებელი გზები. ამ გზებზე  
უერთდალები იჭერდნენ ბარში სავაჭრო გაცვლითი მიზნით  
შემსახულ ოსებს, ამწყვდევდნენ მათ დილეგბში და გამოსასყიდათ  
პირუტყვსა და ფულს მოითხოვდნენ. ასეთი დაბრკოლება  
უაღრესად მძიმე იყო ოსებისათვის და მათ მხრივ საპასუხო  
ეროვნისძიებებს იწვევდა“!<sup>4</sup>

ოსი მკვლევარი მოვლენებს საპირისპირო კუთხით აშუქებს,  
რაღაც ისები კი არ განიცდიდნენ ქართველი ფეოდალების  
შემთხვევან ძალადობას, პირიქით, სამაჩაბლოში ჩამოსახლებული  
ოსი მოახალშენები არბევდნენ და აწიოკებდნენ არამარტო  
დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს, არამედ სხვა ხეობებში არსებულ  
ქართულ სოფლებს. მაგ. მდ. ურონების ხეობაში დიდი ლიახვის  
ხეობაში მცხოვრები ოსების თავდასხმებს ასახავს 1779 წლის  
ერთი საბუთი: „ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს  
ოქონელს ფალავანდიშვილის ერეკლეს ყმას გველიკაშვილს  
ბეროს. შარშან თიბათვეში ძალინას მივდიოდით, გიორგი  
ფალავანდიშვილი, ერთი იმისი კაცი, ერთი როსტომის კაცი და  
ერთი მე. ეს ოთხნი მაჩაბლის ოსებმა დაგვიჭირეს, გიორგი და  
თავის კაცი გამოუშვეს და არცარა წაართვეს რა. და მე და  
როსტომის კაცი შეგვინახეს. მერე ფარსადან მაჩაბელს თავის  
ქაცის გიუნაშვილის ტეტიას ხელით წიგნი გამოუგზავნა თავის

1. სცსსა, ფ. 1448, საბ. №3

2. ჭ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური საქითხი, თბ., 1997 გვ. 57

3. სცსსა, ფ. 1450, დაგ. 26, საბ. 158

4. გ. თოგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216

ოსებთან და მაშინ გაგვიდეს „!“

საბოლოოდ სამაჩაბლოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივი ფეოდალების (მაჩაბლების) მფლობელობაში მოექცნენ. ისინი ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად სხვადასხვა მოექცნენ.

„1. თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველწლიურად 3 ცხვარი ეძლია მებატონისათვის, თითოეული თითო მანეთის ღირებულებისა ვერცხლად.

2. თითოეული საკომლო მამულიდან (15-20 დღის სახნავი მიწა) წლიურად ერთი ძროხა 15 მანეთის ღირებულების ან მას ბევრა ეწოდებოდა და აიღებოდა საკომლოზე, ხუთი ცხვარი. ამას ბევრა ეწოდებოდა და აიღებოდა საკომლოზე, თუნდაც მასზე რამდენიმე კომლს ეცხოვრა.

3. ორ წელიწადში ერთხელ თითოეულ საკომლოდან საჩუქარი ერთი ხარი 10 მანეთის ღირებულებისა.

4. ჯავის ხეობის უახლოესი 10 კარი სოფლების ყმა-გლეხობა დასახლებულის გარდა, მებატონების ყოველ წელს აძლევდა:

ა) ყველიერის კვირას თითოეული კომლიდან ერთ გირვანქა ერბოს ან ერთ ლიტრა ყველს - 40 კაპ. ღირებულების.

ბ) დიდმარხვას ლუდს ან სხვა პროდუქტებს 1 მანეთისას.

გ) კომლზე წელიწადში 2 კოდ ქერს.

ურომითი ბევრის, ანუ სამსახურის სახით ყმა-გლეხებს ევალებოდათ:

ა) წელიწადში ერთი დღე სოფლის განკარგულებაში არსებული გუთნებით მებატონის მიწის ძოხვა, მისი დათესვა, მომკა და მებატონის კარზე მიტანა.

ბ) თივის ზეინების დაღმა სოფლებთან და საჭიროებისამებრ მათი მიტანა მებატონის კარზე;

გ) მებატონის მშენებლობაზე ხე-ტყის მოზიდვა;

დ) მებატონის სამსახური.

რაც შეეხება ოსთა შორეული სოფლების მცხოვრებლებს, გადასახადებს ისინი, მხოლოდ პირუტყვის სახით იხდიდნენ!

ჩამოსახლებული ოსები ვერ ეგუებოდნენ მათვის უცხო ფეოდალურ ვალდებულებებს და მაჩაბლებს იარაღითაც კი უპირისპირდებოდნენ. დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში მსვერ-ჰლით სრულდებოდა, ამის ნათელი დადასტურებაა გენ. ლეიტ-ქორინგის მიერ იმპერატორისადმი წარდგენილი მოხსნებება სადაც აღნიშნულია:

“Осетинские народы обитающие в ущельях гор кавказских, по рекам Паци и большой Лиахве, находясь издревле в подданстве Грузинском и имев начальников наследственных в фамилии Грузинских князей Мачабели, в последние дни жизни Царя Георгия, в такое пришли неповинование и буйство, что одного из князей оных убили”.<sup>2)</sup>

1. Акты, Т. VI, ч. I стр. 689; З.Н. Ванеев, крестьянский вопрос и крестьянские движения в Юго-Осетии в XIX веке, стр. 92

2. Акты, I док. 76 стр. 581-582, ზორ. გ. თოვლიშვილი, ქართველი და ისე ხალხის ურთიერთობა 1810-1921 წ.წ. თბ., 1969, გვ. 6 ქ. ახობაშვილი, გლეხთა მოძრაობის საქართველოში, XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, თბ., 1970, გვ. 267

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 437-438

ასეთი ფაქტების დასახელება მრავლად შეიძლება. ოსთა შეიარაღებულმა გამოსვლებმა, როგორც აღვნიშნეთ, აქტიური სასიათი განსაკუთრებით XIX საუკუნის დასაწყისიდან შეიძინა. „ოსიანობა“ იმდენად საშიშ მოვლენად იქცა, რომ აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად თვით რუსეთის საიმპერატორო კარი ჩაერია. საჭირო გახდა, მოძალადე, მძარცველი ოსების დასჯა. გენ. ტორმასოვმა სიკვდილით დასაჯა ხუთი ოსი, რომელთაც ავაზაკობა დაბრალდათ. 1824 წლით დათარიღებული გენერალი ხონევი წერს გენერალ ერმოლოვს რათა შეწყდეს ქართველებზე ოსების თავდასხმები და მათ მიერ ქართველების ძარცვა, ის ითხოვდა ქართლის მცხოვრებლებს საშუალება მისცემოდათ მძარცველებისაგან თავი დაეცვათ იარაღით, ისევე როგორც კახეთის მცხოვრებნი იცავენ თავს ლეკებისაგან.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, მოძალადე ოსების თარეში, ლეკიანობასთან იყო გათანაბრებული.

ოსთა ამბოხების ჩასახშობად, ხელისუფლებამ სადამსჯელო ღონისძიება განახორციელა 1830 წელს გენერალ რენენკამფის მეთაურობით, რომელმაც მორჩილებაში მოიყვანა ოსები.<sup>2</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ შეძლო სიტუაციის განმუხტვა, სამაჩაბლოში ჩამოსახლებული ოსები თავისას მაინც არ იმლიდნენ და დაპირისპირება მაჩაბლებსა და სამაჩაბლოს

1. Акты, Т. VI, стр. 690; № 8. მ. თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე კრებ. „ოსთა საქოთხე“, თბ., 1996, გვ. 215

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970, გვ. 184-185; В. Пото кавказская война V, в I, 1884 стр. 135; З. Ванеев крестьянский вопрос и крестьянское движение в ЮгоОсетии в XIX веке, Цхинвали, 1956 стр.

189; История Юго-Осетий - документах и материалах, II, стр. 387

ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებს შორის XIX საუკუნის 50-იან წლებამდე გაგრძელდა. მაჩაბლთა მფლობელობაში მყოფი ოსები 2000 კომლის რაოდენობით სახაზინო უწყებაში გადასვლას მოითხოვდა, რაც იმით დასრულდა, რომ 1852 წელს მთავრობამ გრაფი კორონცოვის უშუალო ჩარევით, მაჩაბლებს ჩამოართვა აღნიშნული ყმები და სახელმწიფოს დაუქვემდებარა, სამაგიეროდ, მაჩაბლებს დაენიშნათ ყოველწლიური მემკვიდრეობითი პენსია 6000 მანეთის ოდენობით, მათვე დარჩათ ის მიწები, სადაც განდგომილი ყმები ცხოვრობდნენ.<sup>1</sup> ამრიგად, ოსთა ჩამოსახლების და მათი სამაჩაბლოში თანაცხოვრების პროცესი, როგორც ყხედავთ მშვიდობიანი არ ყოფილა. ქართველი ხალხის მეხსიერებას არაერთი აგრესორი მტრის სახელი შემოუნახავს, ასეთი იყო: „არაბობა“, „დიდი თურქობა“, „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“, „ლეკიანობა“ და ამ სახელებს „ოსიანობაც“ მიემატა.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 189

## ლევან ბატონიშვილის აჯანყება და სამაჩაბლო

XIX საუკუნის I მესამედი, აღსავსეა ქართველი ხალხის თავდაუზოგავი ბრძოლებით რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს ის დრო გახლავთ, როცა ცარიზმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ამიერკავკაშაში და აქ მცხოვრები ხალხების რუსიფიკაციას შეუდგა. კოლონიური უღლის სიმწვავე პირველ რიგში საქართველომ იგემა, რომელსაც სახელმწიფოებრიობა წაგვარეს, მმართველი დინასტია გადაუსახლეს, ეკლესიას თვითმწყემსობის უფლება ჩამოართვეს. ამ გარემოებამ აიძულა იმედგაცრუებული მეფის შთამომავლები და მათ ირგვლივ თავმოყრილი დიდგვაროვნები, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა გაეჩაღებინათ, ცარიზმის დასამხობად წარმოებული აჯანყებებიდან, თვალსაჩინო ადგილი უკავია ლევან იულონის მე ბატონიშვილის აჯანყებას.

რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებული უფლისწულის შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ კუთხეს, სამაჩაბლოს უკავშირდება.

მთიულეთის აჯანყების (1804 წ.) დამარცხების შემდეგ, როგორც ცნობილია, იულონ ბატონიშვილი შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს, ხოლო ფარნაოზ ბატონიშვილმა და ლევან იულონის ძემ თავს გაქცევით უშველეს. ისინი ჯერ აწყურში ჩავიდნენ, ხოლო შემდეგ ახალციხეში გავლით ბამბაკში გადავიდნენ, სადაც აღექსანდრე ბატონიშვილი და სპარსეთის შაჰი იდგნენ.<sup>1</sup>

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 919

ამის შემდეგ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო ორგანიზებული გამოსვლები დაიგეგმა, რომელსაც აღექსანდრე ერეკლეს ძე ხელმძღვანელობს.

1810 წელს, ივნისის ბოლოს აჯანყებამ იფეთქა იმერეთში, რომელსაც ენერგიული პოლიტიკისი და შესანიშნავი მამულიშვილი სოლომონ II ჩაუდგა სათავეში.<sup>1</sup> სოლომონ II საიდუმლო კავშირი პქონდა აღექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც დახმარებას პირდებოდა ამბოხებულებს, ამის პარალელურად 1810 წელს აჯანყება დაიწყო სამაჩაბლოში, ლევან იულონის ძე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, იგი აღექსანდრე ბატონიშვილის ინიციატივით შევიდა დიდი ლიახვის ხეობაში ახალციხე-იმერეთ-რაჭის გზით.

1809 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში აღექსანდრე ბატონიშვილი ლევან იულონის ძის მისამართით წერდა: „ბიძა თქვენი აღექსანდრე ღა-თსა ვსთხოვ თქვენს ბედნიერად და მშვიდობით შეყრას. ეს არის ღა-თის მოწყალებით ყოველი ჩვენი საწადლი საქმე ყაზილბაშის მხრიდან შესრულდა.

სახელოვანი სარდალი უსეინ-ზან დიდის ხაზინით და მთლად ერანში გამორჩეული ასიათასის კაცით აქ ახალქალაქს მობრძანდა. გუშინ ორშაბათს ერთად შევიყარენით... ამ საშს დღეზე დიდის ჯარით და ხაზინით თქვენს მწარეს მისტუმრებს და თვითონ წალკის მხარეს მობრძანდება...

მე ხომ ეს არის, მომსვლელი ვარ და დიდად ჩვენთვის სამჯობინარო და სარდლისაგან გულის დასაჯერებელი საქმე

1. ე. ორგონიკიძე, აღექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999, გვ. 22

იქნება, რომ ერთი ორი მართებული თავადიშვილი სარდალთან გამოისტუმროთ საჩქაროდ. აგვისტოს ივ წელთა ჩყი“!

დიდი ლიახვის ხეობაში ჩასულმა ლევან ბატონიშვილმა ადგილობრივ თავად-აზნაურობას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა, სამაჩაბლოს მოსახლეობას იგი ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებას შეახსენებდა.<sup>2</sup> ლევან ბატონიშვილმა მოახერხა ყველაზე გავლენიანი თავადების მაჩაბლების გადმობირება, მის მხარეზე დადგნენ აგრეთვე ადგილობრივი ოსები.

ბაგრატ ბატონიშვილის გადმოცემით: „ხოლო წელსა 1810 მსმენელთა იმერთა მოსცეს პირი მტკიცე მეფესა სოლომანს, მყოფსა ახალციხესა და აწვიეს რათა ჩავიდეს იმერეთს და დაიპყრას იმერეთივე. მსმენელი ამისი მეფე სოლომონ წარემართა ახალციხით და შთავიდა იმერეთს. მაშინ მოერთვნენ იბერნი ყველნივე, შეკრეს გზანი ქართლისანი და დადგნენ მყარად. მაშინ მეფის ძემან ალექსანდრემაცა წარავლინა ახალციხით მდისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოსა შინა რათა მანცა შეკრებულმან ოვსთამან ბრძოს რუსთა. მისრული ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრბნენ მისთანა.“<sup>3</sup>

ლევან ბატონიშვილს მხარს უჭერდნენ, ზაზა, ბაადურ და ლუარსაბ მაჩაბელი.

რუსულ ხელისუფლებას ლევან ბატონიშვილის მოძრაობასთან დაკავშირებით, საიდუმლო ინფორმაციები გააჩნდა, ამიტომ

ამბობებულ ძალთა ლიკვიდაციას ითვალისწინებდა გენ. ტორმა-სოვის წერილი, სამხედრო მინისტრისადმი. „სპარსეთი აგზავნის, გაქცეულ ლევან იულონის ძეს, ახალციხის გავლით, აჯანყებულ იქმრებოში და რაჭის მთებით მთის ოსებთან. ოსებმა, რომლებიც ეხოურობენ გაუვალ მთებში და სჩადიოდნენ ყაჩაღობას, სიამოვნებით მიიღეს ლევანი...

როდესაც ამის შესახებ გაიგო საქართველოს მმართველმა ახერდოვმა, საჩქაროდ გაემგზავრა ცხინვალში, რათა ლაქეშვიდებინა მცხოვრებლები. დროის დაუკარგავად ის შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას, რათა ოსების დახმარებით, რომლებსაც გააჩნდათ სიხარბე ოქროს მიმართ, ხელში ჩაეგდო ლევანი და მოეკლა, როგორც აჯანყებული. ლევანმა ამ დროს დაიწყო თავდასხმა ქართლის სოფლებზე. თავადი მაჩაბლები, რომლებმაც მიიღეს თავისთან ლევანი და ამარაგებდნენ მას იარაღით, იყვნენ დაჭერილები და ციხე-სიმაგრეში მოთავსებულნი...“<sup>4</sup>

ლევან ბატონიშვილი მაჩაბელთა ფეოდალური სახლის გარდა, ცდილობდა სხვა დასაყრდენიც გაეჩინა, ამას მოწმობს მისი წერილი ფალავანდიშვილებთან.

„ბატონიშვილი ლევანი აცნობებს მის აღმატებულებას თავის მდგომარეობის შესახებ, რომ ის გუშინ ჩამოვიდა აქ კეხვში და მთელი ხეობის მოსახლეობა შეიკრიბა... დღეს „ან ხვალ ჩამოვა ბატონიშვილი ალექსანდრე თორმეტი ათასიანი ჯარით... რატომ აყოვნებო ჩამოსვლას“<sup>5</sup>. პირველი შეტაკება რუსის ჯართან

1. ე. ორჯონიგიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, გვ. 77

2. აკტე, T. IV, №143

3. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოძრაობა, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 106

1. აკტე, T. IV, №468

2. იქვე, გვ. 110

ცხინვალის მისადგომებთან მოხდა. ლევან ბატონიშვილი ორი ათასი მეომრით შეება ცხინვალში მყოფ რუს ასეულს, რომელსაც შტაბსკაპიტანი ნოვაცკი ხელმძღვანელობდა.

რუსმა ასეულმა, ქართველი მილიციელების და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით წარმატებით მოიგერია მეაბინეთა შეტევა. ლევან ბატონიშვილი დამარცხდა (მოკლულის სახით 80 კაცი დაკარგა) და მსხლების ციხეს შეაფარა თავი.<sup>1</sup> ხოლო შემდეგ ჯავაში გადავიდა.<sup>2</sup>

რუსული ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილე მაჩაბლებს, დავით ბატონიშვილის ცნობით: „შემდგომად (აჯანყებისა - გ.ს.) შეიპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა პყრობილად და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ ვითარცა ჯავახიშვილისა და თარხნიშვილისა“<sup>3</sup>, აღნიშნულ ავტორს გამორჩენილი აქვს ის ფაქტი, რომ ბაადურ მაჩაბელთან ერთად რუსებმა ციხეში მოკლეს ზაზა მაჩაბელი.<sup>4</sup>

ლუარსაბ მაჩაბელი გადასახლებულ იქნა რუსეთის ერთერთ ქალაქ კოსტრომაში.<sup>5</sup> აჯანყებაში მონაწილე მაჩაბლების ყმა-მამული მთავრობამ სახაზინოდ გადააქცია.<sup>6</sup>

1. ა. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, გვ. 368; იბ. История Юго-Осетий в документах и Материалах (1800-1868) Т. II, стр. 251

2. Акты, Т. IV, стр. 112

3. დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 37

4. იბ. გ. ლევნიძე, ივ. მაჩაბელი, „მნათობა“, 1924, №2, გვ. 162

5. Акты, Т. IV, ч. 1, стр. 101, №6

6. История Юго-Осетий Т. I, стр. 251

ხელისუფლებამ ლევან ბატონიშვილთან მოლაპარაკება სცადა, მას ჯერ თავისი აღმზრდელი დეკანოზი იოანე ქართველიშვილი მიუგზავნა და შერიგების შემთხვევაში უხვად დასასტუქრება აღუთქა, ხოლო შემდეგ ლევანის მშობლები ჩართო, რომელებმაც შვილს მთავრობასთან მშვიდობიანი ურთიერთობის გზა შესთავაზეს, მაგრამ მეაბინებე ბატონიშვილი მაინც ვერ დაიმორჩილეს. ლევან ბატონიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლებამ მალის გამოყენება სცადა, პოლკოვნიკ სტალის მეთაურობით სამაჩაბლოს სოფლებს ორი როტა ჯარი შეესია, მაგრამ ბატონიშვილის მომხრე ოსებმა აღნიშნული შენაერთები სასტიკად დაამარცხეს.

მცირე ხნის შემდეგ პოლკოვნიკმა სტალმა კვლავ იღაშქრა სამაჩაბლოში, ლევან ბატონიშვილი იძულებული გახდა ნარში გადამალულიყო.

აჯანყებული ბატონიშვილის ხელში ჩაგდების მიზნით, მასთან პოლკოვნიკი გაბრიელ ყაზიბეგი მიგზავნეს, მაგრამ ვერც ამ მეორემა გაამართლა.

ლევანმა კიდევ უფრო გააქტიურა თავისი საქმიანობა, მან სამიდან გამოაღწია და ქსისა და არაგვის ხეობათა მოსახლეობის აჯანყება სცადა. მაგრამ ხელისუფლების აქტიურმა მოქმედებამ მას ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, საქართველოს მთავარმართებელმა ორი ათასი მანეთი გამოყო, რათა ნარელი ოსები მოესყიდა და ლევან ბატონიშვილი ხელში ჩაეგდო. ტორმასოვის მიერ მინზა ენოკონოვისათვის წარგზავნილ წერილში, რომელიც 1841 წლის 19 ივლისით არის დათარიღებული აღნიშნულია: სახლი მივიღე ცნობა, რომ თავქარიანი ლევან ბატონიშვილი იულონის შვილი, იმყოფება ნარის მეთაურის ასა გოჩიშვილის ხახლში... გაეცით ბრძანება, რომ ის ადგილი, სადაც იქნება

მოყვანილი ლევანი, იყოს საიდუმლოდ დაცული, იმ ხალხით, რომლებმაც უნდა შეიპყრონ ისე, რომ მან ვერ შეძლოს გაქცევა... იმოქმედეთ ფრთხილად, რომ თქვენი განზრახვა არ მივიდეს ლევანის ყურამდე, რომელსაც შეუძლია გადაირჩინოს თავი გაქცევით...”<sup>1</sup>

ამ შემთხვევაში ლევან ბატონიშვილის ხელში ჩაგდება კვლავ ვერ მოხერხდა, მაგრამ ტორმასოვი დაუინებით ცდილობდა მის შეპყრობას. ლევანის გაცემა ნარელმა მამასახლისმა რაჯაბა ოსმა იკისრა. ბატონიშვილი მოტყუებით მიიყვანეს სოფელ სხლებთან, მაგრამ იგი მაინც გაექცათ. ტორმასოვი ამის შესახებ შანშე ერისთავს წერდა: „ლევანი, რომელიც რაჯაბამ მოიყვანა ნარის ხეობამდე, მოასწრო დამალვა მარტომ. იგი იყო ფეხით. მასთან მყოფი ხალხი და ცხენები დააკავეს. ეს ყველაფერი ნარელი ოსების ბრალია. ამიტომ გიბრძანებთ დასაჯოთ ისინი და სამუდამოდ აუკრძალოთ ურთიერთობა საქართველოსთან. რადგან მთელი წლის განმავლობაში ლევანი მათთან იმყოფებოდა და მათ არ გადმოგვცეს. ამიტომ შეაგროვეთ სანდო 200 ადამიანი, გაგზავნეთ იქ, სადაც დამალულია ლევანი, დაიკავეთ მთავარი გზები, დანარჩენი ხალხი გაანაწილეთ ტყეში, რომ ჰოძებნონ ის“.<sup>2</sup>

საბოლოოდ ნარიდან წამოსული ლევან ბატონიშვილი, რომელიც ბორჯომის ხეობით, ახალციხეში აპირებდა გადასვლას, რათა იქ აღ. ბატონიშვილს შეერთებოდა, გზად მიმავალი ლეკმა მმარცველებმა მოკლეს გოგის ციხესთან. მისი მოჭრილი

თავი და იარაღ-საჭურველი ახალციხის ფაშას მიუტანეს.<sup>1</sup>

ასე დასრულდა რუსთაგან დაუმორჩილებელი ბატონიშვილის ცხოვრება, რომელმაც თავისი ცხოვრება ცარიშმის ქოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია, მისი თავგანწირული მოქმედება ნიშანსვეტად იქცა XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურთათვის.

1. Акты, Т. IV, стр. 123  
2. იქვე, გვ. 924

1. ქ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983, გვ. 77

## მღვრიას ხევის მდებარეობის საკითხისათვის

მდ. პატარა ლიახვი სათავეს იღებს გუდისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2920 მ-ზე და მოედინება სამხრეთით შიდა ქართლის ვაკეზე. მისი დინების სიგრძე შეადგენს 65 კმ-ს, ხოლო აუზის ფართობი 513 კმ<sup>2</sup>-ს. მდ. პატარა ლიახვის დინება წყდება სოფ. შერთულთან, საღაცის მდ. დიდ ლიახვს ერთვის.<sup>1</sup>

პატარა ლიახვის ხეობის, სრულყოფილი გეოგრაფიული დახასიათება მოგვცა ვახუშტი ბაგრატიონმა. მისი აღწერით: „ხოლო ისროლის ჭევის და ჟამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განპყოფს მთა ნენდერისა, წიფორისა და ქნოლოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამწრით კავკასიოდამ. ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისროლის ჭევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით პატარა ლიახვი. გამოსდის პატარა ლიახვი ქნოლოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამწრითად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამწრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ხევი გერისა გამოდის მშხლების მთას და დის სამწრით... ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისსის ჭევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად განსავალი. გამოსდის გერისა და შუა ცხვირის მთას. შუა ცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისსას ჭევს ზეით არს აწერისხევი... მას მოერთვის ხევი შამბიანისა ლიახვს აღმოსავლიდამ. გამოსდის ჟამურის მთას და დის დასავლეთად.

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 708

ამ ჭევს ზეით ერთვის ლიახვს ჭევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის შემთხვევის მთას დის აღმოსავლეთით ერთვის ლიახვს დასავლიდამ...“<sup>2</sup>

XVIII საუკუნის გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გოულდენშტედტი სოფელ ვანათთან, პატარა ლიახვის ერთეული შენაკადს – გრიას მოიხსენიებს. „...საცხენეთიდან 1 საათის უმდგრავი ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან. გრიაზე მდებარეობს ისური რაიონი ჩასუ, რომელიც ეკუთვნის ერეკლე მეფეს“.<sup>2</sup>

ამჯერად, ჩვენ არ შევადგებით გერმანელი მოგზაურის ცნობაში არსებული უზუსტობის შესახებ საუბარს, მხედველობაში გვაქვს ვანათთან ოსური რაიონის დასახელება, ეს და სხვა ამდაგვარი არასწორი ცნობების ინტერპრეტირება, რაც პატარა ლიახვის ხეობაში ოსთა განსახლების საკითხის სწორად გამოაწყვეტის საქმეში აუცილებლობას წარმოადგენს, ცალკე საუბრის თემაა. გერმანელი მოგზაურის ცნობაში ყურადღებას იქცევს პიდრონიმი ვრია. ჩვენი აზრით, ვრია უნდა იყოს მღვრიას დამაზინჯებული ვარიანტი. შესაძლებელია, ვრიას უნდებივი გათანაბრება გერთანაც, რადგან გერის ხევიც ვანათთან უზრუნველყოს პატარა ლიახვის დინებას, მაგრამ უფრო სწორი პირველი კატეგორიული უნდა იყოს. ჩვენი აზრით, გერის ხევი და მღვრიას ხევი ერთი და იგივე შენაკადია. ვახუშტისთან სწორედ გერის ხევია დაფიქსირებული. მღვრია ამ ხევს მოგვიანებით უნდა შეწერილოდა, მთის მდინარისათვის ასეთი სახელის შერჩევა არ უნდა იყოს შემთხვევითი, ასეთი სახელი მას შეიძლებოდა

1. ქართული ბაგრატიონი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუსჩიშვილის რედ. თბ., 1973, გვ. 362-363

2. კულტურული მუზეუმის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გ. გალუშვილის რედ. ტ. I, თბ., 1961, გვ. 99

შერქმეოდა ოცვლის დნობისას მიღებული მღვრია შეფერილობის გამო სულხან-საბას გამარტებით „მღვრივე - ნოტიო არეული“.<sup>1</sup>

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ჩამოთვლილი, ღვრის ხევის სოფლები ღვრია, გერი, გუდისი, კლარისი, მარილეთი, მიფარეთი, საბოლოკე, შულეური, წიარა, ეს იგივე გერის ხევში შემავალი სოფლებია. ლიახვის შენაკადებში, როგორც ითქვა, ვახუშტის თხზულებაში მოხსენიებულია გერის შენაკადი, ანუ გერის ხევი, რომელიც ვანათთან ერთვის პატარა ლიახვს, ასევე ფოტრისას ხევი, ჩაბარუხეთის ხევი და შამბიანის ხევი. პატარა ლიახვის შენაკადებიდან ვახუშტის თავის თხზულებაში არ აქვს შეტანილი მღვრის ხევი, რომელიც აღნიშნული მდინარის მარჯვენა შენაკადია. ამავე სახელწოდებით არსებობს სოფელი, რომელიც ვანათის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობს, გუდისის ქედის სამხრეთ კალთაზე. მღვრის, იგივე ღვრის (თანამედროვე სახელი, რაც მღვრის ენობრივი სახეცვლილების შედეგია - გ.ს.), ხევში არსებული სოფლებია: ღვრია, გერი, გუდისი, კლარისი, მარილეთი, მიფარეთი, საბოლოკე, შულეური, წიარა.<sup>2</sup>

პროფ. ს. მაკალთია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვისას იხსენიებს „მღვრიას“ ხევს. როგორც მკვლევარი აღნიშნავს: „ეს გრძელი ხევია და მთებზე ოსების სოფლებია გაფანტული. აქა-იქ ძველი კოშკებია მთიულური ტიპისა, სოფ. ყლარსთან ხევი თავდება. გზა მარჯვივ, მთაში შეუხვევს, საიდანაც გერის მიდამოები იწყება“.<sup>3</sup>

ს. მაკალათიასავან განსხვავებით, პროფ. ჯ. გვასალია, თავის ნაშრომში „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნაწყვეტი“ პატარა ლიახვის შენაკადებიდან იხსენიებს გერის ხევს, რომელიც, მეცნიერის დაკვირვებით, მდ. პატარა ლიახვს მარჯვენდან ერთვის.<sup>1</sup>

1. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, თბ., 1991, გვ. 535

2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, გვ. 590

3. ს. მაკალთია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 59-60

1. გ. სამალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 165

## ვანათის მდებარეობის საკითხისათვის

მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლებიდან თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით გამოიჩინა სოფელი ვანათი, რომელიც შეასაუკუნების არაერთ ქართულ წყაროშია მოხსენიებული. ამჯერად, ჩვენი დაინტერესების საგანს წარმოადგენს, არა ვანათის ისტორიული წარსული, რასაც სპეციალური ნაშრომი მივუძღვენით,<sup>1</sup> არამედ აღნიშნული სოფლის მდებარეობის საკითხი.

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „...მერისხევს ზეით, ჩრდილოეთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახვის კიდესა, მაღლა გორასა ზედა არს ციხე, სნეკვიდან წამოსულს მცირეს მთას ზედა. ეს მთა გამოჰყოფს კულბითს - ვანათამდე სოფლებსა და საცხენისსა და ბელოთს და პატარა ლიახვს და მოდგების ორბოძალას. ჩრდილოეთ უდის პატარა ლიახვი, სამხრით აქუს კულბითი და ვანათი. ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა, ციხის უკან, ჩრდილოეთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურტი ლიახვის და მის შინა ქუაბინი გამოკვეთილნი მრავალნი...“<sup>2</sup> ტერიტორიულად ვანათს ვახუშტი მიაკუთვნებს სავახტანგო მამულებს: „ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს პევი გერისა გამოდის მშელების მთას და დის სამწრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“.<sup>3</sup>

1. იხ. გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005

2. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ხ. ყაუხჩიშვილის რედ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369

3. იქვ. გვ. 362

საქახტანგო, როგორც ფეოდალურ-ადმინისტრაციული ცენტრი, მოიხსენიება XVII საუკუნის I მესამედში. ფარსადან გორგაშვილის ცნობით, სავახტანგოს სოფლების ნაწილი სამეფო ხელისუფლებისაგან ბოძებული ჰქონდათ არაგვის ერისთავებს.<sup>1</sup>

კანოს, როგორც სტრატეგიული მდებარეობის მქონე სოფელი, სამცემ ხელისუფლებისაგან ძველი დროიდანვე ჰქონდა ერთობლივად მიქცეული. ტერიტორიულად ვანათი ესაზღვრება ხელი საცხენეთს, რომელიც საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ VII საუკუნიდან იხსენიება. მხედველობაში გვაქვს აღნიშნული პერიოდის ანონიმური სომხური გეოგრაფია, სადაც აღწერილია IV საუკუნის იძერია. სომხურ გეოგრაფიაში სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად გვხვდება საცხუმეთი, რომელიც, ჩატანით, ტოპონიმ საცხენეთის წინამორბედია და ის სამხრიდ პატარა ლიახვის ხეობას მოიცავდა.<sup>2</sup> მოგვიანებით, აღნიშნული ტერიტორიული ერთეულის სახელი ენობრივი სახეცველისათვის, პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელს შერჩა.

პროფ. ა. გვასალიას განმარტებით, საცხუმეთი ეწოდებოდა პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს.<sup>3</sup>

პროფ. ქ. ხარაძის აზრით, საცხენის „მგელ წყაროებში ამ სახელით არის აღნიშნული. შემდეგში ის სუფიქსი ეთ სუფიქსით შეცვლილია. ასე 1930 წლის ადმინისტრაციულ დაყოფაშიც. აქედან მოყოლებული პატარა ლიახვის ხეობა გვერდის ძირად

1. ი. გ. გორგაშვილი, ისტორია, საისტორიო მოამბე, ტ. II, გვ. 236

2. ს. აბაშიძე, ქართული სახელმწიფო უცღვებრიბის გენეზისის საკითხები, სამართლის მოამბე, წიგ. I, თბ., 1924, გვ. 40

3. იხ. გ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ჩატანი, თბ., 1983, გვ. 25

იწოდებოდა. აღრეფეოდალურ ხანაში პატარა ლიახვის ხეობა საცხეუმეთად იწოდებოდა<sup>1</sup>.

აღრეფეოდალური ხანის საცხეუმეთში, იგივე პატარა ლიახვის ხეობაში, ვანათი ძველი დროიდანვე იქნებოდა ათვისებული მისი მდებარეობის გამო. ვანათი ტერიტორიულად დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ერთგარ დამაკავშირებელ აწყილს ასრულებდა და მასზე არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომლითაც შესაძლებელი იყო, არამარტო შიდა ქართლის სხვადასხვა თემებთან დაკავშირება, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლაც. სწორედ ამ გზა-მაგისტრალების კონტროლის თვალსაზრისით აიგო გვიან შესასუკუნებში ვანათის ციხე-სიმაგრე, რომლიდნაც ხორციელდებოდა პატარა ლიახვის ხეობის მეთვალყურეობა.

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი გზა ფუნქციონირებდა, რომელთა მეშვეობითად შესაძლებელი იყო იმიერკავკასიაში გადასვლაც, მათ შორის აღსანიშნავია „აჩაქეთის გზა“, „დვალეთის გზა“ და სხვ.<sup>2</sup>

ჩრდილოეთ კავკასიას საქართველოსთან აკავშირებდა სხვა გზებიც. ამათგან ერთ-ერთი გზა მიემართებოდა სოფელ ვანათი-საკენ.

პროფ. გ. თოგოშვილის დაკარგვებით: „სბის გადმოსავლითაც გადმოდის გზა ზახადან თრუსოს ხეობაში და სოფ. კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა. ამავე გადმოსასვ-

ლელით ზახადან მიემართება სხვა გზაც, რომელიც სოფ. კიბისთან რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი განშტოება პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდება, მეორე ერთმანდონის ხეობით და ყელის ტბით, უამურსა და ქსნის ხეობას უერთდება. მესამე კი ბრიტათის, გუდისის წყლის და ჭიმავ დონის ხეობებით როკის გზას უერთდება“!<sup>3</sup> რაც შეეხება ღამავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელ გზას, ის პროფ. ს. მაკალათიას განმარტებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ონი-კვაისა-ჯავა-ცხინვალი და ვანათი.<sup>2</sup>

ვანათიდან გზა-ბილიკებით შესაძლებელი იყო გზის საკმაოდ ღილი მონაკვეთის „მოჭრა“ – ვანათიდან უმოკლესი გზა გადადიოდა ჯავაში, ჯავიდან კი ხდებოდა გადასვლა რაჭა-იმერეთში (ვანათი - ჯავა - გვაისა - ონი).

უნდა ვითქიქოთ, რომ იმერეთთან დამაკავშირებელი გზა ერთ-ერთი საუკეთესო იყო, როგორც დროის დაზოგვის, ისე უსაფრთხო მგზავრობის თვალსაზრისით. ამან განაპირობა ის უაქტი, რომ მთავარმართებელ ტორმასოვთან შესახვედრად, სწორედ ამ გზით ისარგებლა იმერეთის მეფემ სოლომონ II.<sup>3</sup>

პატარა ლიახვის ხეობიდან იმერეთში გადასასვლელი გზით XVIII საუკუნის ბოლოს სარგებლობდა იულონ ბატონიშვილი. ცნობილია, რომ ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1777 წ.) პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე II თავის ძეს იულონს უბობა. იულონის რეზიდენციას აღნიშნულ არეალში სოფელი

1. ქ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 137

2. იხ. გ. სოსაშვილი, ქართლის სათავადოების ისტორიიდან, სამაჩაბლო, XIV–XIX ს.ს. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 2005, გვ. 117

1. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა, XV–XVIII ს.ს. თბ., 1969, გვ. 50

2. ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 57

3. იქვე, გვ. 57

ბელოთი წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლებისაგან შერისხული იულონ ბატონიშვილი პატარა ლიაზვის გზით ახერხებდა იმერეთში განიზვნას.

როგორც იულონ ბატონიშვილის კრის შეიგნობარი ოანე ქართველიშვილი იგონებს: „აქ ჯარიაშენს დგომაში ოჯგურ და სამჯერ ქალაქდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით საუბარია დავით ბატონიშვილზე - გორგი XII ძეზე - გ.ს.) (საუბარია დავით თქვენზედამ. ამ მჩენით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ რუსის ჯარით თქვენზედამ. ამ მჩენით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ თებერვლის ვ(6) მეფის ძე იულონ ფამილით აყრა ბელოთიდამ და იმერეთისკვნ წარმოსასვლელად გამოემგზავრა“<sup>1</sup>!

ოთანე ქართველიშვილი თავის თხზულების სხვა ადგილზეც ახსენებს ბელოთიდან იმერეთში გადასასვლელ გზას.

„იმერეთს გავიქცით ბელოთით და ჩემი ხიზანი ქრცხინ-ვალს დარჩა 1801 წელსა, თებერვლის ხ-სა დღესა“<sup>2</sup>.  
პატარა ლიაზვის ხეობიდან გზის ერთი შტო უკავშირდებოდა  
ქ. ცხინვალს.

ოთანე ქართველიშვილის ცნობით: „ბელოთიდამ ცხინვალს წავედით ზინნით 1799 წელსა, დეკემბრის 29 დღესა“<sup>3</sup>. გზის წავედით კი ჩვენი აზრით იყო ეწ. „ვანათის გზა“, რომელიც მეორე შტო კი ჩვენი აზრით იყო ეწ. „ვანათის გზა“, რომელიც გადადიოდა ჯავის ხეობაში, ჯავის ხეობიდან კი იმერეთში. გადადიოდა ჯავის ხეობაში, ჯავის ხეობიდან კი იმერეთში. პატარა ლიაზვის ხეობის სტრატეგიულმა მდებარეობამ, აქ არ- სებულმა მნიშვნელოვანმა გზებმა განაპირობა ის, რომ XV-XVIII

საუკუნეებში ქსნის ერისთავებმა აღნიშნული ტერიტორია საუკუნეებში

1. ითანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით,  
რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 86

2. იქვე, გვ. 95

3. იქვე.

თავიანთ ფეოდალურ სამფლობელოში მოაქციეს.<sup>1</sup> პატარა ლიაზვის ხეობაში ამ პერიოდიდან არაერთი მნიშვნელოვანი ციხე აშენდა, რომლებიც ქსნის ერთისთავთა მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდნენ. მათ შორის იყო ვანათის ციხე.

„დასტურლამაში“ დაცულია ერთი ცნობა, საიდაც ვიგებთ, რომ სამეფო ხელისუფლების დავალებით ვანათელებს ევალებოდათ გზის მოვლა-პატრონობა.

„დასტურლამაში“ იმ ნაწილს, სადაც ეს ცნობა გვხვდება, ქვეთ „აგზების შენახვის გარიგება“, აქ აღნიშნულია: –

„უნდა უთაონ თულამვილებმა - თაკეელთ, ღვეველთ, ფრელთ, ქანათელთ და თულაანთ მამულმა - ფანჯების გზა შეინახონ“<sup>2</sup>.

გაურვეველია სად მიემართებოდა ფანჯების გზა. შესაძლებელია, სწორედ ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი. ქანათელი გვიანფელდალური ხანაში ქსნის ერისთავთა რეზიდენცია აშენდობდა. ვაზუშტის ცნობით, ვანათის დანგრეული ციხე ქსნის ერისთავმა-შანშემ აღადგინა, თუმცა სავარაუდოა, რომ პატარა ლიაზვის ხეობაში ქსნის ერისთავთა გავლენის გავრცელებამდე, ქანათელი სამეფო ხელისუფლებას თავისი სადგომიც ექნებოდა.

საინტერესოა სოფლის სახელწოდება - ვანათი.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ვანა ნიშნავს სილვომს.<sup>3</sup> შესაძლებელია ვანათის ადრე სწორედ ასეთი დატყოშოვა ჰქონდა.

1. ქ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 26

2. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა,  
ებრაულებები, ლექსიკონები და საბიბლები დაურთოთ თ. სურგულაძე, თბ.,  
1970, გვ. 532

3. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 253

## XVIII საუკუნის ქართული დიპლომატიის ისტორიიდან

XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქართ-კახეთის საგარეო პოლიტიკური ვითარება უკიდურესად გართულდა, რაც განაპირობა მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოების - ირანისა და ოსმალეთის აგრესის გაძლიერებამ. თითოეული მათგანი ცდილობდა თავის გავლენის მოპოვებას საქართველოს ტერიტორიაზე და ამით საიმედო პლაციდარმის შექმნას ამიერკავკასიაში. ირან-თურქეთის აგრესის თან დაერთო დაღესტნელი მმარცველების შემოსევები, რომელმაც XVIII საუკუნის II ნახევრიდან პერმანენტული ხასიათი მიიღო და პოლიტიკურად დასუსტებულ ქვეყანას დაღუპვით ეჭუქრებოდა.<sup>1</sup> ლევთა თავდასხმების გააქტიურება ოსმალთა წაქეზებამ გამოიწვია. ოსმალეთი რელიგიურად ახლოს მყოფ დაღესტნელებს ქართ-კახეთზე თავდასხმებისაკენ მოუწოდებდა.<sup>2</sup>

ქართლ-კახეთის პოლიტიკური წრები, ქვეყნაში მომდლავრებულ მაჰმადიანურ აგრესის ენერგიული ღონისძიებებით უპირისპირდებოდნენ. ამას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ ერეკლემ და თეიმურაზმა ისარგებლეს რა, ირანში არსებული სახელმწიფოებრივი ანარქიით, გავლენა მოიპოვეს ამიერკავკასიის მაჰმადიანურ სახანოებზე და ქართლ-კახეთზე პოლიტიკური დაწოლა მნიშვნელოვნად შეამცირეს.. ამიერკავკასიაში გავლენის სფეროების გაფართოებისათვის წარმოებულ ბრძოლებს თან

1. 6. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 387; გ. სოსიამელი, „ლევანობის“ საკითხი და სამახაბლო, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორიის სერია №3, 2003, გვ. 39.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 619

შეღწია რამდენიმე მარცხი,<sup>1</sup> მაგრამ ეს ვერ ცვლიდა ქართლ-ქახეთის საგარეო პოლიტიკის გამოსწორების საერთო სურათს. შეკასიის ძალების კონსლიდირებული იყო ის სახელმწიფოებრივი უფა, რომელიც ასულდგმულებდა ერეკლე II-ის პოლიტიკას. შემთხვევითი არ იყო, რომ 1750 წლის თებერვალში, როცა ქართლ-კახეთის ჯარები ყარაბაღის სახანოს წინააღმდეგ დაიძრნენ, შეტოთანხმული ლაშქარი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ძალებით. პაპუნა ორბელიანი ამ ლაშქარში ასახელებს: „იმერნი, ისნი, კავაზნი, კრევნელნი, ფუზანი, შაშმადიანნი, ლევნიანი, რომელი მონებდნენ კახ ბატონს.<sup>2</sup>

შაქის ხანის აჯი ჩელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, რომელიც 1752 წლის 1 სექტემბერს ყაზახ-შამშადილუს სახელვარზე თულქითაფასთან გაიმართა, ერეკლე II ლაშქარში ქარბად იყვნენ ჩრდილოკავკასიიდან, კერძოდ კი ყაბარდოდან ჩამოყავანილი ძალები. ჩრდილოეთ კავკასიასთან წარმოებულ იო პლომატიურ ურთიერთობაში, რომელიც დამხმარე ძალების მიშევრების ემსახურებოდა, გამორჩეული ადგილი ეკავა XVIII საუკუნის II ნახევრის ერთ-ერთ თვალსაჩინო სახელმწიფო მიღვაწეს - იასე მაჩაბელს, რომელიც ამ პერიოდის არაერთ სტორიულ საბუთში იხსენიება.<sup>3</sup>

იასე მაჩაბელს ერეკლე II უწოდებდა: „დიდსა იმედს, დიდით

1 იქვე, გვ. 624

მაჰმადიანობისანი, ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, დ. წებისაშევლის გამოც, ტ. II, სხი, 1854, გვ. 123

1 ლევანიშვილი საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძნიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1953, გვ. 56-57; ქართული საბჭოთა ქართული მეცნიერებისა ტ. 6, თბ., 1983, გვ. 508

დღმისაჩენელს და არაოდეს დასავიწყარს“.<sup>1</sup> ჩრდილოეთ კასიასთან, კერძოდ კი ყაბარდოსთან წარმოებულ სამხედრო-ბლომატიურ ურთიერთობას წინ უძღვდა გაცხოველებული აჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა, ამ საქმეში დიდ ლს ასრულებდა დარიალის ხეობაზე გამავალი გზა, ე.წ. ართველოს სამხედრო გზა, ამ გზას XVIII საუკუნის I უვარში ხევის გზას უწოდებდნენ.<sup>2</sup>

როგორც მკვლევარი ე. კოპალიანი აღნიშნავს: „მართალია, ლყარეთის ტერიტორიის გავლით საქართველოს ბევრი გზა უშირებდა ჩრდილოეთ კავკასიასთან, მაგრამ დარიალის ხეობაში ასავალ გზას შედარებით დიდი გამტარუნარიანობით სხვა რ შეედრებოდა. აღნიშნული გზების გამოყენებით ყაბარდოში უვლა სულ რამდენიმე დღეში შეიძლებოდა.“<sup>3</sup>

ჩრდილოკავკასიასთან დამაკავშირებელი გზებიდან ზგასასმელია აგრეთვე „დვალეთის გზა“, რომელსაც ჯერ დევ ადრეფერდალური ხანიდან ჰქონდა დატვირთვა.<sup>4</sup>

გზა-მაგისტრალების სიუჩვემ განაპირობა ის ფაქტი, რომ დილოეთ კავკასიასთან, კონკრეტულად კი ყაბარდოსთან XVIII უკუნის I ნახევარში საქართველოს გაცხოველებული სავაჭრო-ონომიკური ურთიერთობა ჰქონდა. ვაჭრობა მიმდინარეობდა წითით, ცხნებით, აბრუშებით.<sup>5</sup> ორ ქვეყნას შორის გაღრმავებულია

გ. ლეონიძე, ივ. მაჩაბელი, „მნათობი“ №2, 1924, გვ. 163  
გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს. თბ.,  
1969, გვ. 15  
ე. კოპალიანი, რესეტის ურთიერთობა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან  
XVIII საუკუნის II ნახევარში, თბ., 2000, გვ. 63  
Дж. Гвасалия, Историческая география восточной Грузии Тб.,  
1991, ст.46  
ე. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69

ეკონომიკურმა ურთიერთობამ ნიადაგი შეუმზადა სამხედრო-დიპლომატიური კავშირის ჩამოყალიბება-განმტკიცებას. ჯერ კიდვე გივი ამილახვრის აჯანყების დროს, რომელიც მიმართული იყო ქართლში ყიზილბაშთა ბატონობის წინააღმდეგ, აჯანყებულთა რიგებში იბრძოდნენ ოსები და ჩერქეზები. პაპუნა ორბელიანი ამის შესახებ წერდა: „გივის დაბაზილზე მოსულიყვნენ ოსნი, ჩერქეზიც, ყველა ესენი თავს ესხმოდნენ ყიზილბაშთა მომხრე ქართველი თავადების მიწა-წყალს, არბევდნენ, აწიოკებდნენ“!<sup>6</sup>

თულქითაფასთან 1752 წელს გამართულ ბრძოლის წინ ერეკლე II ძალთა მოკრებისას ძალზე ესაჭიროებოდა ჩრდილოეთ კავკასიელთა, კერძოდ ყაბარდოელთა დამხმარე ჯარი. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მან მეზობელ ქვეყანაში დამხმარე ძალების ჩამოსაყვანად იასე მაჩაბელი მიავლინა. იასე მაჩაბლის დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო, ყაბარდობან ერეკლე II-ს დარიალის, ანუ ხევის გზით 1500 მეტროლი ჩამოუკიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით პაპუნა ორბელიანი წერს: „ჩამოუკიდა ჯარი ჩერქეზისა მეფის (იგულისხმება ყაბარდოს მთავარი - გ.ს.) ერეკლეს ხევს, მაჩაბელი იესე დიდს ჩერქეზეთში გაგზავნა კიდვე ჯარისთვის და თვითონ ამ ჯარით წამობრძანდა მუხრანში“.<sup>7</sup>

ყაბარდოელთა დამხმარე ძალების ჩამოსაყვანად იესე მაჩაბელი ერეკლე II-მ ყვარლის ციხის აღყის დროსაც გაგზავნა.

1. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 125  
2. პაპუნა ორბელიანი, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ. 1913, გვ. 198; თ. ბოცვაძე,  
საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVII ს.ს. თბ.,  
1963, გვ. 105

სოფორც ცნობილია, 1755 წელს, კახეთის ხუნძახის მფლობელი ურსალ-ბეგი 200000 ჯარით შემოესია და ყვარლის ციხის ჩაგდებას ლამობდა, სწორედ ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ ტელ-ში ჩაგდებას ლამობდა, სწორედ ნურსალ-ბეგის წინააღმდეგ ცადა ერეკლე II ყაბარდოელთა ძალების გამოყენება, თუმცა ისე მაჩაბლის ელჩობას ჩრდილოეთ კავკასიაში შედეგი არ ისე მაჩაბლის ელჩობას ჩრდილოეთ კავკასიაში შედეგი არ იმყვა. ამ დროს, ყაბარდოში მისული იყო ინფორმაცია, რომ მაქის ხანს აჯი ჩალებს დაღესტნელებიც ეხმარებოდნენ და ყაბარდოელებმა უარი განაცხადეს დამატებითი ძალების მოშველიებაზე: „ანანურიდამ გაეგზავნა ქართველ ბატონს იასე მაჩაბლი ჩერქეზეთში ჯარისათვის და აღუთქვეს ფრიადი: მივიდა იასე ქვეყნათა ჩერქეზისათა, ეცადა დიდათ და ვერ დაიმორჩილა, არავინ გამოყვა, მთელი დაღესტანი წამოვიდაო და ჩვენ ამათი ომი არ შეგვიძლია. მოვიდა იასე მაჩაბლი თელავს და მოახსენა ესე ყოველი შეფეთა“<sup>1</sup>.

პაპუნა ორბელიანს თავის თხზულებაში დაფიქსირებული აქვს საინტერესო ფაქტი ქართლ-კახეთის სამეფო კარისა და ყაბარდოს მთავრის ნათესაურ კავშირზე, როდესაც იგი გადმოგცემს ყაბარდოში იასე მაჩაბლის წარუმატებელი ელჩობის ამბავს, დასძენს: „ამაზე წინათ (ე.ი. იასე მაჩაბლის ელჩობამდე - გ.ს.) რამაზ ენდორონიკაშვილი ყოფილა ჩერქეზეთში და მცირე დახმარება მოუღია. ჩერქეზთ ბატონი თან ახლდა მეფეს, იგი გიორგი ბატონიშვილის სიმარი იყო“<sup>2</sup>.

ეჭვს გარეშე, რომ ქართლ-კახეთის მეფის ნათესაურ კავშირს ყაბარდოს მთავრთან პოლიტიკური მიზეზიც ექნებოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყაბარდოს მთავრები ამ დროს საკმაოდ კრიტიკულ სიტუაციაში იყვნენ. მათზე განსაკუთრებით გაძლიერდა ზეწოლა ოსმალო აგრესორების და მათი მოკავშირე ყირიმის ხანებისაგან,<sup>1</sup> ამიტომ ისინი საქართველოს სახით სამედო მოკავშირეს ხედავდნენ.

ყაბარდოსა და ქართლ-კახეთის აქტიური ურთიერთობა არც ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ შეწყვეტილა. კეთილ-მეზობლური კავშირი ორ ქვეყანას შორის ვიორგი XII დროსაც გავრმელდა. პლატონ იოსელიანის ცნობით, გიორგი XII დროს, ყაბარდოს მთავრისგან გამოგზავნილი ელჩები დიდი ლიახვის ხეობაში არსებული გზით საქართველოშიც ჩამოსულან.

„ჩერქეზ ბატონმა მეფეს საჩუქრად ცხენები უბობა. გიორგი XII სამაგიერო საჩუქრები გაუგზავნა მას და... გაისტუმრა ლიახვის ხეობითა, იმავე გზითა, რომლითაც მოვიდნენ. ესენი ჩააბარა მშვიდობითისა მგზავრობისათვის იასე მაჩაბლისა ლიახვის ბატონსა და დავით ამირეჯიბსა იმერეთის მესაზღვრეთა და მოყვრობით იმერეთისა და მეგრელისა თავადთა თანა დამოკიდებულთა“<sup>2</sup>.

ჩვენი აზრით, ყაბარდოელი ელჩების დიდი ლიახვის ხეობაში არსებული გზით შემოსვლა საქართველოში, განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობისათვის ყველაზე ხელსაყრელი „ხევის“ გზაზე ოსმალთა ძალების და ყირიმის ხანის თავდასხმების საფრთხე იყო.

1. . ე. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65

2. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 191

1. იქვე.

როგორც მკვლევარი ე. კოპალიანი აღნიშნავს: „იგი (თურქეთზე საუბარი - გ.ს.) ესწრაფება ხევ-ყაბარდოს გზის აელში ჩაგდებას, ვინაიდან იგი რუსეთს აკავშირებდა საქართველოსთან და ამით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თურქეთისა და ყირიმის სახანოს აგრესის წინააღმდეგ ბრძოლაში“!

სწორედ ამიტომ ყაბარდოელმა ელჩებმა საქართველოში გამოსასვლელად დიდი ლიახვის ხეობაში არსებული გზა ამოიყენეს. ამ საქმეში იასე მაჩაბელს უნდა ეთამაშა დიდი როლი, რადგან ლიახვის ხეობა სწორედ მის მფლობელობაში ჰედიოდა.

## იოანე ქართველიშვილის მოღვაწეობა და სოფელი ბელოთი

ბელი ქართული კულტურის ცენტრებიდან შიდა ქართლში არაერთი მნიშვნელოვანი კერის დასახელება შეგვიძლია, რომელთა შესახებ საუბარი საკმაოდ შორს წაგვიყვანს. შიდა ქართლი იმთავითვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არამარტო სახელწიფოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით, არამედ კულტურული კუთხითაც. ქართული სინამდვილიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ორი ცნება საუკუნეთა მანძილზე ერთიმეორეს ავსებდა და შესაბამისად, კულტურული ცხოვრების პროგრესი ასოცირდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერესთან. როგორც აღვნიშნეთ, ამ მხრივ შიდა ქართლს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან აქ არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში არსებული სამწიგნობრო მაჯისცემის გარეშე შეუძლებელია იმსჯელო ზოგადად ქართული კულტურის ისტორიის შესახებ.

შიდა ქართლის კულტურული კერებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სოფელ ბელოთის, რომელიც პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე მდებარეობს. ეს ტერიტორია ისტორიული ქსნის საერისთავოში შედიოდა.

პატარა ლიახვის ხეობა სტრატეგიული თვალსაზრისით ძველი დროიდანვე იქცევდა ქსნის საერისთავოს მფლობელთა ყურადღებას. ამ სტრატეგიულობას განაპირობებდა ხეობაში გამავალი მნიშვნელოვანი გზები.<sup>1</sup> სოფელი ბელოთი ამ გზების

ე. კოპალიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65

1. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 26

ურთვარ გაკონტროლებელ ადგილად გვევლინებოდა, რამაც განაპირობა გვიან შუასაუკუნეებში ბელოთში ციხე-სიმაგრის აგება.<sup>1</sup> აღნიშნულ ციხეს იხსენიებს XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში მყოფი არაერთი უცხოელი მოგზაური. მათ შორის: ოოპან ანტონ გოულდენშტედტი და ედუარდ აიხვალდი. მათ შორის: ოოპან ანტონ გოულდენშტედტი და ედუარდ აიხვალდი. გოულდენშტედტის აღწერით მას პატარა ლიახვის ხეობაში უნახავს აწერისხევის, ბელოთის და ერედვის ციხეები,<sup>2</sup> ხოლო უნახავს აიხვალდის თხზულების მიხედვით პატარა ლიახვის ედუარდ აიხვალდის თხზულების მიხედვით პატარა ლიახვის მარცხნა ჩაპირზე მდებარეობდა ბელოთის „მაგარი ციხე“.<sup>3</sup>

ბელოთში, ციხე-სიმაგრის გარდა, ქსნის ეროსთავებს სარეზიდნციო სასახლეც პჟონიათ აგებული. ამ სასახლის აგებას ვახუშტი ბაგრატიონი გოორგი ფულარალასს უკავშირებს. „აქა ბელოთს კოოლ ჰავისათვის პჟმნა სასახლე ქსნის ერისთავის ძემან ფულარალასმან გოორგიმ საყოფელად თვისადა“.<sup>4</sup> ამ ფაქტს ძემან ფულარალასმან გოორგიმ საყოფელად თვისადა: „უამსა დაასტურებს აგრეთვე გოულდენშტედტის ერთი ცნობაც, რომლის სოფელ ბელოთზე დავა პჟონდათ გოორგი ფულარალასს მიხედვით გოორგი ფულარალასს დარჩა. ამ გოორგი ფულარალასს დარჩა. სწორედ ამ უკანასკნელს ბელოთ გოორგი ფულარალასს დარჩა.<sup>5</sup> სწორედ ამ უკანასკნელს მოუხდა გელათზე დიდი დაპირისპირება სამეცო ხელისუფლებასთან. მოუხდა გელათზე დიდი დაპირისპირება სამეცო ხელისუფლებასთან. მოუხდა გატონიშვილი თავის თხზულებაში მოგვითხრობს: „უამსა დავით ბატონიშვილი თავის თხზულებაში მოგვითხრობს: „უამსა

1. 3. ზაქარაა, საქართველოს ძელი ციხე-სიმაგრეები, გვ. 131

2. გოულდენშტედტის, მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. ქართული ტ. I, თბ., 1962, გვ. 153

3. გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ., 1964, გვ. 149

4. გოულდენშტედტი ბაგრატიონი, აღწერა სამეცოსა საქართველოსა, ქართლის

ცხრილი, ტექსტი დადგენილი ყველა მირითადი ხელნაწერის მიხედვით ცხრილი, მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 369

5. გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 99

ამას (1778 წ.) უკუდგა ფულარალასი გიორგი ერისთავი ქსნისა. ამას ზედა წარგზავნა მეფემან ძეი თვისი გიორგი და ლევან, რომელიც შეპყრეს და შთამოიყვანეს პყრობილად. თუმცა მეფემან მიუტევა შეკოდება, გარნა მოუდო ქსანი მიზეზითა ამთ, რამეთუ ჰყვა მას ლეკთა მწედრობად და არბევდა ქართლსა და აოხრებდა სოფლებთა, ვითარცა ავაზაკი. და მოუბობა ქსანი ძესა თუსსა გიორგის. ხოლო ლიახვი იულონს“!<sup>6</sup>

ამის შეძლევ იწყება იულონ ბატონიშვილის აქტიური დამკვიდრება პატარა ლიახვის ხეობაში, კონკრეტულად კი ბელოთში. ბელოთის სასახლე გადაიქცა ბატონიშვილის რეზიდენციად და ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად. ერისთავების წინააღმდეგობა მაინც არ ჩაცხრა და შემთხვევითი არ იყო, რომ დედოფალი ოთარ ამილახვარს ავალებდა, რათა ბელოთში მყოფი იულონისთვის გადაეცა ცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

„ქ. ჩემს შვილს იულონს ესეც ასე შეატყობინე, რომ ეხლა რომ ბელოთს დგას მაგდენი სიფრთხილე და თადარიგი ხომ არ იქნება რა, ქსნის ერისთავის შვილები ახალციხეს რომ წავიდნენ. ახლა იულონის ბელოთს დგომა აღარ ვარგა, აიყაროს და ცოლ-შვილით გორს ჩამოვიდეს და დადგეს. მეც ასე მემჯობინება და სხვანი ბევრნი პირნიც ასე არჩევნ და თქვენ კი არ ვიცი“!<sup>7</sup>

ეს წერილი თარიღდება 1788 წლით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბელოთი კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა.

1. დ. ბატონიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1744-1844 წ.წ., თბ., 1906, გვ. 15

2. გ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, თბ., 1966, გვ. 65

XVIII საუკუნის 70-იან წლებში ბელოთში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: „იასე ბარათაშვილი (1728-1786) და სოლომონ ალექსიშვილი (1742-1808).<sup>1</sup>

ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით ბელოთთან შპილროდ იყო დაკავშირებული იოანე ქართველიშვილი, რომელიც იულონ ბატონიშვილის აღმზრდელი და კარის მწიგნობარი გახლდათ.

იოანე წარმოშობით სოფელ ფხვენისიდან იყო. მამამისი ოთარ ქართველიშვილი დაახლოებული ყოფილა ერეკლე II მოწინააღმდეგე აბდულა ბეგთან, რომლის წყალობითაც მას სამშვილდეში მამულები გადაეცა. აბდულა ბეგის დამარცხების შემდეგ, ოთარ ქართველიშვილი დასახლდა სოფ. ფხვენისში. სწორედ აქ დაიბადა იოანე ქართველიშვილი, რომელმაც თავისი დროის კვალობაზე შესანიშნავი განათლება მიიღო. ანტონ კათალიკოსის დახმარებით, არქიმანდრიტ ვარლამ ერისთავთან ის მეცნიერების არაერთ დარგს დაუუფლა. 1794 წელს, იოანე ქართველიშვილი, იულონ ბატონიშვილის მიწვევით სამეფო კარზე მცირეწლოვანი ბატონიშვილების აღმზრდელად იწყებს მსახურს და ამის შემდეგ ბატონიშვილ იულონს ის თითქმის განუყრელად თან ახლავს. თავის მოგონებებში იოანე ქართველი-შვილი დიდ ადგილს უთმობს სოფელ ბელოთს. როგორც ჩანს, მეფის ძე იულონი ბელოთში ძალიან ხშირად იყო და მისი კარის მწიგნობარიც იქ მოღვაწეობდა.

შვილის მისამართით დაწერილი სიტყვებიდან ვიგებთ, რომ იოანეს იულონის ძის - ლევან ბატონიშვილისთვის ახლად შობილი ძეც მოუნათვლინებია. „წელიწადსა 1800, ქორონიკონს უპტ დაწყებაში მეფის ძე იულონ აიყარა ფომილით ბელოთიდამ



1. კლ. მენაძე, ჭველი ქართული კულტურის კერძი, თბ., 1990, გვ. 53

და ქრცხინვალს ჩამოვიდა. მეც ჩამოვყე თან და თქვენც ჩამოგიყვანე, შვილო, შიო, აქ მომეცა ღუთისაგან ძე, მმა შენი, იანვრის კ.ზ. (27), რომლიც მოვანათვლინე მეფის ძის ძეს ღვრონს და უწოდე გაბრიელ<sup>2</sup>.<sup>1</sup>

იოანე ქართველიშვილი ბატონიშვილ იულონის კარის მწერალი იყო, მას ევალებოდა არამარტო ქაღალდების წარმოება, არამედ მეფის ძეების აღზარდაც და ბატონიშვილის კარზე ღვთისმსახურება.

„ამ უამიდან ბატონიშვილი იულონ საცა წაბრძანდებოდა, თან არ გამიყოლებდა ხოლმე, ბატონის სხალს ვახლდი, მცდელობით ვმსახურობდი და ყმაწვილებს წიგნს ვკითხულობდი. ამ უამიდან კი, თავისთვის დამაწყებინა სიარული მეფის ძემ იულონმა მწერლობის მიზეზით, რომ მწერალი არავინ ჰყვანდა.

ტყვიავს მიბრძანდა ბატონიშვილი იულონ, მეც თან ვახლდი, თვის მმისწული დავით დაიბადა. ამოვიდა იქ, ნახა, ორს კვირამდინ იქ დაგვიგვიანდა, შემდგომად ისევ ქრცხინვალს გადმოვედით, აჰყარა თვისი ფომილია და ბელოთს წაიყვანა მეფის ძემ იულონმა. გავყევით ჩვენც ისევ თანა...“<sup>2</sup>

პატარა ლიახვის ხეობაში ბელოთის ციხე სიმაგრის გარდა იულონ მეფის ძე აქტიურად იყენებდა კულბითსაც, სადაც მისი ოჯახიც ხშირად იდგა. მეფის ოჯახს თან ახლდა იოანე ქართველიშვილი, რომელიც დროდადრო ბელოთში ადიოდა. როგორც მისი თხზულებიდან ჩანს, ოჯახიც ბელოთში ჰყავდა. აქ მას გარდაცვლია დედა, რომელიც წამოუსვენებია და არბოს ეკლესიაში დაუკრძალავს. იოანე თავის შვილებს წერდა: „ამ

1. იოანე ქართველიშვილი, მეტურები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით,  
რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1952, გვ. 81

2. იქვე.

კულბით დგომაში დედაჩემი, ბებიათქენი დიდათ ავად იყო. ამდენი კერ მოვიცალე, რომ სანახავად ამოვსულიყავ, არა თუ ჩემი საქმე მქონდა ბატონიშვილი თავს არ მანებებდა, რომ ნიადაგ საქმეები ჰქონდა და სხვა მწერალი არავინ ჰყანდა. ერთს დღეს დავეთხოვე, ამოველ ბელოთს, დედაჩემი ვნახე და მეორე დღეს ისევ დავებარებინე, წამიყვანეს, ჩემი ცოდვით და უბედურებით ამისთანას უამს მომივიდა ჰამბავი, რომ დედაჩემი აღსრულებულიყო, მაისის დ (4) წამოველ და იმ ღამეს მოველ ბელოთს, საღამოს ხაზედ შევიტყვე, დღისა ერთი სათო იქნებოდა გასული, რომ მოველ; ბელოთს ხომ ეკლესია არ არის მიცვალებულის დასამარხავი. მეორე დღეს რითაც ღონით იყო ვცადე, რომ მიცვალებული არბოს ეკლესიაში ჩავიტანე და იქ დავმარჩე. კაცი გამოეგზავნა ბატონიშვილს იულონს, ზევით აღარ გამიშვა, იქდან ისევ კულბითს გამიყვანეს. ამ დროს მისთანა მწუხარებაში მომადგა მშობელს და მოამაგეს დედის სიკვდილზედ. ამგვარად მოუცლელობა; თქვენ იქ ბელოთს იყავით უპატრონოთ, ეს კიდევ სხვა საწუხარი იყო. დღე ყოველ შფოთს მოველოდები მას გარდა ეს კიდევ სხვა საწუხარი ჰქონდა“!

იოანე ქართველიშვილს ოჯახური ტრაგედიის გარდა, სამეფო ოჯახში არსებული დაპირისპირებაც უშძლიდა ხელს ლიტერატურულ-კულტურული საქმის განხორციელებაში. იულონ ბატონიშვილს XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე დაუპირისპირდა გიორგი XII-ის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი. იოანე ქართველიშვილის ერთი ცნობით ვიგებთ, რომ დავით ბატონიშვილი, თავისი ბიძის - იულონის წინააღმდეგ რუსის ჯარის გამოყენებას აც არ ერიდებოდა. იულონი იძულებული იყო, რომ მმისწულთან

შებმას არიდებოდა და პატარა ლიახვის ხეობიდან, კონკრეტულად კი ბელოთიდან საქართველოს სხვა კუთხეში გახიზნულიყო.

იოანე ქართველიშვილი ერთგან წერს:

„აქა ჯარიაშენს დგომაში, ორჯერ და სამჯერ ქალაქიდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის (იგულისხმება დავით ბატონიშვილი - გ.ს.) რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ თებერვლის ვ (6) მეფის ძე იულონ ფომილით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისკენ წამოსასვლელად გაემზადა“!

ბელოთიდან იმერეთში გადასვლა იულონის მიერ შემთხვევით არ იყო მოფიქრებული, აქედან იმერეთში გადასასვლელი გზა არსებობდა, რომელსაც მეფის ძე ხშირად იყენებდა.

იოანე ქართველიშვილი ერთგან აღნიშნავს, რომ ბელოთიდან იმერეთში გახიზნის დროს ხაზინა მას ქცხინვალში დარჩა.<sup>1</sup>

სოფელ ბელოთის, გარდა კულტურული შესწავლის კუთხით, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სხვა არაერთი სოფელიც იმსახურებს ყურადღებას მკვლევართა მხრიდან, ვფიქრობთ, ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობა დაინტერესდება აღნიშნული საკითხებით და დავიწყების მტვერს მოაცლის მივიწყებულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს.

1. იოანე ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 95

1. იოანე ქართველიშვილი, მემუარები, გვ. 95

## ვინ იყო მაჩაბელა?

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი უაღრესად როგორ დაძაბული აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრივი ოუაზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. „ოსმალობისა“ ოუ „ყიზილბათის“ შემდეგ ჩვენს ქვეყნაში გახშირებულმა ღეპთა თავდასხებმა არანაკლები საფრთხე შეუქმნა ქართველ ხალხს. მთელი მ ხნის განმავლობაში ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურების აქტიური მოღვაწეობა მიმართული იყო ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ერეკლე-თეიმურაზის ერთობლივმა კონივრულმა პოლიტიკამ შესამჩნევი წარმატებები მოუტანა ქართლ-კახეთის სამეფოს. საგარეო ოუ საშინაო პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვამ, თავის კვალი დააჩნია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას და კულტურას.

ქართული კულტურის გამოღვიძება-წინსვლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ეროვნულმა „სახიობამ“ და თეატრმა, რომელსაც XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან დიდ უზრუნველობას უწევდა ქართლის სამეფო კარი. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ვახტანგ VI სპეციალური სახლიც კი აუგია ხელოვნების ამ დარგისათვის. „სახიობის“ განვითარებას ერეკლე II დროსაც შეეწყო ხელი, როდესაც სასახლის კარზე თეატრალურ დასს სათავეში ედგა ვინმე მაჩაბელა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე გაურკვეველია მისი ვინაობა. საყურადღებო ცნობა მაჩაბელას შესახებ ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს: „...ესე იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა მუსიკი და კომედიანტი და ესე იყო უფროსი მსახიობთა და ცნობილი იყო სამუშაოსა სახლსა შინა. ესე იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსა სახელს დებენ მაჩაბელად“.

ჩვენთვის გაურკვეველია, რომ მკვლევარი დ. ჯანელიძე აღნიშნულ მსახიობს დავით მაჩაბელად იხსენიებს.

როგორც მკვლევარმა ტ. რუხაძემაც შენიშნა, თ. ბატონიშვილის ისტორიის რუსულ თარგმანშიც მაჩაბელას დავითი ჰქვია. უკველია, რომ ადგილი აქვს მაჩაბელას გაიგივებას XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის პოლიტიკურ მოღვაწესთან - დავით მაჩაბელთან, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული, წყაროთა მიზედვით, დავით მაჩაბელი ერეკლე II თანამედროვე და სამეფო კარის ერთგული პიროვნება ყოფილა. რომელსაც მონაწილეობა მიუდია კრწანისის ბრძოლაში და დიდი როლი შეუსრულებია მეფის გადარჩენის საქმეში. დ. ბატონიშვილი ამის შესახებ წერს: „დღესა მას იყო მხნედ მეფის ძის ძე იოვანე და მაჩაბელი დავით, მოურავი ბორჩალისა ჯანდიერ ჯანდიერიშვილი და სინჯია ქვეხა საქობოსი ქიზიყელი. ესრეთ უკუც იყვნენ ესე თუ არ იპოებოდნენ მუნ, შეიპყრობდნენ მეფესა ირაკლისა აბანოს კარსა ზედა, რომელთა სძლით გამოიყანეს მეფე ავლაბარსა შინა“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, დავით მაჩაბელი სულ სხვა პიროვნებაა. იგი კრწანისის ბატალიების მონაწილე კია, მაგრამ ცნობა არაფერს გვეუბნება ამ ბრძოლაში მისი დაღუპვის შესახებ. მაჩაბელა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავის მეგობარ მუსიკოსებთან ერთად „შეწირნეს მსხვერპლად სიყვარულსა მამულსა თვისსა... სახელოვნად დასთხიეს სისხლი თვისნი“. XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მაჩაბელთა უერდალური სახლის რამდენიმე წარმომაღენელია ცნობილი, რომლებთანაც

1. დ. ბატონიშვილი, მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად), გვ. 44

მაჩაბელას გაიგივება გაუმართლებელია. ამის საილუსტრაციოდ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით თითოეულ მათგანზე.

XVIII საუკუნის II ნახევრის საბუთებში იხსენიება დათუა მაჩაბელი, რომელიც 1795 წლის შემდგომ დოკუმენტებშიც ცვეტდება.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე იყო ხაალ მაჩაბელი. აღ. ობელიანის ცნობით, იგი ფრიად დაახლოებული ყოფილა ერეკლე მეორესთან, მაგრამ არანაირი აფუძველი არა გვაქვს, რომ ზაალ მაჩაბელი სამეფო კართან არსებულ თეატრალურ დასს დავუკავშიროთ. ამ პერიოდისათვის ცნობილია აგრეთვე ფარსადან მაჩაბელი, რომელსაც ერეკლე I-ის მიერ ბოძებული ჰქონდა დიდი ლიახვის ხეობის ხევისთავობა. პლატონ იოსელიანის იგი გიორგი მეთორმეტის მოხელეთა სიაში ჰყავს შეყვანილი და იხსენიებს როგორც: „ყმა მეფისა, როგორ ჯარის მკრებელი და ხარჯისა სახასოს შემგროვებელი“.<sup>1</sup>

მაჩაბელთა საგვარეულოდან ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ცნობილნი არიან აგრეთვე ზაზა მაჩაბელი, რომელიც სპაინის ბრძოლის მონაწილეც ყოფილა და იასე მაჩაბელი, რომელსაც სამეფო კარისაგან დიპლომატიური მისია ჰქონდა მინიჭებული ჩრდილოეთ კავკასიაში, კონკრეტულად კი ყაბარდოში. მე მისიაში იგულისხმება სამხედრო მოკავშირის ძიება საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნარატიული წყაროების მიხედვით, ერეკლე მეორის თანამედროვე და მისი ერთგული თანამებრძოლი ყოფილა ძაღლუა მაჩაბელი. ძაღლუას თავი უსახელებია ლეკთა წინააღმდეგ

ბრძოლაში, ერეკლე მეორის იგი გამარჯვების მახარობლად მცხეთაში გაუგზავნია.

ერეკლე მეორის თანამედროვე მაჩაბელებიდან, ნარატიული თუ დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ცნობილია გოგია მაჩაბელი. 1786 წლის ერთ საბუთში იგი იასულად იხსენიება.

აღნიშნული პერიოდის საბუთებში იხსენიება აგრეთვე ლუკარსაბ მაჩაბელი. მას ერეკლე მეორის ბრძანებით ყაბარდოს ლაშქრობაში მოუღია მონაწილეობა. როგორც ვხედავთ, არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ერეკლე მეორის კარის „სახიობის“ ხელმძღვანელი მაჩაბელა, ზემო აღნიშნულ რომელიმე კონკრეტულ პიროვნებასთან გავაიგივოთ.

ჩვენთვის უცნობია ის გარემოებაც, რომ დიდმა ქართველმა პოეტმა გ. ლეონიძემ, რომელმაც ივანე მაჩაბელს ბიოგრაფიული ნარკვევი მოუძღვნა, მისი საგვარეულო გენეალოგიის დადგენა სცადა და ერეკლე მეორის „თეატრის რეჟისორად“ მოიხსენია თამაზ მაჩაბელი. თუმცა ამის შესახებ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის აღიარებულ წარმომადგენელს არავითარი წყარო არ აქვს მითითებული.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშ ვინ უნდა ყოფილიყო ერეკლე მეორის კარის „სახიობის“ ხელმძღვანელი მაჩაბელა? საკუთარი სახელია იგი, თუ მაჩაბელთა საგვარეულოს უკავშირდება? მაჩაბელა საკუთარი სახელია და ის მაჩაბელთა საგვარეულოსთან არანაირ კავშირშია. ქართულ ონომასტიკონში „მაჩაბელი“, როგორც საკუთარი სახელი, გავრცელებული ყოფილა მეთვრამეტე საუკუნემდეც. ჯერ კიდევ თირის მონასტრის სამრეკლოს წარწერაში (მეთოთხმეტე საუკუნის ბოლო) მოიხსენიება თავხელიძეთა ოჯახის წევრი მაჩაბელი.

საკუთარ სახელ მაჩაბელს ვხვდებით ასევე ვახტანგ მეექსის „დასტურლამალში“, სადაც მოიხსენიება ვინმე ოტიაშვილი

. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936, გვ. 254

მაჩაბელი. საკუთარ სახელ მაჩაბლის გავრცელებაზე მეტყველებს მეოცენიშეტე საუკუნის პირველი ნახევრის დოკუმენტი, სადაც იხსენიება მაჩაბელიშვილი ორდანე. საგულისხმოა აგრეთვე 1638 წლის ერთი დოკუმენტიც. „განჩინება როსტომ მეფისა პატა ელიზბარისშვილისა და გლურჯიძების მამულის საქმეზე“. ამ საბუთში იხსენიებიან ყმები - მაჩაბელაშვილები. ბუნებრივია, რომ ყმ მაჩაბელაშვილებს სამაჩაბლოს მფლობელ მაჩაბლებთან არანაირი კავშირი არ აქვთ და აღნიშნული გვარი საკუთარ სახელ მაჩაბელადან მოდის. ასეთი რამ კი, უცხო არ არის ქართული გვარ-სახელებში.

საკუთარ სახელ მაჩაბელის გვერდით, ქართულ ონომასტიკონში გვხვდება აგრეთვე საკუთარი სახელი თმოველი.

როგორც ვხედავთ, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მაჩაბელა ერეკლე მეორის თეატრალური დასის ხელმძღვანელის საკუთარი სახელი იყო. ჩვენ ზემოთაც მოვიყვანეთ თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა, სადაც ხაზი აქვს გასმული მაჩაბელას ეთნიკურ და კონფესიურ წარმომავლობას.

„...ესე (მაჩაბელა - გ.ს.) იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი... გვარულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაც სახელს დებდენ მაჩაბელად“. ეჭვგარეშეა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონმა არ იცოდა ამ პიროვნების გვარი, მაგრამ მისთვის ცნობილი ყოფილა მაჩაბელას ქართული წარმომავლობა და სარწმუნოებივი აღმსარებლობა. მაჩაბელა რომ მაჩაბელთა გვარის წარმომადგენელი ყოფილიყო, ბუნებრივია აღარ დაჭირდებოდა იმის ხაზგასმა, რომ ის იყო „გვარულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი“.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბუჭდილ სტატიაში „მაჩაბელა“, ისტორიკოსი ქ. ჩხატარაიშვილი წერს, რომ „თეიმუ-

რაზ ბატონიშვილის ცნობით, მაჩაბელა ქართველი იყო, დაბალი ფენებიდან გამოსული<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობის არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე. ისტორიკოსი სრულიად ნათლად მიგვანიშნებს, რომ მაჩაბელა „იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა“... ვფიქრობთ, სიტყვა წარჩინებული არ შეესაბამება დაბალ ფენებს.

მაჩაბელას წარმომავლობის შესახებ დამკვიდრებულმა არასწორმა წარმოდგენამ<sup>2</sup> მხატვრულ ლიტერატურაშიც პპოვა ასახვა და მაჩაბელა დამკვიდრდა, როგორც მაჩაბელი, ანუ გვარის ფორმა. რაც შეეხება თვითონ მაჩაბელას, იგი მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ცნობილი საზანდარი იყო, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა დიდებულთა ნადიმებზე და ქორწილებზე. გარდა თავისი პროფესიული საქმიანობისა, მაჩაბელა ენერგიული მებრძოლიც ყოფილა. აღა-მაჟმად-ხანის შემოსევისას, საბედისწერო 1795 წლის 11 სექტემბერს, მაჩაბელა თფილისის მცხოვრებთაგან სახელდა-ხელოდ შეკრიბილი ჯარით შეერთებია ვახტანგ ბატონიშვილს.

თ. ბატონიშვილის ცნობით: „ესე მიუძღვა გუნდსა მას ტფილისელთასა მტერთა მიმართა და ეპყრა ხელთა მისთა ბარბით, ე.ი. დაირა და უკვრიდა მას ზედა შადიანსა... ხოლო მებრძოლნი ესე იყვნენ მკვირცხლნი და მიმართეს ქვევითთა ამათა და ბრძოლეს მტერთა ფიცხელად და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა ხიზიყელთას და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწევდეს ვიდრე დროშამდე

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, გვ. 508

2. თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 393

ა-მაპმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანი მოსწყვიტენენ  
ნაშე მისსა“<sup>1</sup>

მაჩაბელა გმირულად დაეცა კრწანისის ბრძოლაში.<sup>2</sup> სამწუ-  
როა, რომ სამშობლოსათვის თავშეწირული მამულიშვილის  
არი ისტორიამ ვერ შემოინახა.

1917 წლის ერთი უცნობი დოკუმენტი  
სოფელ ტყვიავის შესახებ

ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში დიდი  
როლი ენიჭება წყაროთმცოდნებითი ბაზის გაფართოებას. ახალი  
ისტორიული დოკუმენტების მოძიებას და მეცნიერულ შესწავლას  
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული საისტორიო მეცნიერების  
პატრიარქი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.

შიდა ქართლის სოფლები ქართულ საისტორიო მეცნიერე-  
ბაში ნაკლებად არის შესწავლილი და ამ პრობლემების გადასაჭ-  
რელად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ამ სოფლებში გაბ-  
ნეულ სხვადასხვა სახის ისტორიული საბუთების შეგროვებას,  
ასევე ეთნოგრაფიული, თუ ფოლკლორული მასალის მოძიებას.

ამჯერად გვსურს წარმოგიდგინოთ, 1917 წლით დათარიღე-  
ბული ერთი დოკუმენტი, რომელიც სოფელ ტყვიავს უკავშირდება.

ეს დოკუმენტი მოიძია და გადმოგვცა ცხინვალის სახელმ-  
წიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის  
სტუდენტმა ნატო ხაბაზიშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას  
მოვახსენებთ. დოკუმენტი წარმოადგენს ფასიანი გარიგების  
ქაღალდს და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმით,  
რომ იგი შეუდგენია გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და  
საზოგადო მოღვაწეს, ქართული ბოტანიკური სკოლის  
ფუძემდებელს, აკად. ნიკო კეცხოველს, რომელიც სწორედ სოფელ  
ტყვიავში დაიბადა და გაიზარდა,<sup>1</sup> დოკუმენტი ნ. კეცხოველის

ცინცაძე, აღა-მაპმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963, გვ. 142  
ბილისის ისტორია, ტ. I, გვ. 438

1. იხ. ამის შესახებ, გ. სოსიაშვილი, როგორ იგონებენ თანასოფლები ნიკო  
კეცხოველს, გაზ. „გორის მოაბე“, №24, 1997

## იულონ ბატონიშვილი და სამაჩაბლო

ერთნაწერს წარმოადგენს. აღნიშნული საბუთი გახლავთ ეწ. ვექსილის“ ქალალდი ოთხასი მანეთის ღირებულებისა და იგი არმოადგენს ერთგვარ გარიგებას სოფ. ტყვიავში მცხოვრებ რმენა და იაკოფა გიგუაშვილებსა და ფლავისმანში მცხოვრებ კიორგი გიგოს ძე გიუნაშვილს შორის. ღოკუმენტს აქვს რუსული აგენტო მარკა და „ვექსილის ქალალდის“ სიმბოლური გამოსახულება, რუსეთის სახლმწიფო გერბის მთავარი ატრიბუტის ორთავიანი არწივის თანხლებით. ღოკუმენტში აღნიშნულია: — 1917 წელსა ენკენისთვის 28 დღესა, ჩვენ, ამისა ქვემოთ აღლის მომწერელნი, სოფელ ტყვიავში მცხოვრებელნი არმენა და იაკოფა ანდრიასძენი გიგუაშვილები. მით მოვალენი ვართ, თქვენ სოფელ ფლავისმანში მცხოვრებ გიორგი გიგოს ძე გიუნაშვილს გადაგიხადოთ პირველ თხოვნაზე უსარგებლო არმოცი თუმანი ფული, რომელიც დღეს ჩვენ ნაღდი მივიღეთ და ჩვენი ვალია, რაზედაც ვაწერთ ჩვენ ხელს არმენა და იაკოფ ანდრიასძენი გიგუაშვილები. მათი წერის უცოდინარობის გამო, ამათი თხოვნით, ამათ მაგიერ ხელს ვაწერ ნიკო კეცხოველი (სიმართლეს ამავ ვექსილისას ხელის მოწერით და ბეჭდვის დაკვრით ადასტურებს ტყვიავის კომისარი ლევან ჩიქლაძე)“. ღოკუმენტი მართლაც არის დამოწმებული შესაბამისი ბეჭდით. აღსანიშნავია ისიც, რომ საბუთში ნახსენები ტყვიავის კომისარის გვარი ჩიქლაძე დღეს, აღნიშნულ სოფელში, ჩიხლაძის ფორმით გვხვდება და საკმაოდ გავრცელებულ გვარს წარმოადგენს.

XVIII საუკუნის ბოლო საქართველოში აღინიშნება საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის უკიდურესი გართულებით. მაკმადიანურმა აგრესიამ ქართლ-კახეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები რუსული ორიენტაციის გზაზე დააყენა. ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი თითქმის ჩიხში მოქცეული ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანის ერთ-ერთ სწორ ორიენტირს წარმოადგენდა, თუმცა, სამწუხაროდ, რუსეთმა როგორც მფარველმა სახელმწიფომ, ვერ გაამართლა ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთა იმედები. ქართველ ხალხს რუსიფიკაცია დაემუქრა, რაც გამოვლინდა მრავალი ფორმით, ქართული სახელმწიფოებრიობის წაგვრით (1801 მანიუსტი) და ეროვნულ ცნობიერებაზე განხორციელებული შოვინისტური შტურმით. რუსულ კოლონიალიზმს წინ აღუდგა სამეფო სახლი და ამ სახლის წევრთა ირგვლივ დაჯგუფებული ქართველი არისტოკრატიული ფენა. XIX საუკუნის პირველი მესამედი აღსავსეა რუსული მეტროპოლიის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლებით, რომლებსაც ქართველი ბატონიშვილები ხელმძღვანელობდნენ. ამ საქმეში დიდია იულონ ერეკლეს ძის წვლილი, რომელსაც მხარს სხვა ფეოდალების გარდა მაჩაბლებიც უჭერდნენ.

ერთი პერიოდი მაჩაბლთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები ჩაბმულნი იყვნენ 1769 წელს საქართველოში მყოფი გენერალ ტოტლებენის მიერ ერეკლე II-ის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში.

რუს გენერალს, მაჩაბლების გარდა, სხვა თავადებიც აუმხედრებია ქართლ-კახეთის მეფის წინააღმდეგ, მათ შორის

დავით ქენის ერისთავი, ზაალ ორბელიანი, ამირეჯიბი და სხვა.<sup>1</sup> დაგეგმილი შეთქმულება ღროწე გამჟღავნდა და ერეკლემ მოღალატენი შეიჰყრო. მეფისაგან მაჩაბლების დატყვევების ამბავს ნათელს პფენს ერთი ცნობაც, რომელსაც თ. უორდნიამ მიაკვლია. ამ ცნობაში აღნიშნულია: „უნთ 1771 ზაფხულ-შემოდგომაზედ, ერისთავი დავითი (ქენის ერისთავი - გ.ს.) ავად იყო. სანახავად მოვიდა ზაალ ორბელიანი. ლაპარაკის ღროს დავითმა უთხრა ზაალს, მე მითხრეს მაჩაბლებსა და ზაალს ბატონი უწყრება, მაჩაბლებს დაიჭერს და შენ ნუ შეგვეძნდება. ამ ლაპარაკზედ შევიდა ისე მსაჯული, იმასაც უთხრეს. მესამე დღეს, მაჩაბლები დაიჭირეს.<sup>2</sup>

ერეკლემ ორი მმა მაჩაბელი, რომელთა ვინაობაც დაუდგნელია, 1771 წლის 25 ივლისს თავისი ყმა ოსებით ლილოში გადაასახლა.<sup>3</sup> ამან გააძლიერა სამეფო ხელისუფლების გავლენა სამაჩაბლოზე.

1777 წელს ერეკლე II, ქენის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ლიახვის ხეობა ოულონ ბატონიშვილს გადასცა.

იულონი დაუფლებია ქეხვს და მაჩაბელთა სარეზიდენციო სოფელს აჩაბეთს. მანამდე აღნიშნულ სოფლებში არსებობდა სადედოფლო ყმები.<sup>4</sup>

რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულმა იულონ ბატონიშვილმა კარგად გამოიყენა სამაჩაბლოს ადგილმდებარეობა. აქ არსებული

ბალები და ანტირუსულ კოალიციაში მაჩაბლების ჩაბმაც გადაწყვიტა. გენ. ლაზარევის წერილში, მთავარმართებელ კორინგისადმი აღნიშნულია: „Посланный много к царевичам Юлону, Александру и Парнаозу, въ имерети находящимся, съ письмами въ пр. приглашающими царевичей сих въ россию. Князь Мачабели вчерашияго числа отто возвратился, привезя ко мне отъ нихъ отзывыской семь въ пр. представить честь имею“.<sup>1</sup>

რუსეთის წინააღმდეგ ამბოხებულ ბატონიშვილებს განზრახული პეტერბურგი მაჩაბლების ჩაბმა ანტირუსულ გამოსვლაში.

1802 წლის 17 აგვისტოთი თარიღდება ერთ-ერთი წერილი, რომელიც იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების მიერ არის დაწერილი დავით მაჩაბლის მიმართ: „ბრწყინვალე თავადო მაჩაბელო, ნაზირო დავით, საქართველოს მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ სიყვარულით და პატივით მოგვითხვათ. მემრეთ აქმდის ხომ საკვირველია, რომ შენც შეიტყობდი, მთელი კახეთი და ქიზიყი როგორისაც ვიცით შეკრულან ჩვენს ერთგულებაზედ, უკანასკნელ სისხლს დაქცევამდის, ერთობით იმათი წერილი ასე მოგვივიდა. ღმერთს ერწმუნე და მამის ჩვენის მზემა, რომ ასე მოგვივიდა. წერილი და წუთით არც არის იქაური კაცნიც იყვნენ აქ ჩვენთან და გაგვისტუმრეთ. აბა ახლა გაგიჩნდება ჩვენი სიყვარული და ერთგულება. როგორც აღქმული გვაქვს ჩვენთან პირობით, ყოვლის ფრით ისე მოიქეც;

1. ბ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, მ. დუმბაძე, პ. რატიანი, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1955, გვ. 358; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 218

2. თ. უორდნია, ქრონიკები, III, გვ. 327

3. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 129

4. იხ. სადედოფლო დასტურმალალი, პ. უმიკ. რედ. 1886, გვ. 721

1. Акты I стр. 243, №169  
2. Акты I стр. 230

ამას და გარდა ვისაც ერთს შენს კაცს ენდობოდე. ეხლავ აქ საჩქაროდ გამოგვიგზავნე. მანდაური ამბავიც შეგვატყობინე...<sup>2</sup>

1804 წლის მთიულეთის აჯანყება მთიულეთის, ხანდოს, ხევის, გუდამაყრის, უმურის, თრუსოს და სხვა ხეობათა გარდა დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებსაც მოედო. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს, რომლებიც აჯანყებას სათავეში უდგნენ, ერთხანს სამაჩაბლოში უცდიათ თავშეფარვა. ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ხოლო ამისა შემდგომად წარმოსრულნი მეფის ძენი (იულონი და ფარნაოზი - გ.ს.) მოვიდნენ სურამის სიახლოვესა. ევონათ მისვლად მუნ ქართველ თავადთა და არვინ მოვიდა მათ თანა. ამათ ინგებს მტკვარს გასვლა. მისვლა ფაბაქს ფირფული ხანთან და ვერ უძლეს, რამეთუ მტკვარი განდიდებულ იყო ფ—დ. კ—დ წამოვიდნენ და აღვიდნენ ოსებში სამაჩაბლოსა და ვერცა მუნ დადგნენ შიშისა ოვსთასა, რამეთუ აქნდათ პირი მტკიცე მას უამსა ოვსთა რუსთანა“!

ერევნიდან დაბრუნებულმა გენ. ციციანოვმა აჯანყების ჩახშობას აქტიურად მოჰკიდა ხელი. მან ჯერ არაგვის ხეობა დაარბია, შემდეგ დიდი ლიახვის ხეობასაც მიაკითხა. „მაშინ წარემართა ციციანოვი სამაჩაბლოს ოვსთა ზედა, რამეთუ დროსა მას აღრეულობისასა წარმოიყვნა პოლკი სამი ფაზახისა კავკასიის ლინიით ტფილისის ნაცვალსა, მიკირტუმა სულგუნვს და ენება მუნით გარდმოეუვანა ქართლსა შინა. ამისმა მხილმველმა ოვსთა იწყინეს გზისა მის გახსნად და შემოყვანა ჯარისა. მოკრბნენ ოვსნი და სრულად შეიპყრნეს იგინი, მისრულმან მუნ ციციანოვმა გაათავისუფლა იგინი“<sup>2</sup>.

1. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 92

2. იქვე, გვ. 95

ციციანოვმა საბოლოოდ სისხლში ჩახშო სამაჩაბლოს ოსთა წინააღმდეგობა. მან მაჩაბელთა სახლის რამდენიმე პრორუსულ ორიენტაციაზე მყოფი წარმომადგენლის დახმარებით ჯერ ჯავა აიღო, შემდეგ ოსებისაგან გამაგრებული სოფელი კროი, ბოლოს კი დიდი ლიახვის სათავეში არსებული სოფელი კოშკი.<sup>1</sup> კი დიდი ლიახვის აჯანყება, როგორც ცნობილია, მარცხით დასრულდა. მთიულეთის აჯანყება, როგორც ცნობილია, მარცხით დასრულდა. მთიულეთის აჯანყებას დატონიშვილი ულევის ეწერში რუსთა აჯანყებულობან იულონ ბატონიშვილი ულევის ეწერში რუსთა რაზმა შეიპყრო. გიორგი რამინის ძე ბამბაკში გადავიდნენ, რადაც მათ იმედად აღ. ბატონიშვილი ეცულვოდათ.

ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამით არ დასრულებულა. მარცხის მიუხედავად, ბატონიშვილებმა უფრო გააქტიურეს ანტირუსული მოძრაობა. რუსეთში გადასახლებული იულონის საქმე მისმა ძემ ლევან ბატონიშვილმა განაგრძო, რომელმაც მნიშვნელოვანი აჯანყება მოაწყო სამაჩაბლოში.

გადასახლებული იულონ ბატონიშვილი მძიმედ განიცდიდა მშობლიური მიწა-წყლის ნოსტალგიას. მას განსაკუთრებით ენატრებოდა დიდი ლიახვის ხეობის ხილვა. ამის თაობაზე ენატრებოდა დიდი ლიახვის ხეობის ხილვა. ამის თაობაზე „დროება“ (1887, №167) წერდა: „იულონს, ამბობენ, გაზეთი „დროება“ 1887, №167)

1. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის რედ. თბ., 1941, გვ. 92

2. იქვე, გვ. 95

ვეოდალური მფლობელობის ერთი საკითხის  
დაზუსტებისათვის სამაჩაბლოში

XV–XVI ს.ს. საქართველოს პოლიტიკური დაშლის კვალ-  
დაგალ ქვეყანაში ახალი ფეოდალური უკრედები – სათავადო-  
სენიორიები აღმოცენდა. სათავადოების მფლობელი თავადები  
თავიანთ სამფლობელოებში სრული შეუვალობის მოპოვებას  
ესწრაფოდნენ და ამდენად, მეტოქეობას უწევდნენ სამეფო  
ხელისუფლებას. სათავადოების ჩამოყალიბებას და თავადების  
განკერძოებას პოლიტიკურად დასუსტებული სამეფო ხელისუფ-  
ლება წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. თუ გადავხედავთ ვეიან-  
შუასაუკრნებში საქართველოში არსებული სათავადოების სოცია-  
ლურ ბუნებას, ანდა, სათავადო-სენიორების მართვა-გამგეობის  
სისტემას, აშკარად იგრძნობა სათავადოების მიკროსახელმწიფოე-  
ბად გადაქცევის ტენდენცია.

სათავადოს თავისი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა  
გააჩნდა. სათავადოს განაგებდა თავადი თავისი სახლიკაცებით,  
ანუ თავადიშვილებით. ყოველ სათავადოში შემდეგი სახის  
მფლობელობა იყო: 1) „სახასო“ ქონება, 2) „საუფლისწულო“,  
3) „სათავისთაო“.

სათავადო ქონების აღნიშნულ სახეთა საინტერესო  
ინტერპრეტაცია მოგვცა პროფ. დ. გვრიტიშვილმა: „სახასო  
ქონება სათავადოს ძირითად ქონებას წარმოადგენდა. იგი  
შედგებოდა ყმების, მიწა-წყლის, ციხე-სიმაგრეების, ჯოგის, ბალ-  
ვენახების, საბაჟო-სახელოსნოების და სხვათაგან...“

„საუფლისწულო“ სათავადოს ნაწილს წარმოადგენს, რომე-  
ლიც მიცემული აქვს თავადიშვილს, როგორც სახარჯო ქონება,  
მთელი „საუფლისწულოს“ შემოსავალი ხმარდება თავადიშვილს...

„სათავისთავო“ სათავადოში პირად საკუთრებაზე დაფუძნებული  
ქონება იყო. იგი თავადიშვილის ოჯახის წევრების პირად საკუთრებას  
წარმოადგენდა. ეს იყო: მზითევი, ნასყიდი, ნაწყალობევი და სხვ.“<sup>1</sup>

ფეოდალური მფლობელობის ასეთი სახეები გვხვდება  
სამაჩაბლოშიც. სახასო ქონება ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენ-  
ტური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წარმოდგენილია  
„საუფროსო“ და „საუმცროსო“ – მფლობელობის სახით.  
ტერმინები „საუფროსო“ და „საუმცროსო“ გვხვდება მაჩაბელთა  
სათავადო სახლის გაყრის წიგნებში. ერთ-ერთი ასეთი წიგნი,  
რომელიც XVII ს. თარიღდება, ასახავს ავთანდილ, ლევან,  
უარსადან და დავით მაჩაბლების გაყრას. აღნიშნულ დოკუმენტში  
წერია, რომ: „მივეცით სვერს საუფროსოდ ალხაზიშვილს ლევანს  
და დავითს ხეთერელი შიო დღეს რისაც მქონებელ იყო“<sup>2</sup>.  
რაც შეეხება „საუმცროსოს“, მასთან დაკავშირებით ზემოთ  
ნახსენებ სახლიკაცების გაყრის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნუ-  
ლია: „მივეცით საუმცროსოდ ავთანდილს სასახლე, მარანი, ბეღელ-  
საბძელი, ბაღი, რაც სასახლის გალავანს შიგნით აქვს...“

მაჩაბლების მიერ ყმა-მამულის ყიდვა-გაყიდვის ამსახველი  
დოკუმენტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ისეთი ტერმინები:  
როგორიც არის „ბარათში ნარგები“, „ბარათის კაცნი“, „ბარათით  
წილში ნარგები“. მაგ: 1725 წ. ლევან მაჩაბლის მიერ შედგენილ  
ყმის ნასყიდობის წიგნში გივი ამილახვრისადმი წერია:  
„ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ  
მაჩაბლება ალხაზის შვილმა ლევან და მმამან ჩემმან დავით

1. დ. გვრიტიშვილი, უეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 272-273

2. სცსსა, ფ. 1450, 26/195

3. სცსსა, ფ. 1450, 26/199

და შვილმან ჩემმან აღხაზ და მომავალთა. სახლისა ჩვენისათა. ყოველთავე თქვენ ამიღახორს ბატონს გივისა... ასე რომე დაგვეჭირა და სათათოოს სათახოვარისაგან დიალ ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით“<sup>1</sup>!

ასეთივე შინაარსისაა, 1760 წელს ქაიხოსრო ფალავანდიშვილის მიერ შედგენილი ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნი ისე მაჩაბლისადმი, სადაც აღნიშნულია: „ქ. ნებითა... ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ფალავანდიშვილმა ქაიხოსრომა, მამავალმა სახლისა ჩემისამა, თქვენ მაჩაბელსა იასესა, ძმასა თქვენსა გიორგისა და ბარძისა, შვილსა თქვენსა ფარსადანსა, ზაზასა, რევაზსა, ზურაბსა, ერეკლესა, ივანესა და დავითსა... მას ჟამსა ოდეს ლეკისაგან დავტყვევდი ჩემის თავის სახსარათ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი ბარათში ნარგები ოქუტაშვილი იმედა და მახარა, მისი ძმისწული პატარკაცი თავეთის მამულითა დღეს თამარაშენსა რისაც მქონებელნი არიან“<sup>2</sup>.

ტერმინი „ბარათის კაცნი“ გვხვდება სახლისკაცების მიერ დაჩაგრული დათუა მაჩაბლის საჩივრის წიგნში, დოკუმენტი 1785 წლით არის დათარიღებული. საბუთში, რომლითაც დათუა მაჩაბელი ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლე II-ს დახმარებას და სახლისკაცების დავის სამართლიანად გადაწყვეტს სთხოვს, აღნიშნულია: „ღმერთმა ბედნიერის ხელმწიფოის ჭირი დათუა მაჩაბელს მისცეს. მოწყალევ ხელმწიფევ, უწინდელ დროს ვისაც უსამართლო დაემართებოდა, თქვენს ხელმწიფებაში ყველას

სამართალი მიეცა და ჩემის უბედურებით უსამართლო ვრჩები. ჩემის სახლისკაცებისაგან ყმითა და მამულით აკლებული ვარ... ღმერთი გაგიმარჯვებს ერთის ოქმის წყალობა მიყავით, რომ ოსებს თავდებად არავინ მიმცეს და იმ ქვეყნიდამ სრულებით არ დავიკარგო და ჩემი ყმის და მამულის სამართალიც დამემართოს, რომ მიმძლავრებით უჭირამთ ჩემს სახლისკაცებს და სხვათაცა სვერი მთლად, ძარწემს გოგიძე, ხეთში (უნდა იყოს ხეითი – გ.ს.) საბანაძე, საბაწმინდაში (?), დიცს კაპარჭაბის მამული, კიდევ ჩემი ბარათის კაცნი და მისი შვილები დაუყიდნა თემურაზ მაჩაბელსა“<sup>3</sup>! 1736 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში, რომლიც გახლავთ მეფე ალექსანდრეს მიერ მიცემული წყალობის წიგნი ბორტი მაჩაბლისადმი გვხვდება ტერმინი „ბარათით წილში ნარგები“.

„ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შემიწყალეთ და გიბოძეთ თქვენი მკვიდრი და ყოვლის კაცისაგან უცილობელი მთის ალაგის ოსები გუფთა და ჯავის ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა, რაც თქვენი სამკვიდრო მამული გქონებოდათ და გქონდათ და ზემოთხვისს რაზმაძები, ესენიც გაყრაში ბარათით წილში ნარგები ყოფილიყო და ბარათიც გქონდათ და ესენი ხელშეუვალად წყალობა გიყავით“.

ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ „ბარათი“ სათავადო სახლის წევრთა გაყრის მფლობელობის დამადასტურებელ „დოკუმენტს“ წარმოადგენდა. როგორც ჩანს, სახლისკაცები არ იყვნენ დაზღვეულნი, მომავალში, ერთი-მეორისაგან ქონების (ყმა-მამული) წართმევაში და ამიტომ თავიანთი ქონების დაცვის საქმეში მათ ესაჭიროებოდათ

1. დოკუმენტი საქართველოს სოციალური ურთიერთფედის ისტორიიდან.

2. ბერძნიშვილის რედ. ტ. I, 1941, გვ. 215-216

2. ქართული სამართლის ქველუბი, პროფ. ი. დოლისძის რედ. ტ. V, გვ. 109-114

1. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1979, გვ. 321

2. დოკუმენტი საქართველოს სოციალური ურთიერთოფის ისტორიიდან, I, გვ. 255

სპეციალური დოკუმენტი „ბარათი“, რომელსაც იურიდიული  
მაღა ენიჭებოდა. დავის შემთხვევაში, როგორც ჩანს, მას შეეძლო  
„ბარათის“ წარდგენა და თავისი უფლებების სამართლიანობის  
მტკიცება. „ბარათში ნარგები“ ქონება, ჩვენი აზრით, უნდა  
ყოფილიყო „საუფლისწულო“ ქონების შემადგენელი ნაწილი,  
რომელიც თავადიშვილს გაყრის შედეგად ჰქონდა მიღებული.  
პროფ. გ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ: „საუფლისწულო არის  
სახლის საერთო ქონების ნაწილი, რომელიც მიჩნილი აქვს  
საუფლისწულო სახლს (ოჯახს) სარჩოდ და საცხოვრებლად.  
საუფლისწულოდან სახლის წევრს არც გაყიდვა შეეძლო რამესი  
და არც გააზატება სახლის სხვა წევრების უკითხავად“. თუმცა,  
პროფ. დ. გვრიტიშვილს თავის ერთ-ერთ ნაშრომში დამოწმე-  
ბული აქვს ქსნის ერისთავების ერთ-ერთი საბუთი, სადაც  
აღნიშნულია: „ყველამ თავის საუფლის-წულო თავის ნებისამებრ  
უნდა მოვიხმაროთ“. აქ არსებული გამოთქმა „თავის ნებისამებრ“,  
სრულიად ნათლად მიგვანიშნებს საუფლისწულო მამულის  
მიმართ თავადიშვილის უფლებებზე. შესაძლებელია, ეს უფლებები  
ერთნაირად არ ვრცელდებოდა მთელ საუფლისწულოზე, მაგრამ  
საუფლისწულოში თავადიშვილს ჰქონდა გაყრის შედეგად  
მიღებული „ბარათით ნარგები“ ქონება – ყმა-მამული, რომლის  
გაყიდვის ან გაჩუქრის უფლებაც მას ეკუთვნოდა, გაყიდვის  
შემთხვევაში თავადიშვილს ყმა-მამულის მყიდველისათვის უნდა  
გადაეცა აღნიშნულ ქონებაზე მისი უფლებების დამადასტურე-  
ბელი დოკუმენტი – „ბარათი“.

## XIX საუკუნის ერთი საბუთი არბოს წმინდა გიორგის ტაძრის შესახებ

პატარა ლიახვის ხეობის სოფლებიდან, თავისი სიძველით,  
საკულტო ნაგებობათა სიმრავლით, ყურადღებას იპყრობს  
სოფელი არბო. დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სიძველეები,  
თავის ორტომიან ნაშრომში საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილმა  
მეცნიერებარმა, პროფ. ი. მეგრელიძემ, სადაც აღნუსხული და შეს-  
წავლილია პატარა ლიახვის, ფრონეს, ფაწის და ჯევორის  
ხეობების სიძველეები. აქვე, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი  
სოფელ არბოს სიძველეებს, რომლებიც გამოიჩინა დიდი  
ისტორიული წარსულით და ხუროთმოძღვრული დახვეწილო-  
ბით. ამჯერად. ჩვენი ყურადღება მის პყრო ცნობილი ქართველი  
ეთნოგრაფის, აწ. განსვენებული გიორგი ჯალაბაძის მიერ  
მიკვლეულმა ერთმა საბუთმა, რომელიც არბოში არსებულ  
წმინდა გიორგის სალოცავს უკავშირდება. ცნობისათვის გვინდა  
აღნიშნოთ, რომ წმინდა გიორგის სახელზე არბოში ორი  
ტაძრია აგებული. აქედან ერთი არის ბაზილიკური, ერთნავიანი,  
დარბაზული ნაგებობა, რომელიც თარიღდება განვითარებული  
ფეოდალიზმის ხანით. იგი თავისი სიძველით და დახვეწილი  
არქიტექტურული ფორმებით გამოიჩინა პატარა ლაიხვის  
ხეობაში არსებული სხვა ძეგლებისაგან.<sup>1</sup> ამ ტაძრის გარდა,  
როგორც აღნიშნეთ, არბოში წმინდა გიორგის სახელზე აგებული  
სხვა ეკლესიაც არის, ოღონდ ის გაცილებით გვინდელი წნისაა.

I. გ. ჯამბურია, სოციალური ურთიერთობა და კლასობრტეი ბრძოლა  
საქართველოში, XVI-XVII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები,  
ტ. IV, გვ. 204-205

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ.,  
1990, გვ. 44

იგი აშენებულია XIX საუკუნის I მესამედში და როგორც სიძველით, ასევე ხუროთმოძღვრული გაფორმებითაც, მკვეთრად ჩამოუვარდება პირველს.<sup>1</sup> არბოს წმინდა გიორგის ტაძარი (ძველი) თავისი სიწმინდით ძველთაგანვე იქცევდა ქართველი მეფეების ყურადღებას, რაც გამოიჩატებოდა მათ მიერ სალოცავისადმი ბოძებულ სხვადასხვა სახის შეწირულობებით. XIX საუკუნის ავტორის ალ. გარსევანოვის „კორესპონდენციის მიხედვით, აღნიშნული ტაძარი თამარ მეფეს აუგია. „ცისკარში“ გამოქვენებული ნარკვევის ავტორი ეკლესიის აშენების თარიღსაც გვთავაზობს., ეს ფაქტი 1186 წელს მომხდარა. თამარის ბრძანებით არბოში წმინდა გიორგის ნაწილი და სასწაულმოქმედი ხატი ჩამოუსვენებიათ.<sup>2</sup> XIX საუკუნის 90-იანი წლების „მწყემსის“ კორესპონდენტი, რომელიც არბოელის ფსევდონიმით ბეჭდავდა ნარკვევებს, აღნიშნავს, რომ არბოს წმინდა გიორგის ტაძარში არსებობდა ხატი, რომლის ასომთავრული წარწერიდანაც ჩანდა, რომ იგი შეუწირავს მეფეთ მეფე ლუარსაბს, ვახტანგის ძეს.<sup>3</sup>

იმავე „არბოელის“ ცნობით, არბოს წმინდა გიორგის ტაძრისთვის ერეკლე II-ს, 1786 წელს ბარძიმ-ფეშუმი შეუწირავს.<sup>4</sup> როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ცნობილმა ეთნოგრაფმა გიორგიმ ჯალაბაძემ, რომელიც წარმოშობით პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთი სოფლიდან – ქორდიდან

1. საქართველოს ისტორიისა და ქულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 44-45; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1977, გვ. 18; ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 63.

2. ალ. გარსევანოვი, არბოს ანუ წმინდა გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის, „ცისკარი“, 1866, სექტემბერი, გვ. 3-4.

3. იქვე, გვ. 4.

4. „მწყემსი“, 1892, №18, გვ. 4.

იყო, 1946 წელს მიაკვლია საბუთის, რომელიც არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის საეკლესიო ნივთებს შორისაა აღმოჩენილი. სამწუხაროდ, განსვენებულმა მკვლევარმა ვერ მოასწრო ამ საბუთის გამოქვეყნება, ისევე როგორც იმ მრავალრიცხოვანი მასალისა, რომელსაც თავისი მშობლიური სოფლის – ქორდის შესახებ კრებდა. ეს გახლავთ ფოლკლორული, ასევე ეთნოგრაფიული კვლევის შედეგად დაგროვილი ჩანაწერები, რომელიც გამოუქვეყნებელი დარჩა. განსვენებული შეცნიერის არქივში არსებული აღნიშნული მასალები გადმოგვცა სოფელ ქორდის მკვიდრმა ლერი ჯალაბაძემ, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსნებთ.

ზემოთ აღნიშნული საბუთი, რომელსაც ჰქვია „უწყება ეკლესიისათვის“ ფრაგმენტულია. ამ საბუთს ახლავს პროფ. გიორგი ჯალაბაძისული ვიზუალური აღწერა. „ნაპოვნია 1946 წელს სოფ. არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის საეკლესიო ნივთთა შორის ქაღალდის ფურცელი, რომლის სიგანეა 21 სმ, სიგრძე 27 სმ. ნაწერი საკმაოდ გარკვევით არის თეორ ქაღალდზე შავი მელნით.“

„გორის უწყდის სოფლის არბოს წმინდის დიდის მოწამის გიორგის ეკლესიისათვის წყლბსს წლისათვის“ (1832 წ.).

ა) აღშენებული არის საქართველოს მეფის თამარისაგან.

ხ-ოდეს არა ცნობილ არს.

ბ) შენობით არის ქვიტკირისა ხის სამრეკლოითურთ არის საკმაოდ მაგარი.

გ) მას შეა არის ერთი ტრაპეზი სახელსა ზედა დიდის მოწამის გიორგისა სამკაულითა არის ლარიბი.

დ) კრებული ყავს დიდებული, მაღალ ყ-დ უსამღვდელოესის იონა მიტრობოლიტის და ექსარხოსის ბრძანებით ჩყვდ-ს (1864) წელსა შ-ა დეკანოზი ერთი.

ე) მიწათ ამა ეკლესიასთან დასახლებული არის ოთხი დესიატინა სიგრძე და ორი სიგანე; სახნავი და სათიბი არავითარიმე არა აქუს.

ვ) სახლი სამღედელო და საეკლესიო მსახურთანი არიან საკუთარნი მათნი შტატის დეკანზისა, ქვიტკირის ერთი, ალიზისა ერთი, ხისა ორი, რომელნიცა მდებარეობენ ეკლესის მამულსა შა-ა“.

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, საუბარია არბოს წმინდა გიორგის უძველეს ბაზილიკურ ეკლესიაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული დოკუმენტი არბოს წმინდა გიორგის ტაძრის აშენებას თამარ მეფეს უკავშირებს. როგორც ზემოთ მივუთითებდით, ასეთი ვერსია გვხვდება 1866 წ. უკურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულ აღ. გარსევანოვის სტატიაში და ვფიქრობთ, ორივე ცნობას, რაღაც საერთო წყარო უნდა ჰქონდეს, შესაძლებელია წერილობითი, ანდა ზეპირსიტყვიერი გადმოცემა.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკური ტაძარი აშენებულია ქვიტკირით და მას მიშენებული ჰქონია ხის სამრეკლო, რომელიც დღეისათვის აღარ გვხვდება. არბოს წმინდა გიორგის ტაძარი ამოქმედებულია მაღალყოვლად უსამღვდელოეს მიტროპოლიტი იონასა და ეგზარხოსის ბრძანებით. ცნობაში მოხსენიებული მიტროპოლიტი იონა ვასილევსკი საქართველოს ეგზარხოსი იყო (1821-1832 წ.წ.) მისი წინამორბედი კი გახლდათ თავისი შოვინისტური იდეებით და რუსიფიკატორული პოლიტიკით ცნობილი თეოფილაქტე რუსანოვი (1817-1821 წ.წ.).

არბოს ტაძრის ამოქმედება, ვფიქრობთ იონა ვასილევსკის ეგზარხოსობამდე, მის მიტროპოლიტად ყოფნის დროს ანუ 1821 წლამდე მოხდა. საბუთში მითითებულია არბოში დეკანზის დანიშვნის თარიღი, ჩყვდ ანუ 1864 წელი.

როგორც საბუთიდან ჩანს, არბოს წმინდა გიორგის ეკლესია დარიბ ტაძარს წარმოადგენდა. მას არ ჰქონია სახნავ-სათიბი. ეკლესის კუთვნილ მამულში აშენებული ყოფილა ტაძრის მსახურთა საცხოვრებლები.

დოკუმენტში ხაზგასმა იმისა, რომ არბოს ეკლესის XIX საუკუნის 20-იან წლებში დიდებული მრევლი ჰყავდა, შემთხვევითი არ არის. ამ დროისათვის ქართულ არისტოკრატიულ წრეებში ფრიად დიდი პატივისცემით სარგებლობდა გერისთობის დღესასწაული, რომელიც გერში იწყებოდა და არბოში სრულდებოდა. გერიდან წამოსული მღლოცველები არბოში ჩერდებოდნენ. არბოს ტაძარში ღამისთვეით წასვლა მიღებული იყო ფეოდალური არისტოკრატიისათვის XIX საუკუნის 30-იან წლებში. ეს ფაქტი არისტოკრატიისათვის 1832 წლის შეთქმულთა დაკითხვის მასალებითაც!<sup>1</sup>

არბოს წმინდა გიორგის ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა უაღრესად სავალალოა, დაზიანებულია კედლები, წვიმისაგან ჩამოქცევის პირასაა ჭერი. გასაწმენდია ტაძრის შესასვლელი. დიდი ისტორიის მქონე სალოცავი სასწრაფო შველას ითხოვს.

1. გ. ვოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 270

## „ლეკიანობის საკითხი“ და სამაჩაბლო

XVIII საუკუნის 50-იან წლებში, როგორც ცნობილია, საქართველოს შიდა პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვევდა ქართლ-კახეთში „ლეკიანობის“ გავრცელების შედეგად. დაღესტნელი ტომების ლაშქრობების ობიექტი კომპაქტურად დასახლებული ქართული ტერიტორიები გახდა, რასაც ამ ტერიტორიების გაუკაცეურება მოსდევდა. „ლეკიანობამ“ წელში გატეხა ქვეყნის ეკონომიკაც, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „XVIII საუკუნის საქართველოს წინაშე „ლეკიანობა“ ის პრობლემა იყო, რომლის ასე თუ ისე გადაჭრისაგან დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის მომავალი“.<sup>1</sup> „ლეკიანობის“ საფრთხე ქართლ-კახეთის განსაკუთრებით იმ თემებს ემუქრებოდა, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიას ესაზღვრებოდა და დაღესტნელი ტომებისათვის უფრო ხელმისაწვდომი იყო. ასეთი საფრთხის წინაშე იდგა ფეოდალურ საქართველოში ჩამოყალიბებული სამხედრო ერთეული - ზემო ქართლის სადროშო, რომელიც შიდა ქართლს მოიცავდა. მასში რამდენიმე სათავადო შედიოდა. ზემო ქართლის სადროშოში შემავალი სათავადოებიდან ლეკთა შემოსევების სიმძაფრით გამოირჩეოდა სამაჩაბლო, რომლიც დიდი ლიახვის ხეობასა და დვალეთის ნაწილსაც მოიცავდა და ჩრდილო კავკასიასთან დამაკავშირებელი გზებით ლეკთა მარბილი ლაშქრობების ხშირ ობიექტს წარმოადგენდა. ლეკთა შემოსევები სამაჩაბლოში განსაკუთრებით XVIII საუკუნის II ნახევრიდან გახშირდა. მართალია სათავადოს ტერიტორია კარგად

იყო დაცული აქ განლაგებული სეკრის, კეხვის, აჩაბეთის, მეგუთის, ქემერტის, მსხლების, ქურთის ციხე-სიმაგრეებით, მაგრამ დაღესტნელი მარბილების აგრესიას თავიდან მაინც ვერ იცილებდა. ლეკთა შემოსევისას სამაჩაბლოს მოსახლეობას მობილიზაციის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალ. მაჩაბელი: „მტერი რომ შემოვიდოდა ცხინვალის მხრიდან, მაშინ ცხინვალიდან საყვირს დააყვირებდნენ, ან გრძელი თოვი ყოფილა, იმას გაისროდნენ. მიაწვდიდნენ ხმას ზემო აჩაბეთს, მერე იქ გაისროდნენ თოვსა, იქიდამ გაღმა ლიახვის პირს გაიგონებდნენ, მერე კეხვის ციხიდან გაისროდნენ და მერე ქემერტიდან. ეს ნიშანი იყო მტრის შემოსევისა, მთელი ზეობა დახიზნავდა ხიზანს და საომრად შეიკრიბებოდა ერთად“<sup>2</sup>.

ომან ხერხეულიძის ცნობით: „წელსა 1759, გარდმოვიდნენ კვალად დაღესტნის ბელადი კოხტა და ჩონჩოლ მუსა და დაღესტნის ჯარებით, ვიდრე რვა ათასამდე კაცნი: ესენი გაიყვნენ, ჩონჩოლ მუსა მოვიდა აჩაბეთს და დაარბივა და მუნით წარმოსრული ავნევს სოფელს შემოადგა“<sup>2</sup> მართალია, ლეკთა აღნიშნული ლაშქარი ერეკლემ და თეიმურაზმა სასტიკად დაამარცხეს, მაგრამ ამან ვერ აღკვეთა დაღესტნელი მარბილების მარცველური შემოსევები.

ლეკთა თავდასხმებს განადგურების პირამდე მიჰყავდა სამაჩაბლოს მოსახლეობა. მოსახლეობის ერთი ნაწილი ბრძოლებს ეწირებოდა, ნაწილი კი მბარცველთა ტყვე ხდებოდა. მაჩაბლები

1. ა. მაჩაბელი, სოფ. ქურთა და მისი მიდამოები, ფურნ. „აკაეთის თვიური ქრებული“, 1898, №1, გვ. 11
2. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ლელა მიქაშვილმა, თბ., 1989, გვ. 57-58

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ფ. VI, თბ., 1973,  
გვ. 397

იძულებულნი იყვნენ დიდი ფულადი საფასურის გადახდის სანაცვლოდ ლეპთა ტყვეობიდან დაქნენათ თავიანთი ყმა-გლეხები. XVIII საუკუნის შუა ხანებშია შედგენილი იასე მაჩაბლის მიერ გლეხთა დახსნის დავთარი, სადაც აღნიშნულია: „ქ. ქმერტს, რომ ჯარი მოვიდა და სასახლის კოშკი აიღეს, მაშინ იმ ლეკებისაგან დავიხსენ ესენი:

- ქ. დათაშვილის გიორგის შვილი ექვს თუმნათ.
- ქ. ნადირაძე ორ თუმნათ.
- ქ. მამუკა ფეხშიშველაშვილი ხუთ თუმნათ.
- ქ. ვარძიელაშვილი მოურავი ოთხ თუმნათ.
- ქ. ოთარა ვარძიელაშვილი (მივეც ერთი ცხენი) ერთის თუმნის ტყვეთ იყო“...<sup>1</sup>

„ლეკიანობის“ აღსაკვეთად სამეფო კარმა რამდენიმე ღონისძიება შეიმუშავა, რომელთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „მორიგე ჯარის“ შექმნას, რამაც დიდი შედეგები მოუტანა ქვეყანას. მორიგე ჯარის გარდა, სამეფო ხელისუფლებამ იწყო ლეკთა წინააღმდეგ დაქირავებული რაზმების გამოყენება. როგორც დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა: „საქართველოს სახელმწიფოს თავკაცები ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად თვით ლეკებს იყენებდნენ ხოლმე, ლეკებს ქირაობდნენ, მათგან რაზმებს ქმნიდნენ და ამ დაქირავებული რაზმების გასასტუმრებელ ხარჯს „სალეკოს“ უწოდებდნენ.<sup>2</sup>

„სალეკო“ გადასახადი შეწერილი ჰქონდა სამაჩაბლოს სოფლებსაც. იგი წარმოადგენდა როგორც ფულად, ისე ნატურალურ

<sup>1</sup>. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან, ნ. ბერძნიშვილის რედ. ტ. III, გვ. 173-174

<sup>2</sup>. დ. გვრიტიშვილი, მასალები ქართული გლეხობის ისტორიისათვის (XVIII ს.) თბ., 1979, გვ. 291

გამოსალებს. ეს გადასახადი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სათავადოს ერთ-ერთი სოფლის მაგალითზე. „სალეკო თეთრის ნუსხაში წერია, რომ „ქურთიდან (სამაჩაბლოშია - გ.ს.) ცხვარი თ (9), ქვაბი სამი ჩარექისა ა (1), საკიდელი ა (1), ხმალი ა (1), შალი ა (1), სამი აბაზი და ერთი აპატია“!<sup>1</sup>

ლეკთა ლაშქრობები სამაჩაბლოში, გარდა მძარცველური მიზნებისა, ხშირად სხვა რამითაც იყო განპირობებული. მაჩაბლებთან მტრად წაკიდებული მეზობელი ფეოდალები სამაჩაბლოს დაქირავებულ ლეკთა რაზმებს უსევდნენ.

როგორც ცნობილია, 1742 წელს გივი ამილახვარი ყიზილ-ბაშთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა, აჯანყებულთა ბანაკში სხვა ქართველი დიდგვაროვნებიც იყვნენ; მათ შორის, თემურაზ მაჩაბელი. გივი ამილახვარმა გაამაგრა ზემო ქართლის სადროშოს ტერიტორიაზე განლაგებული მნიშვნელოვანი ციხეები და მტერს მედგარ წინააღმდევობას უწევდა, მაგრამ აჯანყებამ მიზანს ვერ მიაღწია, ნადირ-შაჰმა ჯერ თეიმურაზ II გადმოიბირა და გივი ამილახვარს დაუკირისპირა, შემდეგ ქართლის გავლენიანი თავადებიც მოიმხრო, მათ შორის თეიმურაზ მაჩაბელიც. გივი ამილახვარმა მაჩაბლის წინააღმდეგ ლეკთა დაქირავებული რაზმები გამოიყენა. როგორც პაპუნა ორბელიანი გადმოგვცემს: „რაც ამილახვართან ლეკნი იყვნეს მოუხდენ მაჩაბელს, აუოხრეს ქვეყანა, მაჩაბელი კახთ ბატონს (თეიმურაზ II - გ.ს.) ახლდა, იმისის ჯარით ჩამოუყენა ამილახვარმა ჯარი ლეკისა და მუდამ აოხრებდნენ მაჩაბლის ქვეყანასა. მივიღნენ კახთ-ბატონი და ქართლის ხანი ლეკნი აჩაბეთს გამაგრდნენ. შემოეხვივნენ

<sup>1</sup>. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიიდან, ტ. II, გვ. 65-66

გარს, სხვა ღონე რომ ვეღარ დაიდევს ლეკთა ღამე დაიკრეს ხმლები და გავიდნენ უვნებლად<sup>1</sup>.

ლეკთა ლაშქრობები სამაჩაბლოს ტერიტორიაზე XVIII ს-ის II ნახევარში კიდევ უფრო გახშირდა. ომან მდივანბეგი გვაწვდის ცნობას ლიახვის ხეობაში ლეკთა ბელადის ზუბეიდალას ლაშქრობის შესახებ, რომელსაც თიღვის აღება უცდია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.<sup>2</sup>

ლეკების შემოსევას სამაჩაბლოში ადგილი ჰქონდა 1763 წელს. ამავე ომან მდივანბეგის ცნობით: „წელსა 1763 მოვიდა სამაჩაბლოში კეხვის ლეკის ჯარი. მოასწრა მეფემან ირაკლი, განემარჯვა და მრავალი მოსწყვიტეს“.<sup>3</sup> ლეკების შემოსევა არეალში განმეორებულა 1764 წელსაც.<sup>4</sup>

ერეკლე II კარგად ხედავდა ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას და „ლეკიანობის“ აღკვეთას აქტიური პოლიტიკით ცდილობდა. მეფის თავდაცვითი ღონისძიებები უმთავრესად შეეხებოდა ზემო ქართლის სადროშოს. ამის დასტურია „ზემო ქართლის მდევრობის განწესება“, რომელიც მიწერილობის სახით გაგზავნა ზემო ქართლის სადროშოში 1772 წელს. თავდაცვითი ბრძოლების თვალსაზრისით, აღნიშნული სამხედრო ერთეული ოთხ უბნად დაყო. სამაჩაბლო პატარა ლიახვის გაღმართთან ერთად მესამე უბანში შედიოდა. მიწერილობაში აღნიშნული იყო: „ქ. თუ სამაჩაბლოსაკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი, ან დიდის

ლიახვის გაღმა საღმე, ამ დიდი ლიახვის მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩენია, საჩქაროდ გაცვივდნენ და, როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ, თუ რომ კიდევ მოუნდესთ მდევარი და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მხრის მდევარიც წავიდეს და ღვთით პასუხი გასცენ“! ერეკლე II „ლეკიანობის“ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა სამაჩაბლოს. ერეკლემ კარგად იცოდა ის საფრთხე, რაც ამ ტერიტორიულ ერთეულს ემუქრებოდა და ამიტომ 1785 წლის 12 ოქტომბერს ხევისთავ ფარსადან მაჩაბელს წერდა: „...ყარაჯა ოსი გამოგვისტუმრებია და ოსეობი წიგნები მიგვიწერია, რომ ისინი მამაცობრივ გამოვიდნენ და თამარაშენს (სამაჩაბლოს ერთ-ერთი სოფელი - გ.ს.) და იმ ადგილებში ორსაოდ კვირას დადგნენ, თუ ვინ იცის იმ ლეკის ჯარმა მანდეთკენ (სამაჩაბლო იგულისხმება - გ.ს.) მოსვლა მოინდომონ, სროლა აუტეხონ და არ შემოუშვან, ჩვენც ყარაულები გვიყენია. ის ჯარი რომ ახლა ქალაქიდან აიყრება და ქართლისაკენ წამოვა, ჩვენც აქედამ რუსის ჯარით და ჩვენის ჯარით საჩქაროდ გამოვუდგებით და მოგეშველებით. თუ ცხინვალის ხეობისაკენ წამოვიდნენ საღმე, ოსებსაც ჩვენთან დავიბარებთ და ვალაშქრებთ. წყალობასაც დავმართებთ და თუ გორს ქვეით მოვლენ საღმე ოსებს იქ არ დავპატიუებთ ლაშქრობას და არც გვინდა. ამ ყარაჯას თქვენი კაცები გაატანეთ და გაისტუმრეთ“.<sup>2</sup>

ამ საბუთზე დაკვირვებით, მ. ცოტნიაშვილი ასკვნიდა: „მოწვეულ ოსთა ლაშქარს განსაზღვრული ტაქტიკური ამოცანის

1. პატუნა ობელიანი, ამავნი ქართლისანი, ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის რედ. ტ. II, საბ., 1854, გვ. 415

2. ომან მდივანბეგი, მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 54

3. იქვე გვ. 59

4. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, პროფ. ა. იოსელიანის რედ. თბ., 1940, გვ. 346

1. ბ. ი. ფ. Hd, №13714

2. საქართველოს სიმელენი, ე. თაფაიშვილის რედ. ტ. III, ტფ. 1910, გვ. 200

შესრულება ევალებოდა, კერძოდ, იგი უნდა შებრძოლებოდა ლეკთა იმ რაზებს, რომლებიც გორს ზემოთ გაიჭრებოდნენ და დიდი ლიახვის აუზში შესვლას შეეცდებოდნენ.<sup>1</sup>

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილულმა ცნობებმა ცხადყო, სამაჩაბლო თავისი ტერიტორიული მდებარეობით, ჩრდილო კავკასიასთან სიახლოვით და, ამასთანავე, მდიდარი ეკონომიკური მდგრმარეობით, ლეკთა თავდასხმების ერთ-ერთ ობიექტს წარმოადგენდა. სამეფო კარი აქტიური პოლიტიკით ცდილობდა სათავადო ლეკთა გავრანებისაგან გადაერჩინა.

### სამაჩაბლოს ეკონომიკური ისტორიიდან (სოფლის მეურნეობა)

სამაჩაბლოს, როგორც სათავადოს ისტორიის კვლევისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მისი ეკონომიკური განვითარების შესწავლას. სათავადო სამეურნეო ერთეულიცაა. ყოველი სათავადო მეურნეობის საკუთარი ტრადიციული ფორმით იქმაყოფილებდა თავს. პროგრესული მეურნეობა სათავადოს ეკონომიკური წინსვლის მთავარ ბერკეტს წარმოადგენდა. როგორც პროფ. დ. გვრიტიშვილი აღნიშნავდა: „სათავადოს მეურნეობის შესწავლა გულისხმობს გარკვეულ იქნეს: 1) სათავადოს ტერიტორიის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, 2) მეურნეობის დარგები (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ხელოსნობა), 3) სოფლის მეურნეობის სახეები (მემინდვრეობა, მებაღეობა, მევნახეობა, მესაქონლეობა“.<sup>1</sup>

სამაჩაბლოს ეკონომიკური განვითარების ერთიანი სურათის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ტერიტორიული არეალის გეოგრაფიულ დახასიათებას, რასაც აღნიშნული სათავადო მოიცავდა. ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს XVIII საუკუნის დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი. მის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ სამაჩაბლოს ტერიტორიულ არეალთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ხოლო გორიდან ლიახვის სიგრძე არს მაღრან-დვალეთამდე, დის მაღრან-დვალეთიდამ, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მუგუთამდე, მუგუთიდამ დის სამხრით — გორამდე და გორის

1. ქ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 352

1. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 145



მდინარე სდებს თეთრ ლამს, როგორც კირი, ამიტომ ნიადაგი არის მაგარი სახნავად“<sup>1</sup>!

სამაჩაბლოს სოფლის მეურნეობა შეიძლება ორ ნაწილად გაყოო. დიდი ლიახვის შუა და ქვემო წელზე არსებულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მისდევდა მემინდვრეობას,<sup>2</sup> მევენახეობას,<sup>3</sup> მეხილეობას, ხოლო დიდი ლიახვის ზედა წელზე, შედარებით მთიან აღილებში მცხოვრები მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და ნაწილობრივ მემინდვრეობა. სამაჩაბლოში მემინდვრეობა სხვადასხვა სახის მარცვლეული კულტურით არის წარმოდგენილი. 1803 წლის აღწერაში ჩაჩენებია, სამაჩაბლოს ორი სოფლის აჩაბეთის და ქურთის სამეურნეო მდგომარეობა. აღწერის საფუძველზე შევიძლია დავასკნათ, რომ აღნიშნულ სოფლებში მისდევდნენ მარცვლეული კულტურის მოყვანას. მოჰყავდათ: ხორბალი, სიმინდი, ქერი, შერია და სხვ.<sup>4</sup>

დაბლობში არსებულ მარცვლეულ კულტურებში ხორბალი იყო დაწინაურებული, ამიტომ საბატონო თუ სახელმწიფო გამოსაღების მეტი წილი (ნატურის სახით) ხორბალზე მოდიოდა. 1795 წლისათვის სახელმწიფო გამოსაღები პურეული კულტურის სახით სამაჩაბლოს სოფლებზე შემდეგნაირად ნაწილდებოდა: საბატმინდა - 5 ხარვარი, ხეითი - 30 ხარვარი, ძარწემი - 15

ხარვარი, ქემერტი - 40 ხარვარი, კეხვი - 20 ხარვარი, ქურთა - 15 ხარვარი, აჩაბეთი - 15 ხარვარი, თამარაშენი - 8 ხარვარი, დგვრისი - 20 ხარვარი, ცხინვალი - 20 ხარვარი!<sup>5</sup>

1818 წლის კამერალური აღწერით შეძლებულ გლეხს სამაჩაბლოში 60 კოდი მარცვლეული ჰქონდა.<sup>6</sup> მოუხედავად იმისა, რომ ხორბლეულის მოყვანა სამაჩაბლოში მცხოვრები გლეხობის დაინტერესების საგანს წარმოადგენდა. ხშირად მიწის უქონლობა შედარებით მთიან აღილებში ხელს უშლიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს და ისინი იძულებულნი იყვნენ ტყეები გაეჩეხათ და ახოები აეთვისებინათ. ახლად ათვისებულ ადგილებში ისინი შვრიას თესავდნენ.<sup>7</sup> შედარებით მთიან აღილებში უქმარისობა სოფლის მეურნეობის შემაფერხებელ პრობლემად ითვლებოდა. ხშირად ერთი დღიური მიწა 90-100 ძროხამდე ფასობდა.<sup>8</sup>

გ. ლიახველი მიუთითებს, რომ მოსახნავად დიდი ლიახვის ზემო წელზე მდებარე ტერიტორიები შედარებით გამოუსადევარი იყო რადგან ფერდობიანი ადგილები ძნელად იხვნებოდა, შესაბამისად, მოსავალსაც ნაკლებს იძლეოდა. თუმცა, სამაჩაბლოს ზოგიერთი თემი პურეული კულტურისათვის შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა. გ. ლიახველს დასახელებული აქვს გერისა და წარმოადგენდა.

1. АКАК, т. II, стр. 74

2. История Юго-Осетий в документах и материалах, т. I, стр. 125-126, №126

3. სცსს, ფ. 254, ანაწ. I, საბ. 543.

4. В. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетий в феодально-крепостную эпоху. Известия - Юго-Осетинского научно-исслед. института, вып. VII, Сталинир, 1955, стр. 60; გ. ლიახველი, მეურნეობის მდგომარეობა თემთში, გაზ. „დროება“, №27, 1885, გვ. 106

1. სოფრომ მგალობლიმვილი, ორი თვე სოფლად, გაზ. „დროება“, 1884, VII, №155, გვ. 1

2. АКАК, т. V, стр. 74

3. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945, გვ. 331, №29

4. გ. ლიახველი, მეურნეობის მდგომარეობა ოსეთში, გაზ. „დროება“, 1885, №27, გვ. 105

ჯავის ხეობები, სადაც მოჰყავდათ: „პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, ჭვავი, უგრეხელი, ჭარხალი, კანაფი, თამბაქო...“<sup>1</sup>

სოფლის მეურნეობა მარცვლოვანი კულტურების გარდა, სამაჩაბლოში წარმოდგენილი იყო მეხილეობითა და მევენახეობით. მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი „ღროებაში“ დაბეჭდილ თავის კორესპონდენციებში აღნიშნავდა: „თუმცა ვენახი უხვად არის, მაგრამ ღვინის მოვლას ეგრე რიგად არ მისდევენ (იგულისხმება სამაჩაბლოს სოფლები - გ.ს.), ამიტომ ამ ხეობის ღვინო არის მუავე. ამას ხელს უწყობს ჰავაც, რომელიც ერთობ გრილია და ყურძნი რიგინად ვერ მწიფდება.<sup>2</sup> სამაჩაბლოში, მართალია, მევენახეობა წამყვან სამეურნეო დარგად არ ითვლებოდა, მაგრამ საბატონო გადასახდი აქ ღვინითაც განისაზღვრებოდა. სამაჩაბლოში მცხოვრები ებრაელი ყმა-გლეხების გადმოცემით: „სიმონ მაჩაბელი (XIX საუკუნის I ნახევარი) წლიურად 100 მანეთი ფულადი გადასახდის გარდა, ძალით ართმევდა მათ ხორბლეულს, ღვინოს, საქონელს და დამატებით კიდევ 50 მანეთს“.<sup>3</sup> სამაჩაბლოში არსებული მეურნეობის ტრადიციულ დარგებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ა. მაჩაბლის მოგონება, რომელიც სამაჩაბლოს ერთ-ერთ სოფელს, ქურთას ეხება. მისი გადმოცემით ქურთაში: „მისდევდნენ ხვნა-თესვას, მებაღეობას, მევენახეობას და მებოსტნეობას“.<sup>4</sup> რაც შეეხება მეხილეობას, სამაჩაბლოში არსებული კლიმატური პირობები კარგად შეეხამე-

ბოდა მეხილეობის მოთხოვნებს და აქ მრავალი სახეობის ზოლი მოჰყავდათ. მათ შორის: ვაშლი, მსხალი - გ. ლიახველის ცნობით, აქაური ხილი თბილისის ბაზარზეც იყიდებოდა.<sup>1</sup>

სამაჩაბლოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა მეფუტკრეობაც. მეფუტკრეობას სამაჩაბლოში რენტაბელური სახე ჰქონდა. ამიტომ მას მოსახლეობის დიდი ნაწილი მისდევდა. გ. ლიახველის ცნობით: „ფუტკრის გაჩენა შეადგენს ერთ უმთავრესს საზრდოს ცხოვრებისას ბარის ოსებისათვის (იგულისხმება სამაჩაბლოს დაბლობ ადგილებში ჩამოსახლებული ოსები - გ.ს.), არაან ოჯახის პატრონნი, რომელთაც 1000 ძირი ფუტკარი ჰყავთ... თაფლი იყიდება ადგილობრივ, ფუთი 5-6 მანეთი“.<sup>2</sup>

სამაჩაბლოს სოფლის მეურნეობა, როგორც აღნიშნეთ ტერიტორიულად შეიძლება ორად გავყოთ. ბარის ნაწილი, სადაც მეხილეობა-მევენახეობა თუ მემარცვლეობა-მებოსტნეობა იყო გავრცელებული და მთიანი ნაწილი, სადაც მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. მთიანი ზონის სუბალპური და ალპური საძოვრები ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის ამ ძველისძველი სახეობის განვითარებას.<sup>3</sup> თუ გადავხედვათ გვიანთვეოდალური ხანის სამაჩაბლოს ეკონომიკური განვითარების სურათს, აშკარაა, რომ მესაქონლეობას უმთავრესად მთიდან ჩამოსახლებული ოსი მოახალშენები მისდევდნენ,<sup>4</sup> რადგან

1. В. Абаев, указ. соч., стр. 60

2. გაზ. „ღროება“, №27, 1885, გვ. 104-105

3. გაზ. „ღროება“, №167, 1884, გვ. 3

4. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945, გვ. 101

1. ა. მაჩაბელი, სოფ. ქურთა და მისი მიღამოები, უურნ. „აქაქის ოვაური კრებული“, №1, 1899, გვ. 3

2. გაზ. „ღროება“, №27, 1885, გვ. 105

3. იქვე, გვ. 106

4. 3. კარბელაშვილი, სამსრეთ-ოსეთის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია, თბ., 1962, გვ. 24

ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვეულნი ბარისათვის დამახა-  
სიათებელ მიწათმოქმედებას. შესაბამისად, ჩამოსახლებული ოსების  
საბატონო გამოსაღებებში ჭარბობდა ნატურალური გადასახადები  
— პირუტყვისა თუ რძის პროდუქტების სახით.<sup>1</sup>

მესაქონლეობის განვითარების შესახებ სამაჩაბლოში  
საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გ. ლიახველი. იგი აღნიშნავს,  
რომ „მათს (იგულისხმება სამაჩაბლოს მთიან ზონაში მცხოვრები  
ოსები - გ.ს.) უმთავრეს საზრდოს ცხვარი შეადგენს, ზოგიერთ  
ოჯახებს ათასობითა ჰყავთ ცხვარი, რომელსაც ქართლში ჰყიდიან  
და მოგებული ფულებით პურს ყიდულობენ დაბა ცხინვალში“.<sup>2</sup>

1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, სამაჩაბლოში  
თითოეულ კომლს ჰყავს 2-4 მსხვილფეხა საქონელი, 10-20  
ცხვარი და თხა, შეძლებულ გლეხებს 20 მსხვილფეხა პირუტყვი  
და 100 ცხვარი.<sup>3</sup>

ჩვენთვის უდავოდ საინტერესოა სამაჩაბლოს საბატონო  
მეურნეობის ხასიათი, თუმცა წყაროთა სიმწირის გამო  
უკიდურესად მნელდება სათავადოს შინა სამურნეო სურათის  
აღდგენა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ  
მაჩაბელთა მფლობელობაში მყოფი გლეხების ერთ-ერთ  
უმთავრეს ვალდებულებას შრომითი ბეგარა შეადგენდა, უნდა  
ვივარაუდოთ, რომ მაჩაბლებს საბატონო მეურნეობა სათანადოდ  
ჰქონდათ მოწყობილი. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ წარმოდგე-  
ნილი საბუთი, სადაც ჩამოთვლილია სამაჩაბლოს ოსი ყმა-  
გლეხების შრომითი ბეგარის პირობები:

1. АКАК. т. VII, стр. 359, №302

2. АКАК. т. VI, ч. I, стр. 689

3. სტასა, ფ. 254, ახაწ. I, საბ. 543; Очерки истории Юго-Осетии, т. I, Цх.,  
1969, стр. 35

ა) წელიწადში ერთი დღე სოფლის განკარგულებაში  
არსებული გუონებით მებატონის (იგულისხმება მაჩაბელი -  
გ.ს.) მიწის მოხვნა, მისი დათესვა, მომკა და მებატონის კარზე  
მიტანა.

ბ) თივის ზვინების დადგმა სოფლებთან და საჭიროებისას  
მიტანა მებატონის კარზე.

გ) მებატონის მშენებლობაზე ხე-ტყის მიზიდვა.

დ) მებატონის სამსახური.

ასე, რომ გლეხის შრომითი ბეგარა მაჩაბელთა საბატონო  
მეურნეობასთან იყო დაკავშირებული.<sup>1</sup>

სამაჩაბლოს სოფლის მეურნეობაში განვითარებული ყოფილა  
მეფრინველებისაც. XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ რესულ  
დოკუმენტში აღნიშნულია: „Кехви, земля неудобной на  
80 дней дневного паханья, лесу очень много подати  
и других повинности состояли въ гал и курицах къ  
празднику по 18 р.“.<sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, სამაჩაბლოში სოფლის მეურნეობა მრავა-  
ლი სახეობით იყო წარმოდგენილი, რაც აღნიშნული არეალის  
საუკეთესო კლიმატურ პირობებზე მიუთითებს. მრავალსახეობის  
მქონე სოფლის მეურნეობა, ცხადია დიდ როლს თამაშობდა  
სათავადოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

1. АКАК. т. VI, ч. I, стр. 689

2. АКАК. т. II, стр. 84

სამაჩაბლოს სოციალური ურთიერთობის  
ისტორიიდან  
(გლეხები)

გლეხობა, როგორც სოციალური ფენა მრავალფეროვანი გახლავთ და მისი დანაწევრება სხვადასხვა კატეგორიებად ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ხდება. გლეხთა წოდების მეცნიერულ შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში უპყე კარგა ხანია დიდი ყურადღება ექცევა.<sup>1</sup>

სათავადოთა სოციალური ბუნების გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სათავადოში გლეხთა მდგომარეობის შესწავლას. ამჯერად ჩვენი დაინტერესების საკითხს წარმოადგენს გლეხთა მდგომარეობა სამაჩაბლოში, მათი ურთიერთობა სათავადო სახლის წევრებთან.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ საქართველოში გლეხთა რამდენიმე კატეგორია არსებობდა. ესენი იყო: მკვიდრი, ნებიერი, ნაწყალობევი, ხიზანი, ბოგანო და სხვ.

სათავადოს ყმების ძირითად ფონდს „მკვიდრი“ გლეხები ქმნიდნენ. ფეოდალურ საზოგადოებაში „მკვიდრად“ ითვლებოდნენ არა მარტო ის ქა-გლეხები, რომელიც კონკრეტულ სათავადოში

ცხოვრობდნენ და ამ სათავადოს მფლობელს ემორჩილებოდნენ, ხშირად, ამა თუ იმ თავადს, „მკვიდრი“ ყმა თავის სათავადოს ფარგლებს გარეთაც ჰყავდა. მაგალითად, მაჩაბლებს, რომელთა სამფლობელო არეალი მოიცავდა დიდი ლიახვის ხეობას, დვალითა და ჟღელეს, „მკვიდრი“ ყმები სხვა საფეოდალოებშიც ჰყავდათ.<sup>1</sup> ეს ფაქტი ხშირად სათავადოების წარმომადგენლებს შორის დავის საგანი ხდებოდა. ამ დავაში ხშირად სამეფო კარი ერეოდა.

1671 წლის „წყალობის წიგნიდან“, რომელიც ვახტანგ V ზაალ მაჩაბლს უბობა, ჩანს, რომ ზაალ არავის ერისთავს ზაალ მაჩაბლისათვის ექვსი კომლი გლეხი წაურთმევია, მაგრამ იმის გამო, რომ წართმეული გლეხები მაჩაბლების „მკვიდრი“ ყმები იყვნენ, სამეფო კარმა ისინი კვლავ მაჩაბლს უბობა.<sup>2</sup>

მაჩაბლები თავიანთი ყმა-გლეხების ფონდს ამდიდრებდნენ „ნასყიდი“ გლეხებით. აღნიშნული კატეგორია, „მკვიდრის“ მსგავსად, საკუთრების მტკიცე და ხელშეუხებელი ფორმა იყო,<sup>3</sup> თუმცა სამეფო კარს ზოგჯერ ხელი მიუწვდებოდა „ნასყიდ“ გლეხებზე. იესე მაჩაბლს და მის ძმებს ყმები ნასყიდი ჰყავდათ დავით დავითიშვილისაგან. როგორც ცნობილია, ერეკლე II-მ იესე და მისი ძმები დალატისათვის დასაჯა და ქონება ჩამოართვა. დავით დავითიშვილმა უწინ მაჩაბლებზე გაყიდული გლეხები მეფისაგან წყალობის სახით დაიბრუნა.<sup>4</sup>

1. იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; დ. გვრიტიშვილი, მასალები ქართული გლეხობის ისტორიისათვის თბ., 1979; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955; გ. აკოფაშვილი, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVI–XVIII ს.ს. აღმ. საქართველოში მსკი ნაკვ. 34, 1964; დ. მეგრელიძე, გლეხთა კატეგორიების საკითხისათვის XVII–XVIII ს.ს. აღმ. საქართველოში „მაცნე“, 3, 1963; 6. ასათიანი, გლეხობა XVI–XVII ს.ს. კახეთის სამეფოში (საკანდ. დისერ.) ხელნაწ. 1960; და სხვ.

1. გ. ოთხმეტური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები, სადოქტორო დისერტაცია ხელნაწ. 1999, გვ. 102  
2. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. II, თბ., 1940, გვ. 162, 163  
3. ქართული ქრესტომათია, დ. ჩუბინოვის გამოც. სხდ., 1846, გვ. 160  
4. ბერძნიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 143

ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური სიტუაცია მაჩაბლებს ხელს აძლევდათ მეზობელი, მტრისაგან გავერანებული თავადებისაგან ყმები ეყიდათ. 1760 წლის ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნით ორკვევა, რომ ლექტისაგან დატყვევებულმა ქაიხოსრო ფალავანდიშვილმა, თავისი გამოსახსნელი თანხის აღების მიზნით იასე მაჩაბელს მიჰყიდა „ბარათში ნარგები“ ოქუტაშვილი იმედა და მასხარა, მისი ძმისწული პატარკაცი თავისი ოჯახებით და „საკომლოებით“<sup>1</sup>.

ყმა-გლეხებს მაჩაბლები ყიდულობდნენ თავიანთი ოჯახის წევრებისგანაც, 1695 წელს შიომ მაჩაბელმა ბერუკა ბუზალაძე - თავისი სახლით, ნახევარი მამულით, ნაფუძრით, ბაღით და მისი კერძი სასაფლაოთი მიჰყიდა თავის ძმას დათუნა მაჩაბელს.<sup>2</sup>

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გაღატაკებული გლეხი იძულებული იყო მებატონე მაჩაბლისათვის თავისი ოჯახის წევრი მიეყიდა.<sup>3</sup>

სამაჩაბლოში, გარდა „ნასყიდობის“ ამგვარი ფორმებისა, გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მაჩაბლები თვითონ ყიდიან ყმებს მეზობელ თავადებზე, სამეფო კარზე და ხშირად ადგილობრივ გლეხებზეც კი. ეს კი უმთავრესად მაჩაბლების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული,<sup>4</sup> ამ სიმბიმეს ხშირად აპირობებდა დამპყრობთა მიერ დაწესებული „სათათრო გამოსაღებელი“,<sup>5</sup> რომლის გადახდის პასუხისმგებელნი ის უერ-

დალები იყნენ, რომელთა ყმა-გლეხებსაც ჰქონდათ შეწერილი.<sup>1</sup> „სათათროს“ გადაუხდელობის გამო მაჩაბლები მეზობელ თავადებს ასყიდებდნენ კუთვნილ ყმა-გლეხებს. 1725 წლის საბუთში წერია: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეციო, ჩვენ მაჩაბლებმა აღხაზის შვილმა ლევანმა და ძმამან ჩემმან დავით და შვილმა ჩემმან აღხაზ... ამილახორს ბატონს გივსა... ასე, რომ დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიალ ძალი დაგვადგა... და მოგყიდეთ ჩემი მკვიდრი ყმა... წაკულთას ოვსი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო მთასა და ბარს... კიდევ შავლახაშვილი შერმაზან...“<sup>2</sup>

მაჩაბლებს ხელი მიუწვდებოდათ არა მარტო თავიანთი ყმა-გლეხების მეურნეობაზე, არამედ მათ ოჯახებზეც. მაჩაბლებს შეეძლოთ დაეშალათ ყმის ოჯახი და მისი წევრები ცალ-ცალკე გაეყიდათ. 1716 წლის ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც მიცემულია თეიმურაზ მაჩაბლის მიერ ვინმე ზაქარია ოთანაშვილისადმი, აღნიშნულია: „...დაგიწერე და მოგეციო ჩვენ, თავადმან თეიმურაზ მაჩაბელმან და ჩემმან ძმამან სვიმონმა შენ, ოთანაშვილსა ზაქარასა. ასე, რომ დაგვეჭირდა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ყმის ხიმშიაშვილის მიქელას გოგო...“<sup>3</sup>

სამაჩაბლოში გლეხთ სხვადასხვა კატეგორიებს შორის, როგორც ყველა სათავადოში პრივილეგირებული მდგომარეობა უკავიათ თარხან გლეხებს.<sup>4</sup>

1. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 6. ბერძნიშვილის რედ., I, თბ., 1940, გვ. 56-57
2. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1990, გვ. 563
3. დოკუმენტები... I, გვ. 162, №228
4. დოკუმენტები... II, თბ., 1953, გვ. 186, №302
5. კ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღებელი“ გვიანული საქართველოში, „მიმომხილველი“, III, 1953, გვ. 133

1. ნ. ბერძნიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მსკ, ნაკვ. 1, 1944, გვ. 215
2. დოკუმენტები... I, გვ. 215-216
3. იქვე, გვ. 247
4. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 196

გლეხების გათარხნება უმთავრესად მათ პირად დამსახურებაზე იყო დამოკიდებული. ამას ადასტურებს XVIII ს-ის I ნახევარში შედგენილი „სათარხნის წიგნი მიცემული ლევან მაჩაბლის მიერ მადინა მელაძისადმი“. აქ არის საუბარი გლეხის პირად დამსახურებაზე მებატონის ოჯახის მიმართ: „ასე რომ ჩემს ობლობასა და საქმის გაჭირვებაში მრავალგვარად გაისარჯე და გვემსახურე“, უწერს ლევან მაჩაბელი თავის ყმა-გლეხს! გათარხნებული გლეხები სამაჩაბლოში აკიდნენ სათავადოს მსახურთა რიგებს.<sup>2</sup> მაჩაბელთა ყმა-გლეხების ფონდს რამდენადმე აკეთებ „ნაწყალობევი გლეხები“.<sup>3</sup> ამ წყაროს განსაკუთრებით ზრდიდა მაჩაბლის ლოიალური დამოკიდებულება სამეფო კართან.<sup>4</sup>

გლეხების ვალდებულება სამაჩაბლოში, ისევე, როგორც სხვა სენიორიებში, განისაზღვრებოდა სხვადასხვა სახის სახელმწიფო და საბატონო გადასახადებით. მართალია დოკუმენტური მასალები ამის შესახებ მწირია, მაგრამ შედარებით გვიანდელი ცნობებით, შესაძლებელია გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ამ საკითხზე. 1824 წელს არის შედგენილი გენერალ წოვენის მიმართვა მთავარმართებელ ერმოლოვისადმი, სადაც ჩამოთვლილია სიმონ და ბარბიმ მაჩაბლების ხელქვეთით ოსი ყმა-გლეხების გადასახადები:

„1. თითოეული კომლი ვალდებული იყო ყოველწლიურად 3 ცხვარი ეძლია მებატონისათვის (იგულისმება მაჩაბელი -

1. დოკუმენტები... 1, გვ. 34; იხ. მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986, გვ. 233

2. გ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.ს. თბ., 1973, გვ. 171

3. დ. გვრიტიშვილი, მსალები ქართული გლეხობის ისტორიისათვის, გვ. 147

4. გ. ხანთაძე, სახ. პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-ქახეთში მე-19 საუკუნის დამდევს, მსკო, ნაკვ. 32, 1955, გვ. 157 №8967, Hd №10399

გ.ს.) თითოეული თითო მანეთის ღირებულებისა ვერცხლად.

2. თითოეული საკომლო მამულიდან (15-20 დღის სახნავი მიწა) წლიურად ერთი ძროხა (5 მანეთის ღირებულების) ან ხუთი ცხვარი. ამას ბევრა ეწოდებოდა და აიღებოდა საკომლოზე, თუნდაც მასზე რამდენიმე კომლს ეცხოვრა.

3. ორ წელიწადში ერთხელ თითოეულ საკომლოდან საჩუქარი ერთი ხარი 10 მანეთის ღირებულებისა.

4. ჯავის ხეობის უახლოესი ოსური გლეხობის გარდა სოფლების ყმა-გლეხობა დასახლებულის გარდა, მებატონებს ყოველ წელს აძლევდა: ა) ყველიერის კვირას თითოეული კომლიდან ერთ გირვანქა ერბოს ან ერთ ლიტრა ყველს - 40 კაპ. ღირებულებისა; ბ) ღიღმარწვას ლუდს ან სხვა პროდუქტებს - 1 მანეთისას; გ) კომლზე წელიწადში 2 კოდ ქერს. შრომითი ბევრის ანუ სამსახურის სახით ყმა-გლეხებს ევალებოდათ: ა) წელიწადში ერთი დღე სოფლის განკარგულებაში არსებული გუთნებით მებატონის მიწის მოხვნა, მისი დათესვა, მომკა და მებატონის კარზე მიტანა; ბ) თივის ზვინების დადგმა სოფლებთან და საჭიროებისამებრ მათი მიტანა მებატონის კარზე; გ) მებატონის მშენებლობაზე ხე-ტყის მოზიდვა; დ) მებატონის სამსახური“!<sup>5</sup>

საბატონო გადასახადების გარდა მაჩაბლების ყმა-გლეხებს გადასახადები შეწერილი ჰქონდათ სახელმწიფოსაგან, ეს იყო კოდის პურის გადასახადი.<sup>2</sup>

სახელმწიფო გადასახადს სამაჩაბლოს გლეხობა ფულადი რენტითაც იხდიდა. მაგ., დარეჯან დედოფალს ცხინვალში, კეხვსა

1. Акты Кавк. Арх. комиссии, т. VI, ч. I, стр. 6876 №1632, З.Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в ЮгоОсетий в XIX веке, стр. 92

2. გ. ხანთაძე, სახ. პურის გადასახადი (სურსათი) ქართლ-ქახეთში მე-19 საუკუნის დამდევს, მსკო, ნაკვ. 32, 1955, გვ. 157

და აჩაბეთში მოსახლე ყმებიდან ორასი თუმანი ჰქონდა შემოსავალი.<sup>1</sup>

სამაჩაბლოს გლეხთა სახელმწიფო ვალდებულებებში შედიოდა აგრეთვე „ლაშქრობა“<sup>2</sup> ლაშქრად წვევის დროს მოლაშქრებს სამეფო კარი ათავისუფლებდა ყველა სახის გადასახადისაგან. 1789 წელს შედგენილი საბუთით ირკვევა, რომ ყარაბაღში გაწვეულ ლაშქარში იყო: „მაჩაბელი ლაურსაბ კაცით ოცდახუთი, მაჩაბელი ზაზა კაცით შეიძი“.<sup>3</sup>

სამაჩაბლოს გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ აგრეთვე სალექო გადასახადი, რომლითაც სამეფო ხელისუფლება ლექთა წინაღმდევ დაქირავებული რაზმების ხარჯებს ისტუმრებდა.<sup>4</sup>

მძიმე სოციალური მდგომარეობა სამაჩაბლოში გლეხებს აიძულებდა მებატონებს გაქცეოდნენ და სხვაგან ეძებნათ თავშესაფარი. მაგრამ მაჩაბელი გაქცეულ ყმებს უკან აბრუნებდნენ. მაგ., მაჩაბელმა თბილისში გაქცეული ჯავისუბნელი ყმა ქუმერტაშვილი უკან დააბრუნდა და წინა წლების გადასახადიც გადაახდენა.<sup>5</sup>

მაჩაბელის ყმების მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს მათი საჯაროდ ვაჭრობის შემთხვევებიც. 1819 წელს „საქართვე-

ლოს გაზეთი“ აცხადებდა, რომ ბარძიმ მაჩაბლის ყმა დათუა კვნჭაძე ოჯახით იყიდებოდა.<sup>6</sup>

მაჩაბელთა ბატონობის უღელი მძიმე ტვირთად აწვა მათ მფლობელობაში მყოფ ის გლეხებსაც, რომლებიც იარაღით უპირისპირდებოდნენ მაჩაბლებს, ამ დაპირისპირებას ხშირად მსხვერპლიც მოსდევდა.<sup>7</sup>

სამაჩაბლოს გლეხობა ეწინააღმდეგებოდა არა მარტო მებატონე მაჩაბლებს, არამედ სასოფლო, სამაზრო და აღმინისტრაციის წარმომადგენლებს. ეს დაპირისპირება მაღლე სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა. 1830 წელს ხელისუფლებამ გენ. რენჯიამფის მეთაურობით, რომელსაც მაჩაბლებიც ექმარებოდნენ, სამაჩაბლოში მცხოვრები გლეხების გამოსვლა სისხლში ჩაახშო.<sup>8</sup> ამის მოუხედავად გლეხთა ანალოგიური ხასიათის გამოსვლები XIX საუკუნის 40-იან წლებშიც გაგრძელდა.<sup>9</sup>

გამწვავებულმა წინააღმდეგობამ მაჩაბლებსა და გლეხებს შორის გამოიწვია ის ფაქტი, რომ მთავრობამ 1852 წელს მაჩაბლებს 2000 კომლი გლეხი ჩამოართვა და გრაფმა კორონცოვმა ამის საკომპენსაციოდ სამაჩაბლოს მებატონებს ყოველწლიური მემკვიდრეობითი პენსია დაუნიშნა 6000 მანეთის ოდენობით, ხოლო მიწა, სადაც ეს გლეხები ცხოვრობდნენ, კვლავ მაჩაბლებს დარჩათ.<sup>10</sup> ასე, რომ მაჩაბლებმა როგორც

1. სცსა ფ. 1448, საბ. 6856, 9128

2. გ. ჯამბურა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 125

3. Межкавказский политический и Торговые связи восточной Грузии, в документах и материалах. Материал подобрал и подготовил к печати В.Н. Гамрекели, Тб., 1991, стр. 122

4. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიკური ისტორიისათვის, III, გვ. 65-66; დ. გვრიტიშვილი, მასალები..., გვ. 291

5. გ. ახმაძე, საქართველოს გლეხობა მიწისა და თავშისუფლებისათვის ბრძოლაში, თბ., 1977, გვ. 62; შერ. სცსა, ფ. 48, საბ. 1874, ფურც. 31-33;

6. ღოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 313

1. გ. ხაჭაპურიძე, საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში (ისტ. ნარკვევი), II, თბ., 1958, გვ. 107

2. აკაკ. I, დოკ. 772, სტრ. 585

3. В. Пото, Кавказская война V, в. I, 1884, стр. 125; საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. V, გვ. 188-189

4. Схадо (Сельское хозяйство и аграрные отношения), составлены П.В. Гугушвили I, გვ. 307

5. საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. V, გვ. 189

ფეოდალებმა დაკარგეს ფეოდალური მფლობელობის უმთავრესი საყრდენი - ყმა-გლეხების საკუთრება და ისინი მემამულეებად გადაიქცნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაჩაბლებს ყმა-გლეხები რამდენიმე სოფელში მაინც დარჩათ. ეს სოფლები იყო: ზალდა, ქორთისი, წოლდა და სხვ. მთავრობამ ამ სოფლებში მცხოვრებ გლეხებს დაკისრა მაჩაბლობა სასარგებლოდ ეხადათ ნატურალური გამოსაღები - მოსავლის მეათედი და ფულადი გადასახადი - კომლზე 2 მანეთი, აგრეთვე წინა წლების ნარჩენი გადასახადები. თავის მხრივ გლეხები თავისუფლდებოდნენ პირადი სამსახურისაგან.<sup>1</sup> გლეხთა უკმაყოფილება მემამულე მაჩაბლების მიმართ 70-იან წლებშიც გაგრძელდა.<sup>2</sup>

საგლეხო რეფორმის გატარების მიუხედავად, მაჩაბლები მაინც ძალადობდნენ გლეხებზე. 1865 წლის საჩივრის საბუთში აღნიშნულია, რომ მ. მაჩაბელმა ცხინვალში მცხოვრებ ქვრივ ქალს ტახო სიმონიშვილს შვილი წაართვა, სახლი დაუნგრია და მისი ნაკვეთი თავის საბოსტნეს შეუერთა.<sup>3</sup>

ამრიგად, სამაჩაბლოში ისევე, როგორც სხვა სათავადოებში, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ საყრდენს მატერიალური დოკუმენტის მწარმოებელი ყმა-გლეხობა ქმნიდა. მაჩაბლებისა და გლეხების ურთიერთობა, როგორც ვნახეთ, მეტად უხეში ფორმებით ხორციელდებოდა, რასაც აპირობებდა თავადების მხრიდან ყმა-გლეხების სასტიკი ექსპლუატაცია, ეს კი ამწიფებდა ჩაგრული ფენის მხრიდან მწვავე კლასობრივ ბრძოლას.

1. მ. ახობაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53

2. მ. ახობაძე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წ.-წ.

3. სცა, ფ. 31, საქმე 29, ფურც. 30

## მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ისტორიისათვის

ვახტანგ VI სამართლის მიხედვით, ფეოდალურ ქართლში თავადის სამი ხარისხი იყო: „დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი ათას ხუთას ოცდაოქტემეტი თუმანი, დიდებულის ქვემოთის შუას თავადის სისხლი შვიდას სამოცდარვა თუმანი, ამასთან ასრე დიდებულის სახლის კაცის შვილის სისხლი, ამას ქვემოთ მესამე თავადის სისხლი სამას ოთხმოცდათხი თუმანი“!<sup>1</sup> როგორც ცნობილია, XVI–XVIII ს.ს. ქართლში ექვსი დიდებული თავადი იყო: არაგვისა და ქსნის ერისთავები, ბარათშვილი, ამილახორი, მუხრანბატონი და ციციშვილი.<sup>2</sup>

მაჩაბელი საშუალო, ანუ მეორე ხარისხის თავადთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა, ხოლო მაჩაბლის სათავადო სახლის წევრები – თავადიშვილები – მესამე კატეგორიას. ასეთ ვითარებას ვხვდებით აგრეთვე სომხით – საბარათიანოში.<sup>3</sup>

მაჩაბელთა ფეოდალური სახლის აღნაგობა, საქართველოში არსებული სხვა სათავადოების სტრუქტურის ანალოგიურს წარმოადგენს. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის იოანე ბაგრატიონი: „აწ არიან მაჩაბელნი მოსახლედ: 1) ზალისშვილები, 2) გიორგიშვილები, ხოლო მეორე რევაზი-შვილი და სხვანი კიდევ მდაბალნი გვართა ამათგან. პირველსა აქვს ადგილი და ხარისხი პირველსავე თავადისა, ხოლო სხვათა

1. ქართული ქრესტომათია, დ. ჩუბინაშვილის გამოც., 16 კ., 1863, გვ. 26, 27, 28

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, გვ. 209

3. გ. ჯამბურა, სათავადოთა საკითხისათვის, ქრებ: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 112

მეორისა და მესამისა, აგრეთვე ამათნი გვარისანი ძველადევ არიან ბორტიშვილები თავადნი, ესწიცა ქრცხინვალის ხეობაზედ მოსახლენი არიან ორ სახლად: 1) ბარძიმაშვილები, 2) ზაზას-შვილები, სხვანი ბელელაშვილები, მდაბალნი“<sup>1</sup>.

სათავადო სახლის უფროსს, როგორც ცნობილია, თავადი ეწოდებოდა, სახლის წევრებს თავადიშვილები. მაგ. ამილახვრიანთ ფეოდალური სახლის უფროსი იყო ამილახვარი, ხოლო წევრები ამილახვრისშვილები.<sup>2</sup> ასეა მაჩაბელთა ფეოდალური სახლიც. მაჩაბლის, როგორც სათავადო სახლის უფროსის გვერდით გვხვდება მაჩაბლის ძე. მაგ. XVIII ს-ის ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება იასე მაჩაბლის ძე.<sup>3</sup>

მაჩაბელთა საგვარუულოში თითოეული განშტოების აღმოცენება სათავადო სახლის გაყრას უკავშირდება. აღნიშნული საგვარუულოდან რამდენიმე ახალი გვარი ჩამოყალიბდა: მაგ. ზაალიშვილთა გვარის წარმომავლობა, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ზაალ მაჩაბელთან, რომელიც ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე იყო ერეკლე II-ის დროს.<sup>4</sup> მაჩაბელთა გვარს უკავშირდება ბორტიშვილების გვარი. აღნიშნული განშტოება ბორტი მაჩაბლისაგან იღებს სათავეს,<sup>5</sup> ასეთივე გვარი იყო ოტიაშვილი.

1. ი. ბაგრატიონი, აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 26
2. გ. ჯამბურია, ქართლი ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 112
3. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის რედ. IV, თბ., 1972, გვ. 102
4. აღ. ორბელიანი, დაღესტანიდან ლექციის გამოსვლა და სხვ. ამბები,
5. ქაკაბაძის გამოც. ტფ., 1914, გვ. 8
6. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან,
7. ბერძნებიშვილის რედ., I, თბ., 1940, გვ. 25

პროფ. ს. მაკალათიას მიხედვით: „...მაჩაბელთა გვარი აქ (იგულისხმება აჩაბეთი, მაჩაბელთა სარეზიდენციო მამული - გ.ს.) უკვე აღარ იხსენიება - იგი შეცვლილია ოტიაშვილებად. აქური მებატონე ოტია მაჩაბელი მეფის მთავრობას დანაშაული-სათვის გადაუსახლებია ციმბირში, საჯელის მოხდის შემდეგ აჩაბეთში დაბრუნებულა და გვარიც გამოუცვლია. მისი ჩამომავალი, ოტიაშვილები, აჩაბეთში სამი კომლია“<sup>6</sup>.

ამის მიუხედავად, ოტია მაჩაბლის შთამომავლები ოფიციალურ დოკუმენტებში ოტიაშვილი - მაჩაბლებად იწერებოდნენ. მაგ. 1837 წლის ერთ საბუთში მოიხსენიებიან: ოტიაშვილი რევაზ მაჩაბელი და ოტიაშვილი თეიმურაზ მაჩაბელი.<sup>7</sup>

აღნიშნული გვარების გარდა, მაჩაბელთა ფეოდალური საგვარუულოს შიგნით მრავალი დანაყოფი გვხვდება. იმანე ბაგრატიონის თანახმად, ასეთი დანაყოფები იყო: ბარძიმაშვილებისა, რომელიც, ჩვენი აზრით, ბარძიმ მაჩაბელს უნდა უკავშირდებოდეს,<sup>8</sup> ზაზასშვილებისა, აღნიშნული დანაყოფი XVII საუკუნის მოღვაწე ზაზა მაჩაბლისაგან მომდინარეობს,<sup>9</sup> რევაზიშვილებისა,<sup>5</sup> სეხნიას-შვილებისა,<sup>6</sup> ქობულაშვილებისა,<sup>7</sup> ლოკაციშვილებისა<sup>8</sup> და სხვ.

1. ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1970, გვ. 28
2. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1945, გვ. 310
3. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის, რედ. ტ. VIII, თბ., 1980, გვ. 914-915
4. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მცირე სათავადოები (სადოქტორო დისერტაცია), ხელნაწ. 1999, გვ. 102
5. ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის, რედ. ტ. V, თბ., 1974, გვ. 471
6. ქართულ-საქართული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVII-XVIII ს.ს.) ნ. ლუნდუას რედ. თბ., 1984, გვ. 25
7. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, თბ., 1974, გვ. 430
8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 8674

ფეოდალური სახლის გაყრისა და ახალი გვარების თუ დანაყოფების ფორმირებათა შესაბამისად იცვლებოდა მათი ტერიტორიული განსახლებაც. მაჩაბელთა ერთ ნაწილს ცხინვალში ჰქონდა მამული,<sup>1</sup> ნაწილი სახლობდა ქურთაში,<sup>2</sup> ნაწილი თამარაშენში.<sup>3</sup>

პროფ. ი. მეგრელიძეს ჩაუწერია შალვა გიორგის ძე მაჩაბლის (დაბ. 1913 წ.) ნამბობი. აქედან ჩანს, რომ დიდი ლიახვის ხეობას მაჩაბელთა რამდენიმე შტო ფლობდა.<sup>4</sup>

ყოველ სათავადოში შემდეგი სახის მფლობელობა იყო: 1) „სახასო“, 2) „საუფლისწულო“, 3) „სათავისთაო“.

სათავადოს შიგნით არსებობდა „სახლისკაცობის რიგი“, რომლის დაცვა სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა იყო. მაგრამ ეს რიგი არ იყო მკაცრად ნორმირებული და ხშირად ირღვეოდა, რაც გამოწვეული იყო თავადის მიმდლავრებით. ამ შერივ საინტერესოა დათუა მაჩაბლის არზა ერეკლე II ოქმით, რომელიც 1785 წლით არის დათარიღებული: „ღმერთმა ბერნიერის ხელმწიფის ჭირი დათუა მაჩაბელს მისცეს. მოწყალევ ხელმწიფევ უწინდელის დროს მიეცა და ჩემის უბედურებით უსამართლო ვრჩები. ჩემი სახლის კაცებისაგან ყმითა და მამულით აკლებული ვარ. თქვენგან ღვთილების მოწყალებით, რომ ცოცხალი ვარ და ამ ქვეყანაში ვარ... ღმერთი გავიმარჯვებს ერთი ოქმის წყალობა მიყავით, რომ ოსებს თავდებად არავინ

მიმცეს და იმ ქვეყნიდამ სრულებით არ დავიკარგო და ჩემის ყმის და მამულის სამართალიც დამემართოს, რომ მომძლავრებით უჭირამთ ჩემი სახლისკაცებს და სხვათაცა სვერი მთლად, ძარძებს გოგიძე, ხეთში (უნდა იყოს ხეთი - გ.ს.) საბანაძე, საბაწმინდაში (!) დიცს კაპარჭაძის მამული, კიდევ ჩემი ბარათის კაცნი და მისი შვილები დაუყიდნა თეომურაზ მაჩაბელსა. ამის გარდა, ჩემი წილი ოსები ბარძიმს და ზაზას უჭირამს, კიდევ თამარაშენს ამილახვრიანთ ყმას ერთი საკომლო მამული<sup>5</sup>!“

როგორც ვხედავთ, სახლისკაცობის რიგის დარღვევისას ხდებოდა არა მარტო სახლის წარმომადგენლის ქონებრივი უფლების შელახვა, არამედ მისი პიროვნული ხელყოფაც. „სახლისკაცობის რიგის“ დაცვა, როგორც აღინიშნა, სამეფო ხელისუფლების პრეროგატივა იყო. მეფე ერეკლე ფეოდალური სახლის შიგნით წარმოქმნილ კონფლიქტში და იცავდა დაჩაგრული თავადიშვილის ღირსებას. მაჩაბელთა ფეოდალურ საგვარეულოში „სახლისკაცობის რიგის“ დარღვევის სხვა არაერთი ფაქტიც არსებობს. სათავადო სახლის წარმომადგენლები საგვარეულო გაყოფის შემდეგ სახლისკაცების მცირეწლოვანობით სარგებლობდნენ და მათ მამულს სტაცებდნენ. მაგ. ქაიხოსრო მაჩაბელმა თავის განაყოფს, მცირეწლოვან ქუაბულ მაჩაბელს ყმა-მამულები წართვა თამარაშენსა და ღელში. ქაიხოსროსაგან წართმეული მამულები ქუაბულს როსტომ მეფემ 1644 წელს დაუბრუნა.<sup>2</sup> დარღვეული „სახლისკაცობის რიგის“ აღსაღენად ხშირად გარეშე ძალებიც ერეოდნენ. ოსმალობის დამყარების შემდეგ ქვეყანაში გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო,

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, საბ. 8711

2. აღ. მაჩაბელი, სოფ. ქურთა და მისი შემოგარენი, „აკაკის თვიური ერებული“, №1899

3. ჯ. გვასალია, Историческая география восточной Грузии, Тб., 1991, стр. 138

4. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993, გვ. 198

1. ქართული სამართლის მეცნიერები, ტ. VIII, თბ., 1980, გვ. 321

2. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, თბ., 1993, გვ. 346

თავადიშვილებს შორის კონფლიქტი უფრო თვალშისაცემი გახდა. 1723-1724 წ.წ. ერთ დოკუმენტში, რომელიც უსუფ-ფაშას მიერ არის ბოძებული დავით მაჩაბლისადმი, აღნიშნულია: „ვეზირი უსუფ-ფაშა გიბრძნებ მაჩაბლო დავით! შენი და შენის ბიძაშვილის ფარსადანის სახლ-კარი, მამულები თეიმურაზს სჭერია, ცოტა რომ თეთრიც მოუცია, ის გლეხები დაუყიდნა, ამდენი ხანი უჭამია. ის თეთრი რომ იმდენად შექმნილა, რას გემართლება. სადაც შენი მამული იყოს ყველა შენთვის გვიბოძებია“!<sup>1</sup> მაჩაბლოთა სათავადო სახლის წევრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ყმა-მამული მიეტაცათ და ამით გავლენა მოეპოვებინათ სახლის სხვა წარმომადგენლებზე. მაჩაბლოთა სახლის შიგნით ხდებოდა ისეთი ფაქტებიც, როცა ერთი თავადიშვილი მეორეს მკვიდრ ყმებს ართმევდა. არსებობს საბუთი „განჩინება თეიმურაზ II ბარძიმ და იესე მაჩაბლების ყმის საქმეზე“, რომელიც 1754 წ. არის შედგენილი. აյ აღნიშნულია, რომ იესე მაჩაბლმა სამკვიდრო ყმა და მამული „ზემთხვის რაზმაბე, ზურაბიშვილი რამაზ და კაცია თავის მამულით“ წართვა ბარძიმ მაჩაბლს.<sup>2</sup>

სათავადო სახლის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას მემკვიდრე არ დარჩებოდა, მისი კუთვნილი ყმა-მამული მეფის საკუთრება ხდებოდა. მეფეს შეეძლო იგი წყალობის სახით სხვა თავადიშვილისათვის გადაეცა.

1656 წლის მამულის წყალობის წიგნში, რომელიც მიცემულია როსტომ მეფისაგან თამაზ, ლომქაც და ბაადურ მაჩაბლები-

სადმი, აღნიშნულია: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენივ სამკვიდრო მამული, რაც ვაშაყაშვილს პაპუნას ჰქონდა. ამოწყვეტილის მაჩაბლის კერძი ვარიანში, ძარწემს და ძარს და ზეთხვისს, რისაც მქონებელი ვაშაყაშვილი პაპუნა იყო“!<sup>1</sup>

სათავადოში, როგორც აღნიშნეთ, საკუთრების სამი ფორმა გვხვდება: „საერთო“, „საუფლისწულო“ და „სათავისთავო“.<sup>2</sup> „სათავისთავო“ პროფ. გ. ჯამბურიას გთხმარტებით: „არის ის ქონება, რომელიც პირადი ღვაწლითაა მოპოვებული და თავადიშვილი სრული ბატონ-პატრონია მისი, შეუძლია გაყიდვა ან გააზრება სახლის წევრების შეუკითხავად“!<sup>3</sup>

„სათავისთავო“ ქონება სამაჩაბლოში წარმოდგენილია, როგორც ნასყიდი მამულების სახით, ისე სახლისკაცებისაგან მიტაცებული სახასო ტერიტორიით. მაგ. ბაადურ მაჩაბლს თავისი ტერიტორია მნიშვნელოვნად გაუფართოვებია ამოწყვეტილი სახასო მამულების ხარჯზე. სამეფო კარი კი არ ებრძეის ამ შემთხვევაში თავადს და ტერიტორიებს ართმევს, პირიქით, უმტკიცებს მიერთებულს. ეს, რასაკვირველია, სამეფო სელისუფლების სისუსტით უნდა აიხსნას. ქართლის მეფე შაჰულინანი 1704 წ. წყალობის წიგნით ბაადურ მაჩაბლის შვილებს: ფირანს და ბორტის უდასტურებს, რომ „ამას წინათ ჩვენი სახასო მთის ადგილები მამა შენს ბაადურს აეშენებია პატრონს მეფეს მამა ჩვენს და პატრონს მეფეს ჩვენს მმასაც თქვენთვის ასე წყალობა ექმნა, რომა იმაში თქვენი სახლისკაცებისაგან წილი არ დაედვა... რადგან სახასო ადგილები აგეშნა, ხელმწიფით

1. დოკუმენტი საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, თბ., 1940, გვ. 201

2. ქართული სამართლის მეგლები, ტ. V, გვ. 427

1. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები, გვ. 25

2. 6. ბერძნებიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 102

3. გ. ჯამბურია, ქართული უერთდაღური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 141

თქვენთვის ებოძებინათ. ამაში შენს სახლის კაცთ ხელი არა  
ჰქონდათ...“<sup>1</sup>

ამრიგად, მაჩაბელთა სათავადო სახლის წევრთა ურთიერთობას ქართული ფეოდალური საზოგადოების ხასიათი განსაზღვრავდა. „სახლისკაცობის რიგი“ ემყარებოდა სათავადო-სენიორიისათვის დამახასიათებელ ვასალიტეტის პრინციპებს. აღნიშნული ხორმა არ იყო მყარი. ზემოთ განხილულმა დოკუმენტებმა გვაჩვენა, რომ იგი უაღრესად რღვევადი იყო.

### შენიშვნები:

1. ოსიანობა და სამაჩაბლო, დაიბეჭდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშავთა I სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისების კრებულში, გორი, 2002
2. ლევან ბატონიშვილის აჯანყება და სამაჩაბლო, დაიბეჭდა საისტორიო აღმანახში „კლიო“, 2005, №25
3. XVIII საუკუნის ქართული დიპლომატის ისტორიიდან, დაიბეჭდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისების კრებულში, გორი, 2003
4. ვინ იყო მაჩაბელა? დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული ცხინვალი“, №8, 2005
5. 1917 წლის ერთი უცნობი დოკუმენტი სოფ. ტყვიავის შესახებ. დაიბეჭდა გაზეთში „მშვიდობა“, №13, 2005
6. ოულონ ბატონიშვილი და სამაჩაბლო, დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული ცხინვალი“, №8, 2002
7. ფეოდალური მფლობელობის ერთი საკითხის დაზუსტებისათვის სამაჩაბლოში, დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული ცხინვალი“, №11, 2005
8. XIX საუკუნის ერთი საბუთი არბოს წმინდა გორგის ტაძრის შესახებ, დაიბეჭდა გაზეთში „მშვიდობა“, №11, 2005
9. ლევიანობის საკითხი და სამაჩაბლო, დაიბეჭდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში (ისტორიის სერია), №III, 2003
10. მაჩაბელთა სათავადო სახლის ისტორიისათვის, დაიბეჭდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებულში (ისტორიის სერია), №III, 2003
11. სამაჩაბლოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (გლეხები), დაიბეჭდა საისტორიო აღმანახში „კლიო“, №18, 2003
12. სამაჩაბლოს ეკონომიკური ისტორიიდან, დაიბეჭდა საისტორიო აღმანახში „კლიო“, №23, 2004

1. სცხა, ფ. 1450, დავთ. 26, საბ. 158

## სარჩევი

ოსთა რელიგიური ცხოვრების ისტორიიდან (ვაჩილას კულტი) .....	3
იაკობ რაინგვისი ოსთა რელიგიური ცხოვრების შესახებ .....	11
ქორდის ღვთისმმობლის ტაძრის წარწერის ფრაგმენტი .....	17
„ოსიანობა“ და სამაჩაბლო .....	24
ლევან ბატონიშვილის აჯანყება და სამაჩაბლო .....	38
მღვრიას ხევის მდებარეობის საკითხისათვის .....	46
ვანათის მდებარეობის საკითხისათვის .....	50
XVIII საუკუნის ქართული დიპლომატის ისტორიიდან .....	56
იოანე ქართველიშვილის მოღვაწეობა და სოფელი ბელოთი .....	63
ვინ იყო მაჩაბელა? .....	70
1917 წლის ერთი უცნობი დოკუმენტი სოჭ. ტყვიავის შესახებ ....	77
იულინ ბატონიშვილი და სამაჩაბლო .....	79
ფეოდალური მფლობელობის ერთი საკითხის	
დაზუსტებისათვის საშაჩაბლოში .....	84
XIX საუკუნის ერთი საბუთი არბოს წმინდა გიორგის	
ტაძრის შესახებ .....	89
ლევანობის საკითხი და სამაჩაბლო .....	94
სამაჩაბლოს ეკონომიკური ისტორიიდან .....	101
სამაჩაბლოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან .....	110
მაჩაბელთა სათავადო სახლის ისტორიისათვის .....	119
შენიშვნები .....	127